როგორ მონათლა აბსანძემ გამახარია მეორედ A2

რუსული - სახელმწიფო ენა დსთ-ს სივრცეში A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი პარასკევი, 8 აგვისტო, 2003 წელი. №214 (426) ფასი 30 თეთრი

## დეპუტატებს მუშაობა არ სურთ

თამარ მჭედლიშვილი

*პარლამენტი კვლავ პარალიზებულია – ზედიზედ ორი დღის მანძილზე დეპუტატები სხდომებს ვერ მართავდნენ. ამის მიზეზი კვლავ კვორუმის არარსებობაა. მას მერე, რაც პარლამენტმა სამივე მოსმენით მიიღო ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი, დეპუტატებმა სხდომებისადმი ინტერესი დაკარგეს და პარლამენტში აღარ ცხადდებიან.*

გუშინ პარლამენტის ხელმძღვანელობამ სამჯერ სცადა კვორუმის შეგროვება, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. დარბაზში კოლეგებს მხოლოდ ოთხმოციოდე ბეჯითი დეპუტატი ელოდებოდა.

კვორუმის შეგროვების მორიგი მცდელობისას დარბაზში ვითარება მოულოდნელად დაიძაბა. ფრაქცია "თანადგომის" წევრმა ვახტანგ შამილაძემ პარლამენტის პარალიზებაში, არც მეტი, არც ნაკლები, ნინო ბურჯანაძე დაადანაშაულა და არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, თუ როგორ უტევს და ლანძღავს პარლამენტის თავმჯდომარე ხელისუფლებას.

ნინო ბურჯანაძის პასუხმაც არ დააყოვნა: **"ხელისუფლებას ხმამაღალი განცხადებების გაკეთების უფლება არ აქვს. თუ თვალს არ გაახელენ და არ დაინახავენ, რა ხდება ირგვლივ, ყველაფერი ცუდად დასრულდება. ჩემს მოვალეობად ვთვლი, ამაზე ყურადღება გავამახვილო, ვინაიდან, მერე უკვე გვიან იქნება და ყველა ერთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით,"** – განაცხადა შამილაძის გამოსვლით გაღიზიანებულმა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სხვათა შორის, ბურჯანაძემ სახელისუფლებო ფრაქციების ბოიკოტი იმით ახსნა, რომ გუშინ ხელისუფლებას უნდა წარმოედგინა ინფორმაცია ენერგეტიკაში არსებული სიტუაციის შესახებ, რასაც ოპოზიციის მხრიდან დიდი ხმაური მოჰყვებოდა.

არსებობს მეორე მიზეზიც, რის გამოც პარლამენტი და, განსაკუთრებით, მისი სახელისუფლებო ფრთა შეკრებას არ ჩქარობს. საქმე ის არის, რომ ჯერაც არ დაუმტკიცებიათ საარჩევნო კოდექსი. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ მიღწეული შეთანხმების თანახმად, ახალ კოდექსში უნდა შესულიყო ისეთი მუხლები, რომელთა ამოქმედების შემთხვევაში, არჩევნების გაყალბების შესაძლებლობები საგრძნობლად შემცირდებოდა. როგორც ირკვევა, ეს საპარლამენტო უმრავლესობის ინტერესში არ შედის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ისევე გამოაცხადებდნენ სრულ მობილიზებას, როგორც ეს რამდენიმე დღის წინ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის განხილვის დროს გააკეთეს. ასე რომ, სულაც არ იქნება გასაკვირი, არჩევნები კვლავ ძველი საარჩევნო კოდექსით თუ გაიმართება.

შეიცვლება თუ არა საარჩევნო კანონმდებლობა, ეს მომავალ სამშაბათს გაირკვევა. სწორედ ამ დროს არის დანიშნული პარლამენტის მორიგი სხდომა. შეგახსენებთ, რომ კანონმდებლებს ისეთი ურთულესი საკითხების განხილვა მოუწევთ, როგორიც არის 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრი, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები და, როგორც უკვე ვთქვით, საარჩევნო კოდექსი.

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 32 |
| ბათუმი | 26 |
| ქუთაისი | 29 |
| სოხუმი | 26 |
| ცხინვალი | 25 |
| თელავი | 29 |
| ბოლნისი | 28 |
| ფასანაური | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1250 |
| ევრო | 2.4240 |
| გირვანქა სტერლ | 3.4363 |
| რუბლი | 0.0701 |

## ჩუბაისის ტრიუმფი

რევაზ საყვარიშვილი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

"ულალმა რეფორმატორმა" კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. ამჯერად უკვე რუსეთის ფარგლებს გარეთ, მაგრამ რუსეთის სახელით და რუსული სახელმწიფო ინტერესის სადიდებლად. ანატოლი ჩუბაისმა შესანიშნავად შეასრულა პრეზიდენტ პუტინის კაბინეტში მიღებული გადაწყვეტილება საქართველოში გადაუდებელი ენერგოექსპანსიის შესახებ და ეს გეგმა უმოკლეს ვადაში სრულ ტრიუმფად აქცია.

2003 წლის 6 აგვისტოს ანატოლი ჩუბაისი საქართველოში "ეი-ი-ეს" კორპორაციის ყოფილი ქართული აქტივების ახალი მეპატრონის სტატუსით ჩამოვიდა და სულ რამდენიმე საათში აგრძნობინა მთელ საქართველოს, რომ მისი სახით ქვეყანაში ახალი რუსული პოლიტიკა შემოდის – გაცილებით უფრო გამჭრიახი, უნარიანი, მომთხოვნი და ცივსისხლიანი, ვიდრე წინამორბედი.

ეს იგრძნობოდა ყველგან: პრეზიდენტთან და ენერგეტიკის მინისტრთან პროტოკოლურ თუ პარლამენტის თავმჯდომარესთან არაპროტოკოლურ შეხვედრაზე; ოპოზიციურ პარტიებთან ჩუბაისის მოადგილეების სრულიად მოულოდნელ აუდიენციებზე; თავდაჯერებული მენეჯერის მრავლისმთქმელ პრესკონფერენციაზე და ბოლოს, ოქმში, რომლითაც საქართველომ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მისი ენერგეტიკა რუსული ენერგოსისტემის ერთ მცირე დანამატად გადაქცევას ოფიციალურად დათანხმდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მარტოობის 12 წელი

*ეროვნული თავმოყვარეობისთვის შეურაცხმყოფელია იმ დამწყები პოლიტიკოსებისა და ვერშემდგარი პატრიოტების მუდმივი სირბილი რუსეთის, ევროპისა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური თუ პოლიტიკური მხარდაჭერისთვის, რომელთაც ჯერ საკუთარი ხალხისთვის არ გაუკეთებიათ რაიმე მნიშვნელოვანი.*
*დღეს ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ, მაგრამ იქნებ სწორედ ამ სიღარიბის გამო, ხალხს გამძაფრებული აქვს თავმოყვარეობის ეს გრძნობა და იმ დიდი ქვეყნის ელჩმა, რომელიც დღეს ჩვენთვის უპირველესი იმედი და დამხმარეა, ეროვნული ფსიქოლოგიის ეს თავისებურება, ვფიქრობთ, უნდა გაითვალისწინოს.*
*საქართველოს ბედი მაინც საქართველოში უნდა გადაწყდეს და იგი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, გარედან კარნახისა და პოლიტიკური თუ ფინანსური ზეწოლის გარეშე.*

***ნაწყვეტი კოლექტიური, ღია წერილიდან, რომელიც განკუთვნილია აშშ-ს სრულუფლებიანი ელჩისთვის საქართველოში, ბატონ რიჩარდ მაილსისთვის.***

იხილე A2 გვერდზე

## "თუ ამერიკა წავა, ქართული ჯარი არ შედგება"

სოფო ბუკია

ლევან ხერგიანის ფოტო

*"მაგათ არეულ ტვინში რა ხდება, ნამდვილად არ ვიცი".*

*თავდაცვის სამინისტრომ გუშინ გაავრცელა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სასწავლებლიდან GGSG–დან გამოგზავნილი საქართველოს სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის, ნიკა ჯანჯღავას დახასიათება. გთავაზობთ მცირე ამონარიდს ამ დახასიათებიდან: "ვიცეპოლკოვნიკის რანგისთვის აქვს ძალიან მწირი გამოცდილება... ეს ერთი წელი დანაკარგია საქართველოსთვის, როდესაც სხვა ოფიცერს შეეძლო მიეღო განათლება სამშობლოს სამსახურისთვის... ეს ახალგაზრდა არის მხოლოდ ფავორიტი, რომელმაც მიიღო პოლიტიკური დანიშნულება... ნიკა შეკითხვებზე იძლეოდა გასაოცრად უშინაარსო პასუხებს. მისი არაგულახდილი და მიკიბულ-მოკიბული პასუხებით გაოცებული იყო გარემოცვა..." აღნიშნული დოკუმენტი ხელმოუწერლად გავრცელდა.*
*პირველი ქართველი რეინჯერი ნიკა ჯანჯღავა "24 საათის" სტუმარია. თავდაცვის სამინისტროდან გავრცელებულ დახასიათებას იგი "უკბილოს და უნიჭოს" უწოდებს და ამ უწყებაში გამეფებულ კორუფციაზე უფრო მძაფრად საუბრობს.*

**- ბატონო ნიკა, რა დახასიათება გაავრცელა თავდაცვის სამინისტრომ და ვის მიერ არის ის შექმნილი?**

- ცოტა შორიდან დავიწყებ. 1996-1997 წლებში თავდაცვის მინისტრი გენერალური შტაბის აკადემიაში სწავლობდა. ამერიკაში მან შეიძინა რამდენიმე ამერიკელი მეგობარი. ამ ხალხს სამხედრო საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, ისინი არ არიან ოფიციალური პირები. სწორედ მათ დაავალა თევზაძემ ამ უსუსური პასკვილის შეთხზვა. ერთი წლის წინ, 19 ივლისის მოვლენების შემდეგ (შეგახსენებთ, შარშან 19 ივლისს ნიკა ჯანჯღავამ თავის ხელქვეითებს სამხედრო ნაწილის დატოვებისკენ მოუწოდა, რის მიზეზადაც თავდაცვის სფეროში არსებული კორუფცია და მძიმე სოციალური პირობები დაასახელა. ს.ბ.), ეს პასკვილი უკვე იდო თავდაცვის უწყებაში, მე ეს დანამდვილებით ვიცი. თევზაძეს ძალიან უნდოდა ჩემი დისკრედიტება, თითქოს, აი, ამერიკაში უარყოფითად აფასებენ ჯანჯღავასო.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დენი ძვირდება

მაია ურუშაძე

გუშინ სემეკ-მა იუსტიციის სამინისტროსკენ გზა გაუხსნა დადგენილების ახალ პროექტს, რომლის მიხედვითაც, სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე, ელექტროენერგიის ტარიფმა უნდა მოიმატოს.

როგორც ცნობილია, "ლეიბორისტების" მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში "დენის საქმის" მოგების შემდეგ, სემეკმა ელექტროენერგიის ტარიფი 12,18 თეთრამდე შეამცირა.

შედეგად, სავალუტო ფონდმა მთავრობას ელექტროენერგიის "ეკონომიკურად დასაბუთებული" ტარიფის შემოღება ურჩია და ამ რჩევის შესრულების ვადა 15 აგვისტომდე დაუთქვა.

როგორც სემეკ-ში განმარტავენ, ელექტროენერგიაზე ტარიფი დიფერენცირებული იქნება. სემეკ-მა ელექტროენერგიის მომხმარებლები 4 საფეხურად დაჰყო. იუსტიციის სამინისტროსათვის უკვე წარდგენილ დოკუმენტში კილოვატსაათი დენის ღირებულებად პირველი საფეხურის მომხმარებლისთვის (ვინც თვეში 100 კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას მოიხმარს) – 10,15 თეთრი, მეორე საფეხურისთვის (101-200 კილოვატსაათი) – 11,45 თეთრი, მესამე საფეხურისთვის (201-300 კილოვატსაათი) – 12,75 თეთრი, ხოლო მეოთხე კატეგორიისთვის (301-400 და ზევით) – 14,05 თეთრი განისაზღვრა.

სემეკში აცხადებენ, რომ გაანგარიშება სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა, რომლის მიხედვითაც, სოციალურად ყველაზე გაჭირვებული

გაგრძელება A3 გვერდზე

## რიჩარდ მაილსი: "საფლავამდე მივყვებით, ვიდრე საქართველოში სამართლიანი არჩევნები არ ჩატარდება"

*საქართველოში ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი თავს იკავებს პასუხისგან კითხვაზე: ბეიკერის რეკომენდაციების დაცვით დაამტკიცა თუ არა პარლამენტმა ცესკო-ს დაკომპლექტების წესი.*

ვერიკო თევზაძე

გუშინ რიჩარდ მაილსი დახურულ კარს მიღმა ჯერ "შრომის პარტიის" ლიდერს შალვა ნათელაშვილს, ხოლო მოგვიანებით "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. საუბრის თემა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები და ის კონკრეტული მექანიზმები იყო, რომელთა შემუშავების შემთხვევაში გაყალბებას თავიდან ავიცილებთ. დიალოგის დასრულების შემდეგ ელჩი და პარტიის ლიდერები მასმედიას შეხვდნენ.

**"საერთაშორისო თანამეგობრობა ქართველ ხალხს არ მიატოვებს, საფლავამდე მივყვებით, ვიდრე საქართველოში სამართლიანი არჩევნები არ ჩატარდება,"** - ბატონი მაილსის განწყობა ოპტიმისტურია.

დაკომპლექტდა თუ არა ცესკო-ს შემადგენლობა ბეიკერის რეკომენდაციების დაცვით? – გუშინ მაილსს ჟურნალისტებმა ეს შეკითხვა სამჯერ დაუსვეს და

გაგრძელება A2 გვერდზე

## თბილისური დღეები ერედვში

ზაზა ფაჩუაშვილი

*მერიის კულტურის სამსახურმა და საგანგებო საქმეთა სამინისტრომ ქვეყნის კონფლიქტურ ზონებში თბილისური დღეების ჩატარება დაიწყეს. პირველი გასვლა ცხინვალის მეზობლად სოფელ ერედვში შედგა. მომავალში დაგეგმილია სტუმროობა გალში და პანკისში.*

თბილისური დღეები აღნიშნულ აქციათა ციკლის დასახელებაა, თორემ ერედვში კონცერტი საათნახევარში დამთავრდა. სოფლის ოთხსართულიან ცათამბჯენს, რომლის მსგავს დაწესებულებებს

გაგრძელება A2 გვერდზე

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*სამაჩაბლოს მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა თბილისელ სტუმრებს.*

## რის გამო წირავენ თავს ჩეჩენი ქალები

*ქალი კამიკაძეების მიერ რუსეთში განხორციელებულმა რამდენიმე ტერაქტმა მთელ მსოფლიოში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ჩეჩენი ქალების ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა ახალი მოვლენაა, რომლის კონკრეტული მიზეზების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. "ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტი შეეცადა, ახლახან მოსკოვში როკ-ფესტივალის დროს მომხდარ ტერაქტში მონაწილე ერთი ჩეჩენი გოგოს ბედი გაერკვია.*

ზულიხან იელიხანჯიევა ოცი წლის იყო, როდესაც მოსკოვში თავი აიფეთქა და, სულ მცირე, 16 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მანამდე ის ჩეჩნეთის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა, რომელიც ომის ქარ-ცეცხლს გადაურჩა. იგი სოფლის სამედიცინო სკოლაში სწავლობდა და ადგილობრივ კლინიკაში სტაჟორი იყო.

ძალზე ძნელია ახსნა, რამ მიიყვანა ახალგაზრდა გოგო ამ გადაწყვეტილებამდე.

რუსული მედია ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ეს ქალები "შავი ქვრივები" არიან, რომელთაც ომში ძმები, მამები, ქმრები ან შვილები დაკარგეს და ახლა ამ გზით ცდილობენ შურისძიებას.

თუმცა, იელიხანჯიევა ამგვარ კატეგორიაში არ გადიოდა. მას არც მამა, არც ძმა, არც ქმარი ან ვაჟი არ დაუკარგავს, რაც მას ტერორისტული აქტის ჩადენისაკენ უბიძგებდა.

მისი ბებიის, ზუდა ხასუხანოვას თქმით, რამდენიმე თვის წინ ქალიშვილი მისმა ნახევარძმამ მოიტაცა. იგი დაქორწინებული არ ყოფილა. მისი ბებიისა და მეზობლების ცნობით, ზულიხანი რადიკალური ისლამური იდეოლოგიით არ იყო დაინტერესებული. მას, უბრალოდ, სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება სურდა. "ის ანგელოზი იყო," - თქვა აცრემლებულმა ხასუხანოვამ.

გაგრძელება A5 გვერდზე

## „მოდელობა არც ისე იოლი სამუშაოა. უბრალოდ, მთავარია, მოგწონდეს ეს საქმე"

*უცხოეთში დამოუკიდებლად ცხოვრების, პარიზისა და ნიუ იორკის წამყვან სამოდელო სააგენტოებთან სამწლიანი თანამშრომლობის გამოცდილება, პროფესიული პერსპექტივები სამოდელო საქმიანობაში, შრომისმოყვარეობა, (აქ ნამდვილად ზედმეტია სასიამოვნო გარეგნობის მითითება), ბავშვური სილაღე, მუსიკალურ ვარსკვლავად ყოფნის საკმაოდ რეალური შანსი, - ასეთია 19 წლის ქართველი მოდელის ნატალია ხუთკუბიას ძალიან ზოგადი დახასიათება. მას თითქმის ყველა პირობა აქვს, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდელი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ამაში ეჭვი არ ეპარება ნატალიას მენეჯერს სააგენტო New York Model-ში. მეტიც, ეს ადამიანი დარწმუნებულიცაა, რომ მისი ქართველი "კლიენტი", "კელვინ კლაინის" სახე გახდება. თუმცა, ვიდრე 19 წლის მოდელი სერიოზულ "კასტინგებზე" გავა, ის ერთთვიან არდადეგებს თბილისში გაატარებს.*

ვერა ნეფარიძე

ამ გოგონაში ბევრი რამ მოგხიბლავთ. ვითომ, რა არის ამაში გასაკვირი, მითუმეტეს, როდესაც საუბარია მოდელზე?! სასიამოვნო გარეგნობის გოგონას დანახვისას შექმნილი წარმოდგენა კიდევ უფრო იზრდება, როდესაც ურთიერთობა მასთან. პირველი შთაბეჭდილება რამდენიმე თვის წინათ მივიღე, როდესაც "იმეილზე" ნიუ იორკიდან

გაგრძელება A7 გვერდზე

*ნატალია ხუთკუბია.*

სვეტი

## მარტოობის 12 წელი

ვირველი გვერდიდან

ბიძინა მაყაშვილი

12 წლის წინათ საქართველომ კიდევ ერთხელ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რამაც მყისიერად დადებითი შედეგები გამოიღო: შეწყდა ცენტრალური გათბობა, გაჩნდა ელექტროენერგიის საოცარი დეფიციტი, გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რაც იმაში გამოიხატა, რომ საქართველომ მთლიანად დაკარგა კონტროლი ამ რეგიონზე; შეიქმნა ეროვნული გვარდია, რომელმაც სასწრაფოდ დაუმორჩილებლობა გამოუცხადა საკუთარ პრეზიდენტს და გაიხიზნა; საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ისეთმა ქვეყნებმა ცნეს, რომელთა სახელმწიფოებრიობა არავის ჰქონდა აღიარებული; ქვეყნის ისტორიაში პირველად დაიწყეს უზენაესი საბჭოს სხდომების პირდაპირი ტელეტრანსლაცია და ასეთი პოპულარული სანახაობა ჩვენს ტელე-არხებს დღემდე არ ჰქონიათ. ხალხს, ძირითადად, დებატების კომიზმი და მოკამათეთა არგუმენტები ამხიარულებდა. ხალხს გულგრილს არც დისიდენტ-პრეზიდენტის პოლიტიკურად ექსტრავაგანტული საქციელი ტოვებდა. მას გაუჭირდა დისიდენტის როლიდან გამოსვლა და იმის მიუხედავად, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობების საშუალებები მის ხელში იყო, მაინც ვერ იშლიდა თავისას და მთავრობის სასახლესთან არსებული ხელისუფლების მხარდასაჭერ მიტინგებს აწყობდა ეგზალტირებული პუბლიკის წინაშე.

საბოლოოდ, საზოგადოების ნაწილმა ეგზალტირებას ვერ გაუძლო და ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება სიძულვილში გადაიზარდა. საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო და დაიწყო სამოქალაქო ომი. მართალია, ომი ორ კვირაში დამთავრდა, მაგრამ რა მოგვცა?! გაქცეული პრეზიდენტი, დანგრეული ქალაქი, დაქუცმაცებული საზოგადოება, მსხვერპლი და, რაც ყველაზე უარესია, ახალი პრეზიდენტი, თავისი კომუნისტური წარსულით და სახელმწიფოს მოწყობის ძველი, ფეოდალური იდეებით.

პრეზიდენტის პირველი დიდი საჩუქარი აფხაზეთი იყო. დეპრესია კიდევ უფრო გაძლიერდა. ცხოვრების დონემ კიდევ უფრო დაბლა დაიწია. პრეზიდენტმა დაიწყო თამაში: სოციალურად განადგურებული საზოგადოება მუდმივ მორალურ ტერორში მოაქცია. და როცა ორიოდე კაცმა პროტესტის ნიშნად წამოიკნავლა, მან წამებულის იმიჯი მოირგო და თავის ხალხს გადადგომით დაემუქრა. ჩვენმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გამოიჩინა შესაშური შორსმჭვრეტელობა და მის წინაშე მუხლი მოიდრიკა, მით უმეტეს - პრეზიდენტს უმაღლეს საერთაშორისო დონეზე ისეთი გავლენიანი მეგობრები ჰყავდა, რომ მათი დახმარებით საქართველო მალე სამოთხედ გადაიქცეოდა.

საქართველოს აყვავების პროექტის ფარგლებში პრეზიდენტმა მოიზიდა მძლავრი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და მათგან სესხად მიღებული მილიარდები თავისი კლანის წევრებს შორის გაანაწილა. ცხადია, გადანაწილების პროცესს ბევრი თანამდებობა და პიროვნება შეეწირა, მაგრამ ქვეყნის აყვავებისთვის ასეთი მსხვერპლის გაღება განა არ ღირს?!

სამწუხაროდ, ამ სესხებმა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა. დრო გადიოდა და ხალხი ხანდახან ღელავდა ხოლმე. ამის გამო პრეზიდენტი დროდადრო უახლეს ქართულ მითოლოგიას მიმართავდა: ენერგოკრიზისის მიზეზად მითიური მეცხრე ბლოკი, საქართველოს სამოთხედ გადაქცევის პირობად კი ნავთობ და გაზსადენების მითები სახელდებოდა, მაგრამ ყველაზე პოპულარული მაინც საქართველოს მეგობარი ქვეყნების მითი იყო.

ასეთი მითებით, ერთგული ყმებით და ძალოვანი სტრუქტურების არაყოველთვის კონსტიტუციური ქმედებებით პრეზიდენტმა ორი ვადით შეინარჩუნა ძალაუფლება. და დადგა აგონიის პერიოდი. გააცნობიერა რა, რომ მესამე ვადით არჩევაში არც კონსტიტუცია უწყობდა ხელს და არც დასავლელი მეგობრები, მან მკვეთრად იცვალა კურსი და თავისი იმედები იმ მხარეს დაუკავშირა, საიდანაც მისთვის ყოველთვის მზე ამოდიოდა.

ამ ფონზე გააქტიურდნენ მისი ადგილობრივი მეგობრები და ზემოთ მოყვანილი კოლექტიური წერილი ამ აქტივობის პირველი შედეგია. წერილი რომ ძალიან ცუდის მაუწყებელია, მისი არსიდან და იმ მოვლენებიდან ჩანს, ამ დღეებში საქართველოში რომ ხდება: ქვეყანა, სადაც პოლიცია ქალებს და ბავშვებს უმოწყალოდ სცემს, სადაც პარლამენტში ფიზიკური ანგარიშსწორება ღამის დღის წესრიგშია შეტანილი, სადაც პოლიტიკური პარტიების დაპირისპირება სისხლისღვრით მთავრდება, ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ამერიკის კი არა, თუნდაც ალბანეთის რჩევას (ფეხბურთში მაინც) დაუჯეროს. საოცარია, წერილს, რომელიც მისი შინაარსიდან გამომდინარე, დიდი ხანია რუსეთისთვის უნდა გაეგზავნათ, ამერიკელებს უგზავნიან.

წერილის ავტორებთან დაკავშირებით კი ვიტყოდი, რომ მათი არ მჯერა: ის ხალხი, ვინც 12 წლის წინ ჯორჯ ბუში უფროსის გინებისათვის დისიდენტ-პრეზიდენტს ეომებოდა, დღეს თავად უგზავნის მისი შვილის ელჩს შეურაცხმყოფელ წერილს.

## სახელისუფლებო ბლოკი სირაქლემის პოზაში

სახელისუფლებო ბლოკის სხდომები ბოლო პერიოდში "დემონსტრაციულად" აღარ ტარდება კანცელარიაში – სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები ამით ცდილობენ იმის ხაზგასმას, რომ "პარტიული თათბირებისთვის" სახელმწიფო დანესებულებების შენობებს არ იყენებენ.

გუშინაც სამთავრობო ბლოკი თავის ოფისში – დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის ყოფილ შენობაში შეიკრიბა და თათბირზე იმსჯელა პარლამენტში შექმნილ სიტუაციაზე, საარჩევნო კოდექსის "დარჩენილი ნაწილის" დამტკიცებაზე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შესაძლო პასუხისმგებლობაზე. თუმცა, ამ უკანასკნელ ინფორმაციას ღიად ბლოკის არც ერთი ლიდერი არ ადასტურებდა. გუშინ, ჯერ კიდევ ბლოკის შეხვედრამდე გახდა ცნობილი, რომ პარლამენტის სახელისუფლებო ძალები ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებენ "რეგლამენტური გადაცდომებისთვის", რაც "პირველ შემთხვევაზე" საყვედურის გამოცხადებას ითვალისწინებს.

გუშინდელ სხდომაზე საუბარი იყო ბიუჯეტზეც. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები პრაქტიკულად ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ **"მიუხედავად შექმნილი მძიმე სიტუაციისა, ბიუჯეტის დაუმტკიცებლობით საქმეს არ ეშველება"** და ამიტომ, საბიუჯეტო სეკვესტრს სახელისუფლებო ბლოკი მხარს დაუჭერს. მართალია, სეკვესტრის დასამტკიცებლად ხმები ხელისუფლებას, ჯერჯერობით, არ აქვს და მომხრეების მოსაპოვებლად მუშაობს.

საგულისხმოა კიდევ ერთი დეტალი: იმ ფონზე, როცა რუსული კომპანიის ქართულ ენერგეტიკაში შემოსვლის ერთ-ერთ დადებით მხარედ ხელისუფლება ტარიფის შესაძლო დაკლებას აცხადებს, ბლოკის შეხვედრის დაწყებამდე ტარიფის შესაძლო გაძვირების (გუშინ, როგორც ცნობილია, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სემეკმა) კომენტირებისას, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, რომ **"ეს სემეკის საქმეა, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა."**

*24 საათი*

## საბიუჯეტო ნაკლოვანებები

ვირველი გვერდიდან

ნანა ჯოხაძე

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში ყველაზე მეტი პრობლემა ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობაში შეიქმნა. ოპოზიციური პარტიების ნაწილი ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვაზე უარს აცხადებს, ნაწილი კი ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვას ითხოვს. ბურჯანაძის თქმით, ოპოზიციური პარტიების ნაწილის მოთხოვნა ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვის შესახებ ბიუჯეტის განხილვის დაწყების შემდეგ შეიქმნა. ბურჯანაძის თქმით, ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვის მოთხოვნა ბიუჯეტის განხილვის დაწყების შემდეგ შეიქმნა. ბურჯანაძის თქმით, ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვის მოთხოვნა ბიუჯეტის განხილვის დაწყების შემდეგ შეიქმნა.

## ბიუჯეტის ნაკლოვანებები

ვირველი გვერდიდან

ნანა ჯოხაძე

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში ყველაზე მეტი პრობლემა ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობაში შეიქმნა. ოპოზიციური პარტიების ნაწილი ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვაზე უარს აცხადებს, ნაწილი კი ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვას ითხოვს. ბურჯანაძის თქმით, ოპოზიციური პარტიების ნაწილის მოთხოვნა ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვის შესახებ ბიუჯეტის განხილვის დაწყების შემდეგ შეიქმნა. ბურჯანაძის თქმით, ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვის მოთხოვნა ბიუჯეტის განხილვის დაწყების შემდეგ შეიქმნა. ბურჯანაძის თქმით, ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვის მოთხოვნა ბიუჯეტის განხილვის დაწყების შემდეგ შეიქმნა.

## შესაძლებელია გადამხდელების ლეგალიზება?

სოფიკო ოხანაშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა ივლისის თვის საბიუჯეტო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ იასე ზაუტაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საგადასახადო დეპარტამენტმა ივლისის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში 47,537 მილიონი ლარის მობილიზება მოახერხა, გეგმით კი მხოლოდ 47, 050 მილიონის აკუმულირება ევალებოდა.

რაც შეეხება შვიდი თვის შედეგებს, ზაუტაშვილის თქმით, შვიდი თვის მონაცემების მიხედვით, ცენტრალურ ბიუჯეტში, საგადასახადო შემოსავლების კუთხით, მობილიზებულია 170 მილიონი ლარი, სოციალურ ფონდში - 127 მილიონი ლარი, ადგილობრივ ბიუჯეტებში - 195 მილიონი ლარი, რაც წლის გეგმის (882,3 მილიონი ლარი) 54 პროცენტს შეადგნს.

საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და დარწმუნებულია, რომ მომავალ თვეებში მობილიზებული გადასახადების საშუალო მაჩვენებელი 73 მილიონზე ნაკლები არ იქნება.

საგადასახადო დეპარტამენტმა, დარღვევებისა და არარეგისტრირებულების აღმოჩენის მიზნით, ორი დღის წინ სავაჭრო დაწესებულებების შემოწმება დაიწყო. საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, უკვე შემოწმებულია 230 ობიექტი და ყველგან სამართალდარღვევის ფაქტები აღმოჩნდა. ზაუტაშვილის თქმით, დეპარტამენტი უახლოეს ხანებში საფთიაქო ქსელისა და ბაზრობების შემოწმებასაც გეგმავს.

**"დიდი ბაზრობებიდან ბიუჯეტში მხოლოდ 50 ათასი ლარი შედის. ჩვენი გათვლებით, ეს რეალურ შესაძლებლობებზე სამჯერ და უფრო მეტჯერ ნაკლებია. ბაზრობებზე დახლების 80 პროცენტი დაუბეგრავად მუშაობს",** - განაცხადა ზაუტაშვილმა.

პრესკონფერენციაზე საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ბრალდებები უარყო. **"საგადასახადო სამსახურები გადამხდელებს სანთლით ეძებენ, ამიტომ გადამხდელთა დამალვა საგადასახადო ინსპექციის ინტერესებში არ შედის",** - განაცხადა ზაუტაშვილმა. მისი ინფორმაციით, ამჟამად რეგისტრირებულია 223 ათასი გადამხდელი, რეალურად კი გადასახადს მხოლოდ 55-60 ათასი იხდის.

# რიჩარდ მაილსი: "საფლავამდე მივყვებით, ვიდრე საქართველოში სამართლიანი არჩევნები არ ჩატარდება"

ვირველი გვერდიდან

ირინა ლომაიას ფოტოები

*რიჩარდ მაილსი დღეისათვის ყველაზე რეიტინგულ პარტიებთან კონსულტაციებს არ წყვეტს.*

სამივეჯერ ასეთი პასუხი მიიღეს: **"ამ კითხვაზე იმდენჯერ ვუპასუხე, რომ უკვე გამეორება აღარ მსურს."** ძნელად დასაჯერებელია, რომ დიპლომატმა და მასმედიასთან მუდამ თავაზიანმა მაილსმა ჟურნალისტებს რამდენიმე სიტყვის ხელახლა გამეორება დაამადლა. ამის შემდეგ ჟურნალისტებმა ხერხს მიმართეს და სხვა ფორმით დაუსვეს კითხვა: **"დაარღვია თუ არა ქართულმა მხარემ ამერიკის რეკომენდაციები?"** მაგრამ მაილსი არ დაიბნა. მისი პასუხი ორაზროვანი იყო: **"ამის თქმა არ შემიძლია."**

**"პარტიებთან ერთად საარჩევნო პროცესის პროგრესულად განვითარებისთვის აქტიურად მუშაობენ საქართველოში აკრედიტებული ელჩები,"** - განაცხადა გუშინ შრომის პარტიის ლიდერმა. ნათელაშვილის ინფორმაციით, დღეისთვის დაგეგმილია ელჩების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ეუთო-სთან.

მაილსი "თელასის" "რაო"-თი ჩანაცვლებას პოლიტიკურ დატვირთვას არ ანიჭებს: **"ეს არ არის პოლიტიკური საკითხი, თანაც არც სიახლეა – ერთი წელია, რაც "თელასის" გაყიდვის შესახებ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები."** ამერიკის ელჩის შეფასებით, **"თელასმა" ვერ შეძლო საქართველოში მუშაობა, მისმა ბიზნესმა ვერ გაამართლა."**

შეიცვალა თუ არა საქართველოს ორიენტაცია ამერიკიდან რუსეთისკენ? მაილსი თავის პოზიციას აფიქსირებს და ყოველი შემთხვევისთვის, თავს იზღვევს: **"არა მგონია, ეს სიმართლე იყოს, თუმცა, დრო ყველაფერს გვიჩვენებს."**

მიხეილ სააკაშვილმა აღშფოთება ვერ დამალა ამ ბოლო დროს ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკის გამო: **"ხელისუფლების ორიენტაციის შეცვლა გამოიხატება იმაში, რომ იგი აშკარა დიქტატურაზე გადადის."**

სააკაშვილის აზრით, "თელასი" "რაო"-ს საქართველოს კანონის და საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით გადაეცა. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი ამ დღეებში მრავალი მამხილებელი დოკუმენტის გამოქვეყნებას აპირებს. როგორც მიხეილ სააკაშვილმა პრესას განუცხადა, იგი სიმართლის დასადგენად საქართველოს ხელისუფლებას საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლებს.

# თბილისური დღეები ერედვში

ვირველი გვერდიდან

საბჭოთა ხელისუფლების დროს რევოლუციურ კლუბებს, ხოლო განვითარებულ სოციალიზმში კულტურის სახლებს უწოდებდნენ, ესტრადა 10 წელი აღარ ენახა, მაგრამ მისი სვეტებიანი ფასადის წინ მოსალოდნელზე ცოტა ხალხი შეგროვდა (მარტო ერედვში 1000 კომლი ცხოვრობს).

**- რა არი, ბიჭო!... ცოტა ადრე რო ეთქვათ, კონცერტი იქნებაო, ხალხი მერე გენახათ, მინდორში არიან, რა ქნან, რაა... აემ პატარა მოედანზე ჭიდაობას რო გავმართავთ ხოლმე, მაშინ ივსება აქაურობა და...** – თითქოს ბოდიშობდნენ ერედველები.

ამასობაში, წამყვანი აჩი ფურცელაძეც გამოჩნდა და დაიწყო წივილ-კივილი. მართალია, ამ საქმეში დიდი წვლილი აჩის შესაბამის ბრძანებებს მიუძღოდა ("გამაგონეთ თქვენი ხმა!", "აბა, ვინ უფრო მაგრა იკივლებს, გოგონები, თუ ბიჭები?!", "ხელები, ხელები, ხელები!" და ა.შ.), მაგრამ თავდაუზოგავ ტაშს თავად შემსრულებლებიც იმსახურებდნენ.

თემო რცხილაძე, თემურ თათარაშვილი, თამთა გოგუაძე, ანი, "სპეისი", "ფლეში", "საუნდი" გულთბილი მისალმებისა და მოფერების შემდეგ, თავის საუკეთესო სიმღერებს ასრულებდნენ. მრავალმხრივ ცნობილი გივი სიხარულიძე ხალხს მწერალთა კავშირის სახელით მიესალმა და თავისი ნოველების წიგნიც დაარიგა. საგანგებო სამეთაო სამინისტროს მინისტრის მოადგილე ლალი მორაშკინა წარმოადგენდა. იქვე იყო გუბერნატორი დავით ქობლიანიძე და თბილისის ვიცე-მერი გიორგი კარბელაშვილი.

ხალხი ყველას ოვაციით ხვდებოდა.

ერედვში, ისევე, როგორც ყველა რეგიონში, კონცერტზე მოსული ხალხი რამდენიმე ნაწილად იყოფოდა. მსმენელები, ძირითადად, ბავშვები და მოზარდები იყვნენ, რომლებმაც ზეპირად იცოდნენ ყველა სიმღერა და ტელეეკრანისა და რადიოს გმირებს თავიანთი ემოციით სათანადო სტიმულსაც აძლევდნენ. შემდეგ ფენას მაყურებლები წარმოადგენდნენ, რომლებიც გულხელდაკრეფილები გაუნძრევლად იდგნენ და იდგნენ.

იყვნენ დამკვირვებლებიც, რომლებიც აქეთ-იქით მოძრაობდნენ, თითქოს ყველაფრის დამახსოვრებას ცდილობენო.

რუსი "მიროტვორცებიც" მოვიდნენ და სწორედ მათზე ვკითხეთ ნეიტრალურ ერედველებს.

**- ეს რუსები როგორ იქცევიან?**

- მაგათია ბაღები, რა! დადიან, იპარავენ ხილს, ყიდულობენ არაყს და "გულაობენ".

**- ჩვენი ბიჭები?**

- ჩვენები მაგრები არიან. მაგ რუსებს ფეხბურთი ეთამაშეს და 12:1 მოუგეს. მერე ვკითხეთ, ჩხუბში გახვალთ-თქო და...მოვიდნენ, მაგათი დედა ვატირეთო, დავშლით დავამტვრევთ ძვლებშიო, მაგრამ რად გინდა. რუსებს ყველაფერი აქვთ. ჩვენ ბიჭებს - არაფერი.

**- ოსებზე რას იტყვით?**

- ოსებზე, რა. ისე კარგი ურთიერთობა, როგორც გვქონდა, აღარ გვაქვს, მაგრამ ვმეზობლობთ. ჭირია, ლხინია ერთმანეთს ვეპატიჟებით, მივდივართ, მოვდივართ.

რამდენიმე ლტოლვილი ოსი დაბრუნდა კიდეც ჩვენ სოფელში. ჩვეულებრივად მივიღეთ, მიწა მივეცით, ცხოვრობენ. მიმოსვლა თავისუფალია, სამკურნალოდ ცხინვალში დავდივართ, სიხარულით გვიღებენ, იმიტომ რომ ჯანდაცვა უფასოა და ოსები ფულს არ იხდიან.

**- თქვენ როგორ ცხოვრობთ?**

- ვწვალობთ, შემოსავალი არაფერი არ არის. შიმშილით არ იხოცება ხალხი.

**- მოსავალი როგორია?**

- მოსავალს არა უშავს, მაგრამ ამხელა სოფელში ერთი კომბაინი მუშაობს და საქმეს ვერ აუდის. ხორბალი შავდება და ფუჭდება. წვიმა რომ მოვიდეს, დავიღუპებით.

**- ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე რას იტყვით...**

- სამი დღეა, დენი არ ყოფილა, რა უნდა ვთქვათ.

**- არჩევნები მოდის, ხალხი ვის უჭერს მხარს?**

- ზოგი - ვის და ზოგი - ვის.

ხმაურიანი კონცერტი ავტოგრაფების გაცემით დასრულდა. ყველა კმაყოფილი დარჩა. მომღერლები მომავალი კონცერტებისთვისაც მზად არიან. გიორგი კარბელაშვილის თქმით, უახლოესი გასვლა მომავალ კვირაში შედგება.

# "21-ე საუკუნე" მანანა არჩვაძესთან და "აღორძინებასთან" ერთად

*არ არის გამორიცხული, წინასაარჩევნო პერიოდში "აღორძინებამ" ექსპრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ქვრივის, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას კეთილგანწყობა მოიპოვოს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ამ ქალბატონს "აღორძინების" საარჩევნო სიაში ვიხილავთ. როგორც გუშინ გაირკვა, "აღორძინებას" უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკებები ექსპრეზიდენტის ქვრივთან. ამ ინიციატივის ოფიციალური ავტორები კი ფრაქცია "21-ე საუკუნის" წევრები არიან, ანუ ადამიანები, რომლებიც თავს ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მემკვიდრეებად მიიჩნევენ.*

თამარ მჭედლიშვილი

ფრაქცია "21-ე საუკუნე" კმაყოფილია – ბოლო დროს მათ პარლამენტში გააქტიურების შანსი მიეცათ, რაც ფრაქციის წევრებმა შესანიშნავად გამოიყენეს კიდეც. ასე, მაგალითად, ამიერიდან ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების მოდელს ფრაქციის ერთ-ერთი წევრის ჯემალ გამახარიას სახელი დაერქმევა. მეტიც, ისინი უკვე მერამდენედ აცხადებენ, რომ **"გამახარიას მიერ შემოთავაზებული ვარიანტის პარლამენტში გასვლა ჭეშმარიტი ოპოზიციის გამარჯვებაა და სრულიად სამართლიანია, რომ ამ ინიციატივის ავტორები სწორედ ისინი არიან – პოლიტიკური ძალა, რომელმაც თავის თავზე იწვნია შევარდნაძის მხრიდან დევნა-შევიწროება, მაგრამ ამის მიუხედავად, ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას იდეების გულმხურვალე მხარდამჭერად დარჩა."**

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ფრაქციის წევრები მოლაპარაკებებს აწარმოებენ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან.

ელიზბარ ჯაველიძის განცხადებით, ორი დღის წინ იგი შეხვდა მანანა არჩვაძე-გამსახურდიას და მათი კონსულტაციები თანამშრომლობის თაობაზე ყოველ კვირას გაგრძელდება, იმის მიუხედავად, რომ ექსპრეზიდენტის ქვრივს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ჯემალ გამახარია კი აცხადებს, რომ **"არსებობს ორი ჭეშმარიტი ზვიადისტური მიმართულება - ბლოკი "21-ე საუკუნე", "აღორძინებასთან" ერთად, და მანანა არჩვაძის ირგვლივ შეკრებილი "მრგვალი მაგიდა". ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და არანაირი განხეთქილება ჭეშმარიტ ზვიადისტურ ძალებს შორის არ არსებობს."**

ჯერ ცნობილი არ არის მანანა არჩვაძე-გამსახურდიას საბოლოო პასუხი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ფრაქცია "21-ე საუკუნე" ასეთ საჯარო განცხადებას "აღორძინების" გარეშე ვერ გააკეთებდა. ასე რომ, ექსპრეზიდენტის ქვრივთან დაახლოება თავად ასლან აბაშიძის ინიციატივა გამოდის. სხვათა შორის, მოგვიანებით, "24 საათთან" საუბრისას "აღორძინების" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ დაგვიდასტურა, რომ ეს იდეა სწორედ მისი პარტიისაგან მოდის. **"მე და ბატონი ელიზბარ ჯაველიძე ერთად შევხვდით მანანა არჩვაძე-გამსახურდიას. ყველაფერი იქით მიდის, რომ ჩვენ არჩევნებში ერთად გამოვიდეთ,"** - გვითხრა გოგიტიძემ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ "აღორძინება" არ აპირებს საარჩევნო ბლოკის შექმნას. ეს კი ნიშნავს, რომ მანანა არჩვაძე-გამსახურდია, ასლან აბაშიძის წინადადების მიღების შემთხვევაში, მის პარტიულ სიაში აღმოჩნდება.

გუშინვე გაირკვა, რომ "აღორძინება" ბოლომდე არ წყვეტს კავშირს ჯუმბერ პატიაშვილთან და "ერთობასთან". ამ ინფორმაციის გამხმოვანებლები კვლავ "21-ე საუკუნის" წევრები აღმოჩნდნენ.

**"აღორძინება" ცესკო-ში კუთვნილი სამი ადგილიდან ერთს "ერთობას" დაუთმობს, თუკი ეს პარტია მომავალ საპარლამენტო არჩევნებში "აღორძინებასთან" ერთად გადაწყვეტს გამოსვლას,"** – განაცხადა "21-ე საუკუნის" თავმჯდომარემ ელიზბარ ჯაველიძემ. ეს ფაქტი "ცესკო-ს მამამ", ჯემალ გამახარიამ დაადასტურა.

# როგორ მოვათლა აბსანძემ გამახარია მეორედ

სოფო ბუკია

*"მოვიდა კაცი და მომნათლეო, მეუბნება. მოვნათლე, აბა უარს ხომ არ ვეტყოდი, კაცო? თურმე, ერთხელ უკვე ყოფილა მონათლული ის საცოდავი, ისა... გეკითხებით მე თქვენ, რა უნდა ელაპარაკო ეხლა ასეთ კაცს? დამეხრჩო ნეტა იმ სანათლავ ჭურჭელში, მეც მოვისვენებდი და ქვეყანაც,"* – ასე გამოხატა საკუთარი აღშფოთება "აღორძინების" წევრის ჯემალ გამახარიას მისამართით მისმა მეორედ ნათლიამ გურამ აბსანძემ.

გამახარიას მეორედ ნათლობა ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირში გამართული პრესკონფერენციის დედა-აზრი არ გახლდათ, თუმცა, უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო. ეროვნულები, როგორც საკუთარ თავს აბსანძის თანაპარტიელები უწოდებენ, ცესკო-ს არასამართლიანმა დაკომპლექტებამ გაანაწყენა. **"აღორძინებამ" ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენ ცესკო-ში ადგილი არ მოგვეპოვებინა. კარგი, მათ ღირსება დაკარგეს, მაგრამ ჭკუა ხომ ჰქონდათ, როცა ზვიად გამსახურდიას სამართალმემკვიდრედ მანანა არჩვაძეს ასახელებდნენ. მე დღეს ცოლს რომ გავშორდე, ჩემი პარტიის სამართალმემკვიდრე ის იქნება?"** – იკითხა ბატონმა გურამმა და დასძინა, რომ ასეთი ლოგიკით მას თამამად შეუძლია ჩინეთის იმპერატორად დანიშნოს საკუთარი თანამებრძოლი ნემო ბურჭულაძე.

მისი თქმით, "აღორძინებას" და "მისნაირებს" არ სურთ საქართველოში სტაბილიზაცია, რადგან არჩევნებში გამარჯვების იმედი არა აქვთ.

სტაბილიზაციას კი, როგორც ჩანს, ვერ ვეღირსებით, სანამ "ეროვნულებს" ცესკო-ში ადგილს არ მისცემენ. **"ჩვენ ფართომასშტაბიან სახალხო გამოსვლებს დავიწყებთ, სტრატეგიული ობიექტების ბლოკირებას მოვახდენთ და გზებს გადავკეტავთ,"** – განაცხადა "ეროვნულების" ლიდერმა.

მისი თქმით, **"მონიზმის სენით დაავადებულმა, გამყიდველმა ყოფილმა ზვიადისტებმა - ჯემალ გამახარიამ, ელიზბარ ჯაველიძემ და ანზორ აბრალავამ"** აბსანძეს და მის თანაგუნდელებს სერიოზულ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბება ვერ აპატიეს.

**"ან სიკვდილი ან გამარჯვება, სხვა გზა არ დაგვრჩენია. 3 ნოემბრის შემდეგ საქართველოს აღარ ეყოლება ორი სისხლისმსმელი კლანი – შევარდნაძეებისა და აბაშიძეების კლანი,"** – გვპირდება ჯემალ გამახარიას ნათლია.

ლევან სურმანიძის ფოტო

*გურამ აბსანძე: "დღეს ცოლს რომ გავშორდე, ჩემი პარტიის სამართალმემკვიდრე ის იქნება?"*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გაერო-ს სოხუმის ოფისში დღეს აფხაზეთში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლთა მისიის მოქმედების 10 წლის იუბილე აღინიშნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ოზურგეთი.** "ნაციონალური მოძრაობის", "ტრადიციონალისტთა კავშირისა" და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების 50-მდე აქტივისტმა გუშინ ოზურგეთში ერთობლივი საპროტესტო მსვლელობა მოაწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალებისა" და "ლეიბორისტების" ფრაქციებს შორის ტრადიციად ქცეული დაპირისპირების გამო გუშინ თბილისის საკრებულოში საგანგებოდ მოწვეული სხდომა ჩაიშალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქრისტიან-კონსერვატორები" ცესკო-ს დაკომპლექტების საკითხზე ზურაბ ჟვანიას დაელაპარაკებიან, რომელმაც ადგილობრივ არჩევნებში მათი სახელით იყარა კენჭი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯუმბერ პატიაშვილი უარყოფს "აღორძინების" წინადადებას ცესკო-ში ერთი ადგილის დათმობის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე ავთანდილ მარგიანი ედუარდ შევარდნაძეს ურჩევს, ხელისუფლება მანანა არჩვაძე-გამსახურდიას და ასლან აბაშიძეს გადააბაროს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ში დადებითად გადაწყდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში პოლიციის 20 ინსტრუქტორის გაგზავნის საკითხი, მხარეთა სამართალდამცველი ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქალაქის ცენტრში მდებარე ყველაზე დიდი უნივერმაღი "თბილისი" დაიხურა. საგანგებო ლეგიონის ცნობით, უნივერმაღ "თბილისის" შემოწმება გუშინ დაიწყო. ლეგიონში შესული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, უნივერმაღში აღურიცხავი საქონელი ბრუნავს. ჯერჯერობით უცნობია, რა დრო დასჭირდება მის შემოწმებას და როდის იქნება შესაძლებელი მისი გახსნა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს დღეებში აღდგება პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგსა და თბილისს შორის: „კოლცოვის“ აეროპორტში კვირაში ერთხელ იფრენს ქართული ავიაკომპანია „თბილავიამშენის“ ტუ-134 ტიპის თვითმფრინავი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებით, დედაქალაქში, დაახლოებით, 5 ათასი სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს. თუმცა, ოფიციალურად ამ რაოდენობის მხოლოდ ნახევარია აღრიცხული. საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობა, ქალაქის ქუჩებში შექმნილი მდგომარეობის გამო, მათზე კონტროლს მოითხოვდა. საგადასახადოს კი თავის დარდი აქვს - ბიუჯეტში თანხა ყველამ უნდა შეიტანოს. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ს.ს. "ჭიათურმანგანუმში" წარმოების ზრდას ხელფასების ზრდაც მოჰყვა. თუ წლის დასაწყისში საწარმოში საშუალო ხელფასი 80 ლარს შეადგენდა, ივლისის თვეში იგი კვე 155 ლარს გაუტოლდა. რაც შეეხება 1995 წლიდან დაგროვებულ დავალიანებას, რომელიც 3 მლნ 300 ათას ლარს შეადგენს, შემუშავებულია მისი დაფარვის გრაფიკი. წელს თანამშრომლებმა მიმდინარე ხელფასთან ერთად 131 ათასი ლარის საერთო ოდენობის ძველი დავალიანება მიიღეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მთავრობის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტი კვლავ არარეალურ პროგნოზს ემყარება. მთავრობამ, ნაცვლად 96 მილიონი ლარით ხარჯების შემცირებისა, რომელიც სავალუტო

# ჩუბაისის ტრიუმფი

ПЕРВЫЙ ГВЕРДИДАН

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდება: პირველი ენერგოსანქცია უკვე 15 აგვისტოს გველოდება, თუ მანამდე საქართველომ მიმდინარე ვალი - 2,6 მილიონი დოლარი არ დაფარა. მორიგი დასჯა კიდევ 2 კვირის შემდეგ გველის, თუ აგვისტოს ბოლომდე ბარტერის სახით მიღებული 60 მილიონი კილოვატსაათი ენერგია "რაოს" არ დაუბრუნდება. და ბოლოს, სიურპრიზთა სიურპრიზი: სექტემბრიდან მაისის ჩათვლით (და ასე უსასრულობამდე) საქართველო მუდმივად უშუქოდ იქნება, თუ ყოველთვიურად არ წარადგენს აკრედიტივს ენერგიის საფასურის 100 პროცენტიან გადახდაზე. ეს კი, სულ მარტივად ნიშნავს, რომ **შუქი არ გვექნება**, ისევე როგორც არ გვაქვს გაზი, რადგან 100 პროცენტიან გადახდას, ცხადია, ვერავინ უზრუნველყოფს. ან გვექნება მეორე, უკვე კარგად ნაცადი ალტერნატივის წესად ქცევის აუცილებლობა: განურჩევლად მხარჯველისა, მოხმარებული დენის საფასურის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტს მოუწევს, როგორც ეს "იტერასთან" ურთიერთობებში ხდება. "იტერას" სქემამ უკვე წელში გაწყვიტა ფინანსთა სამინისტროც და თბილისის მუნიციპალიტეტიც. როგორ ფიქრობთ, გაუძლებს საქართველოს ბიუჯეტი კიდევ ერთი მრავალმილიონიანი, ამჯერად უკვე "რაოს" "სახელობის" ლოდის თრევას? ძნელი დასაჯერებელია.

მაშინ რა არის გამოსავალი? არც ეს არის ძნელად საპროგნოზო: საქართველოს "რაო ეეს"-ის 46 მილიონი უკვე მართებს. ამ ვალის რესტრუქტურირების სქემა სექტემბერში უნდა შემუშავდეს. ჩუბაისი, ახლაც და ადრეც, დაუფარავად აცხადებდა, რომ არაფერი აქვს საწინააღმდეგო, თუ დავალიანებას ენერგოობიექტებით გაუსტუმრებენ. მთელი თბილისი და მასზე აწყობილი ინფრასტრუქტურა მან უკვე მიიღო. ამ 46 მილიონში ის, სავარაუდოდ, ენგურჰესის და მთელი აფხაზეთისპირა ენერგოინფრასტრუქტურის მართვას ან სულაც საკუთრებაში გადაცემას მოითხოვს. აფხაზეთისკენ მიმავალი "სალხინოს" გადამცემი ხაზიც, ანატოლი ბორისოვიჩს, სავარაუდოდ, ასევე არ დარჩება ყურადღების მიღმა. რუსეთისთვის უმნიშვნელოვანეს პანკისთან მიახლოებულ კახეთში ერგანაი-გურჯაანის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი უნდა აშენდეს და "რაო"-ს მახვილი მზერა იქითაც აქვს მიმართული.... ასე, წვრილ-წვრილ ძაფებად შეიკვრება ის აბლაბუდა, რომელიც ქართულ სახელმწიფოს ენერგომონობის თავდაუღწეველ ქსელში მოაქცევს.

ეს პროცესი უკვე დაწყებულია: "რაო" საქართველოში ენერგიის არა მხოლოდ მომწოდებელი, არამედ მწარმოებელი ("თბილსრესი", "ხრამი-1", "ხრამი-2"), გადამცემი ("კავკასიონი", "ტრანსენერჯი") და დისტრიბუტორიც ("თელასი") იქნება. ანუ მისი ახალი ქართული შვილობილი იქნება ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის, არც მეტი, არც ნაკლები, "საკონტროლო პაკეტს" დაეპატრონება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სოჭის შეთანხმების მიხედვით, შევარდნაძე მზადაა, "რაოს" ენგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადის რეაბილიტაციაც ჩაბაროს (ცხადია, რუსული ენერგოგიგანტის შემდგომი ინტერესების გათვალისწინებით), უეჭველი ხდება, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ენერგეტიკა რუსული ენერგოსექტორის განუყოფელი ნაწილი გახდება.

ასოცირებული პრესი

veni, vidi, vici ჩუბაისი ტრიუმფით ტკბება.

არის სხვა გამოსავალი?

არის!

რუსეთის რეგიონთა უმრავლესობის მსგავსად, ჩაბნელებული და სავსებით პარალიზებული საქართველო, უშუქობის გამო დახოცილი ავადმყოფებით, გაყინული ჩვილებით, გაჩერებული წარმოებით, გაძვირებული ცხოვრებით და სხვა მრავალით. ანუ არჩევანი მარტივია: რუსულ ენერგეტიკაში გათქვეფა ან, უბრალოდ, თავის სასიკვდილოდ გადადება.

რა არის ასეთი მონობის ფასი? როგორც მოლაპარაკებების ერთერთი მონაწილე რუსულ მედიასთან საუბარში აცხადებს, **"ქართული ხელმოწერები ძვირი არ ღირს"**. თუმცა, როგორც მოსალოდნელია, ჩუბაისი არ ამხელს გარიგების ღირებულებას, რადგან მისი "ეი-ი-ეს"-თან კონტრაქტის ამ ნაწილს ერთწლიანი ემბარგო ადევს. თუმცა, რუსეთის ენერგომამა ამბობს, რომ მომავალი წლის შუახანებისთვის, როცა "რაო"-ც და "ეი-ი-ეს"-იც წლევანდელ ფინანსურ ანგარიშებს გამოაქვეყნებენ, **"რუსული კომპანიის აქციონერები მას მადლობას ეტყვიან"**.

ამაში ეჭვი არავის ეპარება. მით უფრო, რომ არსებობს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ – "რაო"-ს "ეი-ი-ეს"-ის ქართული აქტივები ძალიან იაფი დაუჯდა. რუსეთის საფონდო ბაზრის საკმაოდ კომპეტენტური ანალიტიკოსები, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ, საკუთარ კომპანიათა ოპერაციები გაზრდილი ნიხრით შეაფასონ, აცხადებენ, რომ "ეი-ი-ეს"-ის ქართული აქტივების რეალური ჯამური ფასი 100 მილიონ დოლარს არ აჭარბებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თანხის დისკონტირება ქვეყნის საინვესტიციო რისკისა და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებლის გათვალისწინებით მოხდა, ეს თანხა განახევრებული, გამესამედებული ან სულაც, გამეოთხედებული შეიძლება იყოს.

შედარებით ოპტიმისტებს სიტუაციიდან გამოსავლად დადებული კონტრაქტის გასაჩივრება მიაჩნიათ. მაგრამ, ვინ არის დარწმუნებული, რომ ეს შედეგის მომცემი იქნება და მხოლოდ ახალ ხარჯებად არ დაგვეწერება? "ეი-ი-ეს"-ის ყოფილი ქართული აქტივების ახალი მფლობელია ფინეთში რეგისტრირებული "რაო ნორდიკი", რომელიც "რაო"-ს ექსპორტ-იმპორტის ოპერატორი შვილობილის - "ინტერ რაო"-ს შვილობილია. სწორედ "რაო"-ს ამ "შვილიშვილობილს" მიჰყიდა ქართული აქტივები "ეი-ი-ეს" კორპორაციის ასევე შვილობილმა ჰოლანდიურმა ოფშორულმა კომპანიამ. შესაბამისად, გარიგება მომხდარია არა რუსულ და ამერიკულ, არამედ ფინურ და ჰოლანდიურ კომპანიებს შორის. შესაბამისად, საქართველოს მისი გასაჩივრების, პრაქტიკულად, არანაირი შანსი აღარ გააჩნია.

**"საქართველოს ენერგეტიკის დასაკუთრება დსთ-ს ქვეყნების ენერგოაქტივების მასიური შესყიდვის კამპანიის პირველი ნაბიჯია,"** - განაცხადა ანატოლი ჩუბაისმა. **"ჩვენი ისინი შევჭამეთ"**, - ასე მოკლედ დაუხასიათეს რუს ჟურნალისტებს გარიგების არსი "რაო ეეს"-ის შედარებით დაბალი რანგის მენეჯერებმა. "შეჭმულებში", ამ შემთხვევაში, ამერიკელები იგულისხმებიან. რაც შეეხებათ ქართველებს, მათზე ლაპარაკიც არ არის: ისინი ხომ საკუთარმა ხელისუფლებამ დააგირავა, თან გამოხსნისა თუ გამოსყიდვის ყოველგვარი შანსის გარეშე.

# ქართული ენერგეტიკის რუსული განთიადი

*ენერგოსკანდალი გრძელდება. ენერგოკრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი, ქართული მხარის ინტერესების გათვალსწინების გარეშე, "თელასის" "რაო ეეს როსსიის" საკუთრებაში გადაცემისთვის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. გარდა ამისა, ჩუბინიშვილი მიიჩნევს, რომ ჩუბაის-ჯორბენაძეს შორის 6 აგვისტოს გაფორმებული მოლაპარაკებათა ოქმი იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება "თელასის" აქტივების "რაოს" საკუთრებაში გადასვლის წინააღმდეგი არ არის.*

მაია ურუშაძე

გუშინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას ჩუბინიშვილის კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა. მინისტრმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ერთობლივი სამთავრობო და საპარლამენტო კომისია, რომელიც ამერიკულ "ეი-ი-ესსა" და რუსულ "რაოს" შორის "თელასის" ყიდვა-გაყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების კანონიერებასა და ამ გარიგების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობებს შეისწავლის.

თუმცა, როგორც კომისიის წევრი იურისტები მიიჩნევენ, ჩუბაისის ვიზიტის შემდეგ რეალობა ქართული მხარისთვის არცთუ სასიკეთოდ შემოტრიალდა. **"რაო ეეს როსსიის" მიერ იმ კომპანიების ჯგუფის შეძენასთან დაკავშირებით, რომლებიც ქართული კომპანიების - "ეი-ი-ეს მტკვარის", "ეი-ი-ეს ტრანსენერჯის", "ეი-ი-ეს თელასის" აქციებსა და "ხრამჰესის" აქციების მართვის უფლებას ფლობენ, "რაო" იღებს ზემოთ აღნიშნული ობიექტების მართვის პასუხისმგებლობას,"** – წერია ოქმში.

ასოციაცია "ნავკოს" პრეზიდენტი, "ეი-ი-ესსა" და საქართველოს ხელისუფლებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შემსწავლელი კომისიის წევრი, ექსპერტი გია ხუხაშვილი აცხადებს: **"მიუხედავად იმისა, თუ რა წერია შიგნით, ჩუბაის-ჯორბენაძის ხელშეკრულება შეგვიძლია მთავრობის თანხმობად მივიჩნიოთ. მთავრობა მიიჩნევს, რომ მისი ხელმოწერით საზოგადოებას საქმის გამოსწორების ყველა გზა მოუჭრა, მაგრამ კომისია ძიებას მაინც განაგრძობს."**

კომისიამ მინისტრისგან ახსნაგანმარტებები რუსეთის მხრიდან შეუვსებელ "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებითაც მოითხოვა.

საქმე ის არის, რომ რუსული მხარე 1991-1995 წლებში (ანუ, ომის პერიოდში) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ხარჯზე დაგროვილი 46 მილიონი დოლარის ოდენობის ვალის ქართული მხარის დავალიანებად აღიარებასა და "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალში ჩადებას ითხოვდა. ჩუბინიშვილის განცხადებით, **"სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ რუსეთის ყოფილ ვიცე-პრემიერ ილია კლებანოვთან შეხვედრისას ეს ვალი აღიარა."** დავით მირცხულავა კი დღემდე აცხადებს, რომ "რაოს" მიერ აფხაზეთისა და ცხინვალისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასური ვალად არ უნდა იქნეს აღიარებული.

მიუხედავად მირცხულავას ხმამაღალი განცხადებისა, რომ ის **"არასოდეს ამ ვალს არ აღიარებს"**, ჩუბაის-ჯორბენაძეს შორის 6 აგვისტოს გაფორმებულ ოქმში ამ ვალის საკითხი ერთ-ერთ პუნქტად არის შეტანილი. სხვათა შორის, ამ ოქმს თავად დავით მირცხულავაც აწერს ხელს.

"რაოს" მენეჯერთა შორის მეორე პირის, ანდრი რაპაპორტის განცხადებით, "ეი-ი-ეს"-"რაოს" გარიგება დეკემბერში დასრულდება, რადგან **"თავად გარიგების სტრუქტურა არ არის მარტივი. "ეი-ი-ეს კორპორაციამ" თავისი აქტივები პირდაპირ "რაოს" შვილიშვილობილ და "ინტერ რაოს" შვილობილ "რაო ნორდიკს" კი არ გადაუფორმა, არამედ "რაო ნორდიკმა" აიღო ერთწლიანი კრედიტი ერთი რუსული და ერთიც – უცხოური ბანკიდან."**

"ინტერ რაოს" გენერალურმა დირექტორმა ევგენი დოდმა დააზუსტა, რომ გარიგების დასრულების შემდგომ "რაო" საქართველოს გენერაციის 20 პროცენტს, ხოლო მოხმარების 35 პროცენტს გააკონტროლებს.

რაპაპორტის თქმით, გარიგებისას გათვალისწინებული იყო "ეი-ი-ეს კორპორაციის" მიერ "თელასში" განხორციელებული 260-მილიონდოლარიანი ინვესტიცია და ევრობანკის 60-მილიონდოლარიანი კრედიტი, თუმცა საქართველოში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლისა და **"ქვეყნის რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით,"** გარიგების თანხამ საგრძნობლად იკლო. **"თუ მე ვიტყვი, რომ 50-პროცენტიანი დისკონტი მოხდა, საქართველო მაშინვე ტარიფს შეგვიმცირებს,"** – განაცხადა "რაოს" ექსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იური შაროვმა. რაპაპორტის შეფასებით, გარიგება "უპრეცედენტოა", რადგან **"კრედიტი გასტუმრებული იქნება სამ წელიწადში, თანაც - მხოლოდ საქართველოს ბაზარზე მუშაობით."**

საქართველოს ბაზარს ძალიან პერსპექტიულად მიიჩნევს "ინტერ რაოს" გენერალური დირექტორი ევგენი დოდიც. მისი თქმით, "რაო" ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალის სავარაუდო ოდენობად ასახელებს წლიურად 75 მილიონ დოლარს, საიდანაც 10 მილიონი ენერგოგიგანტის სუფთა მოგებაა.

# "თუ ამერიკა წავა, ქართული ჭარი არ შედგება"

ПЕРВЫЙ ГВЕРДИДАН

**- თუ ეს დახასიათება დიდი ხნით ადრე შეიქმნა, რატომ ინახავდნენ მას და რატომ გამოამზეურეს იგი დღეს?**

- არ ვიცი; მაგათ არეულ ტვინში რა ხდება, ნამდვილად არ ვიცი. ეს არის დახასიათება, რომელიც არავის მიერ არ არის დამოწმებული, ვიღაცის მოგონებებს უფრო ჰგავს და აშკარად სიმთვრალეშია დაწერილი. ამ პასკვილის გახმაურება თავისთავად კრიმინალია, რადგან მისი გამავრცელებლები აცხადებენ, რომ ეს ოფიციალური დოკუმენტია, რაც ტყუილია. ჩემი დახასიათების ოფიციალური ვარიანტი თავდაცვის სამინისტროში აქვთ და კარგად იციან, იქ რა წერია.

**- ვის რაში დასჭირდა ამ ტყუილის გავრცელება? თქვენ ახსენეთ თქვენს წინააღმდეგ დაწყებული პროპაგანდა, ვინ და რატომ გებრძვით?**

- იცით, მე მაქვს ჩემი პოზიცია ქართულ ჯართან დაკავშირებით. სწორედ ეს პოზიცია გამოვთქვი 19 ივლისის ცნობილი მოვლენების დროს. უკმაყოფილება თავდაცვის სამინისტროს ქმედებების გამო, დამერწმუნეთ, არა მარტო ოპოზიციაში იზრდება. თევზაძეს ძალიან ცუდად აქვს საქმე. ყველას ესმის, რომ არ შეიძლება, ასეთი ოდიოზური ფიგურა თავდაცვის უწყებას მართავდეს. თევზაძის ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ის მინისტრი არ გახლავთ. არის ხალხი, ვინც მის ნაცვლად, რეალურად მართავს თავდაცვის სამინისტროს. სანამ ის არ წავა, ყოველთვის იქნება პროვოკაციები თავდაცვის სამინისტროში, იქნება იარაღის გაყიდვა და ა.შ. სად გაგონილა, თავდაცვის მინისტრი შეუვარდეს ფინანსთა მინისტრს და მუშტებით მოითხოვოს ფული? და იცით, ეს აისბერგის მხოლოდ ხუთი პროცენტია. ის, რაც შიგნით ხდება, უფრო წარმოუდგენელია: სამხედრო ნაწილების შექმნა საეჭვო ადგილებში, კრიმინალის პარპაში ჯარში, ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ეჭვის ქვეშ დაყენება... სწორედ ამას ვუპირისპირდები და ეს არ მოსწონთ თავდაცვის სამინისტროში მოკალათებულ კორუფციონერებს.

**- თუ დაუკავშირდით ამერიკულ მხარეს და თუ ეცადეთ გაგერკვიათ, საიდან წამოვიდა ეს დახასიათება?**

- რა თქმა უნდა, ვაპირებ დავუკავშირდე სამხედრო ატაშეს ოფისს, დავურეკავ ჩემს ამერიკელ მეგობრებს და ვთხოვ, გაარკვიონ ამ დახასიათების წარმომავლობა და თავიანთი პოზიცია გამოთქვან. არ მინდა, სასამართლოს საშუალებით თავი ვიმართლო ამ ბანდიტების წინაშე, თევზაძის და კობალაძის დონეზე დაშვებას კი არ ვაპირებ. ეს არის უნიჭო და უკბილო პროვოკაცია, მოწყობილი საბჭოთა სუკის ოფიცრების მიერ, რომლებიც სამოცზე მეტნი არიან თავდაცვის უწყებაში. კაცმა არ იცის, რას აკეთებენ ისინი სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ სამაგიეროდ ხუთიანზე ხლართავენ ბინძურ ინტრიგებს.

**- თავდაცვის სისტემაში მიმდინარე კორუფციაზე საუბრობთ, გაქვთ რაიმე ინფორმაცია?**

- იცით, თავდაცვის სამინისტროს რეფორმა არ სჭირდება, თავდაცვის სამინისტროში დაუყოვნებლივ, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს კადრები. რამდენი წელია, თავდაცვის სამინისტროს ერთი და იგივე სახეები კურირებენ, ჩვენი ჯარისკაცი კი ისევ მშიერი და ჩაუცმელი დადის, ჯარი წინ არ მიდის. ნუთუ, არ იბადება რაღაც კითხვები? თავდაცვის სამინისტრო კრიმინალებითა და ყოფილი "კაგებეშნიკებით" არის დაკომპლექტებული, რომლებსაც ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობები უკავიათ. საინტერესოა, რომ სამხედრო აკადემიის უფროსად დაინიშნა ყოფილი სუკის ოფიცერი, საკმაოდ საინტერესო მეხუთე განყოფილებიდან. ამ განყოფილების მთავარი საქმე თავის დროზე დისიდენტებთან ბრძოლა და აგენტურის შექმნა იყო. ასეთ ადამიანს ჩვენი სამხედრო აკადემია აბარია. მინისტრის ორმოცდაათი ბრძანებიდან, მხოლოდ სამი თუ შესრულდება, ყველაფერს დაუფინანსებლობას აბრალებენ და ამით თავს იმართლებენ. ეს ყველაფერი სიცრუეა. ფული საკმარისია საომისოდ, რომ შევინახოთ ჯარის ის რაოდენობა, რაც დღეს გვყავს. ხუთი მილიონი რომ ჩამოაჭრეს თავდაცვის სამინისტროს, დიდი ალიაქოთი ატყდა. ეს თანხა ჯარს კი არ ჩამოაჭრეს, ეს ჩამოაჭრეს პირველი ხუთი ან ექვსი გენერლის ჯიბეს. ჯარზე ეს არ აისახება, როგორი მშიერი და შეუმოსავიც დადიოდა ქართველი ჯარისკაცი, ისევ ისე ივლის. მრცხვენია, რომ ციხეში უფრო კარგი მდგომარეობაა, ვიდრე ჯარში. ერთადერთი, რაც დღეს რეალურად მუშაობს, ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაა".

ნიკა ჯანჯღავას ოფიციალური შეფასება და დახასიათება.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ ამერიკული პროგრამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რას გულისხმობდით?**

- ეს ამერიკული პროგრამა იგივეა, რომ მომაკვდავ ადამიანს მისცე წამალი, რომელიც მას გადაარჩენს. ამერიკელებმა ეს წამალი მოგვცეს, პირში ჩაგვიდეს, მაგრამ ჩვენ გადაყლაპვაც არ გვინდა. პროგრამა კარგად მიმდინარეობს, მაგრამ მისი გაგრძელების პერსპექტივა ბუნდოვანი. კარგით, ოთხი ბატალიონი შეიქმნა, მერე? ამ ოთხი ბატალიონით ჩვენ ვერც აფხაზეთს დავიბრუნებთ და ვერც ვერაფერს ვიზამთ. ჯარი იდეოლოგიაა. ჯარში კი, სადაც უნდობლობის სინდრომია, სადაც ხელმძღვანელობას პატივს არ სცემენ, ამ იდეოლოგიას ძირი აქვს გამოთხრილი. ნატო-ს სტანდარტებზე საუბარმაც ქართველი ჯარისკაცის ცნობიერებაში ეს იდეოლოგია ვერ ააღორძინა.

ნატო-ს სტანდარტებზე კარგა ხანია საუბრობენ, მაგრამ არაფერი იცვლება, ჯარისკაცი რეალურ ცვლილებას ვერ ხედავს. თავდაცვის უწყების პოლიტიკამ "ნატო-ს სტანდარტი" არაფრისმომცემ სიტყვად აქცია. ეს ძალიან უარყოფითად აისახა ჯარში. ახალგაზრდა ოფიცრებს არა აქვთ რწმენა, რომ რაღაცა შეიცვლება, გამოსწორდება.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ საქართველოში იარაღით რუსები არ ვაჭრობენ...**

- დიახ, ასეთი რამ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: რუსეთის იარაღის ბაზრობა საქართველოში კარგა ხანია გაუქმდა. ჩემი სახმელეთო ჯარების სარდლობიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ იარაღს უკავშირდება. მე, როგორც სახმელეთო ჯარების სარდალს, არ მომცეს უფლება, ელემენტარულად დაგვეთვალა, თუ რა რაოდენობის იარაღი გვაქვს... ორი დიდი საიდუმლოებაა ჯარში - იარაღისა და პირადი შემადგენლობის რაოდენობა. თუმცა, ნორმალურ სიტუაციაში არც ერთი აღნიშნული ინფორმაცია საიდუმლოს არ უნდა წარმოადგენდეს.

**- არიან თუ არა საქართველოში კვალიფიციური სამხედრო კადრები, სად ხდება მათი მომზადება?**

- კვალიფიციური კადრები მზადდება ძალიან ბევრ ქვეყანაში, მაგრამ თუ ისინი ვინმე მაღალჩინოსნის გუნდის წევრები არ არიან, მათ საქართველოში პერსპექტივა არა აქვთ, ისინი თავდაცვის უწყებაში ადგილს ვერ იმკვიდრებენ. ისინი ხედავენ, რომ მაინცადამაინც არავინ ჩქარობს მათი ცოდნის, გამოცდილების გამოყენებას. ამიტომ ნიჰილიზმი იპყრობთ, სხვა ქვეყანაში მიდიან და უცხო ქვეყანას ახმარენ საკუთარ პროფესიონალიზმს. ძალიან ადვილია ჯარის შექმნა, როდესაც იცი, რისთვის იქმნება. დღეს ჩვენ ეს არ ვიცით. ვეებერთელა მონსტრებთან საბრძოლველ ჯარს ვერ შევქმნით, ჩვენი ჯარი ლოკალურ პრობლემებს უნდა გაუმკლავდეს. ერთი რამ ვიცი: სისხლით დაკარგული, სისხლით უნდა დაბრუნდეს, მაგრამ აფხაზეთისგან ჩვენი ჯარი ძალიან შორსაა. ამ საკითხებზე ქართველი გენერლები დღეს ძალიან ცოტას ფიქრობენ, მათი ინტერესის სფეროა, რა გაყიდონ, რა იყიდონ, კაპიტალი როგორ დაიგროვონ, რომ მერე მშვიდად წავიდნენ.

გენერლების რაოდენობას გადახედეთ. მთელს ბალტიისპირეთში სულ ხუთი გენერალია, ჩვენთან კი მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს საფინანსო ბლოკში გვყავს ორი გენერალი. კაცობრიობას არ ახსოვს ასეთი რამ. თუ წაგებულ ჯარს ოცდათოთხმეტი გენერალი ჰყავს, მოგების შემთხვევაში ასამდე უნდა ავიდეთ? ჩვენ რა, გენერლებით გვინდა მთელი ნატო-ს დაკომპლექტება? თუმცა, რა ნატო-ზეა საუბარი, ჩვენ ხომ პაროდიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და პაროდიულ ჯარს ვაშენებთ!

დაფიქრდით, რიგით ჯარისკაცს ოფიციალურად ორჯერ მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე თავდაცვის მინისტრს. ხედავთ, რა სასაცილო ქვეყანაში ვცხოვრობთ? და აქ ნიკა ჯანჯღავას მოგონილი და ახირებული არაფერია.

**- მოგეხსენებათ საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები. გავრცელებულია აზრი, რომ საქართველო პოლიტიკურ ვექტორს იცვლის - ვაშინგტონიდან მოსკოვისკენ. თუ ეს ასეა, როგორ აისახება ეს ცვლილება ქართულ ჯარზე?**

- თუ ქვეყანამ ვექტორი მართლა რუსეთისკენ შეიცვალა, ქართული ჯარი იქნება ამ პროცესის პირველი და ყველაზე საშინელი მსხვერპლი. კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ: ამერიკელების დახმარების, "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" შეწყვეტის შემთხვევაში, ქართული ჯარი არ შედგება. დღეს მიმდინარე პროცესები, რა თქმა უნდა, ქართულ ჯართან პირდაპირ კავშირშია. პოლიტიკისგან შორს ვარ, მაგრამ ვიცი, რომ ამერიკელები გვეუბნებიან: თუ თქვენთან სპარლამენტო არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა, ჩვენ შეწყვეტთ როგორც ფინანსურ, ასევე სამხედრო დახმარებასაც. მაშინ კი, ნამდვილად ცუდად გვექნება საქმე. თუ რუსეთი საქართველოში შემოვა, ჩვენ ტრადიციულად მისი ვასალები გავხდებით, ვასალობის პირობებში კი, რა ჯარზე და სახელმწიფოზეა საუბარი.

# დენი ძვირდება

ПЕРВЫЙ ГВЕРДИДАН

მოსახლეობა ნაკლებ დენს მოიხმარს. სემეკ-ის ხელთ არსებული ინფორმაციით, 100 კილოვატსაათზე ნაკლებს დღეს თბილისში 230 000 აბონენტზე მეტი მოიხმარს, ხოლო 300 კილოვატსაათზე მეტს, დაახლოებით - 17 ათასი აბონენტი.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე სემეკ-ის მიერ შემოთავაზებულ ახალ სატარიფო სტრუქტურას ცალსახად უარყოფითად აფასებს და მასში ეკონომიკურ ლოგიკას ვერ ხედავს. **"ზამთრის პერიოდში 400 კილოვატსაათზე მეტ დენს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ხარჯავს და ეს ხალხი არ შეიძლება, მდიდარ ფენად ჩაითვალოს,"** – აცხადებს ექსპერტი. გოცირიძის განმარტებით, სემეკ-ის მიერ შემოთავაზებული სატარიფო პოლიტიკა ელექტროენერგიას გააძვირებს უკლებლივ ყველა საწარმოსათვის – ჯიხურიდან დაწყებული, დიდი ქარხნებით დამთავრებული. **"გარდა ამისა, ეს გამოიწვევს მანიპულაციებსა და გარიგებებს, ძალიან გაართულებს ელექტროენერგიის აღრიცხვიანობას. ყოველი მსგავსი ექსპერიმენტი წარუმატებლად მთავრდება. სამომხმარებლო ფასები გაიზრდება უკლებლივ ყველა იმ პროდუქციაზე, რომლის წარმოებასაც ელექტროენერგია სჭირდება. თანაც, დღეს ვისაც კი რაიმე შემოსავალი აქვს, ძირითადად, ყველა დაკავებულია წვრილი ბიზნესით და მათთვის ეს ძალიან მძიმე იქნება."**

# რუსული - სახელმწიფო ენა დსთ-ს სივრცეში

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ელეონორა მიტროფანოვას განცხადებას თუ დავეყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ კრემლი სერიოზულად მუშაობს დსთ-ს სივრცეში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისთვის. **"ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს დსთ-ს ყველა სახელმწიფოსთან, მაგრამ წინსვლა, ჯერჯერობით, მხოლოდ უზბეკეთსა და მოლდოვაში შეინიშნება,"** - განაცხადა მიტროფანოვამ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოსანი "24 საათთან" საუბარში სინანულით აღნიშნავს: **"საქართველოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი მოკლებულნი არიან რუსეთიდან წასულ ობიექტურ ინფორმაციას, თბილისში ხშირად შუქი არ არის და ისინი რუსეთის ტელევიზიას ვერ უყურებენ. ამ ხარვეზების შევსება საქართველოში მიმდინარე პროცესების რუსულ ენაზე გაშუქებითაცაა სასურველი."**

დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის ინფორმაციის საკითხთა კომისიაში "24 საათს" აცნობეს, რომ დსთ-ს პრემიერები მოსკოვში გამართულ სამიტებზე რუსული ენის ოფიციალურად გამოცხადების საკითხს კულუარული განხილვების დროს საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ და ეს ბუნებრივია, რადგან **"მათი სასაუბრო ენა ისედაც რუსულია, დსთ-ში აზრთა გაცვლაც მოსკოვის ენაზე ხდება - ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაგებითაც."**

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც წესი, თბილისის მონახულების შემდეგ სინანულით აღნიშნავენ ხოლმე, რომ საქართველოს ახალგაზრდობამ თითქმის არ იცის რუსული ენა. და ეს ასეა დსთ-ს ბევრ სახელმწიფოში. გამონაკლისია მხოლოდ ცენტრალური აზიის ის რესპუბლიკები, სადაც პრორუსული ხელისუფლებაა და საქმეთა წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ბელორუსისა და უკრაინის გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეებიც, თურმე, წინააღმდეგნი არ არიან, დსთ-ის ენა სახელმწიფო რანგში აიყვანონ.

"24 საათმა" კომენტარისთვის მიმართა ცნობილ რუს სამართალდამცველს სერგეი კოვალიოვს. **"ეს განცხადება აღვიქვი, როგორც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისადმი კრემლის დღევანდელი სტრატეგიის ადეკვატური გამოვლინება და ამ სტრატეგიის გაგრძელება. ერთი შეხედვით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს განცხადება რუს თანამემამულეთა ინტერესების დაცვისათვისაა გამიზნული, და მე ამას მივესალმები, მაგრამ, მეორე მხრივ, სახეზე გვაქვს ავტორიტარიზმის შეუფარავი და ჯიქური გამოხდომა, რასაც, სამწუხაროდ, დსთ-ს ბევრი პრეზიდენტი მხარს აუბამს."**

## საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა გამანაწილებელ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს ახალი ლიმიტები დაუდგინა

**2003 წლის 6 აგვისტო**
**თბილისი**

სიმძლავრისა და ენერგიის განაწილების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 9 ნოემბრის N101 გადაწყვეტილების შესაბამისად, გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის მაჩვენებლების მიხედვით, აგვისტოს თვეში, 35 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის მიწოდება დაუდგინდა, რაც კომპანიის მიერ მოთხოვნილი ელ.ენერგიის 30% შეადგენს. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას მაქსიმალურ სიმძლავრეთ ნაცვლად 245 მვტ-სა. 85 მვტ განუსაზღვრა.

გადახდის მაჩვენებლის მიხედვით ქ. თბილისის გამანაწილებელმა ენერგოკომპანიამ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრიდან მოთხოვნილი 131.8 მლნ კვტსთ ნაცვლად 37.2 მლნ კვტსთ ელ.ენერგია უნდა მიიღოს. აღნიშნული კომპანია 32.6 მლნ კვტსთ ელ.ენერგიას საკუთარი ჰიდროელექტროსადგურებიდანაც შეისყიდის, რის შემდეგაც, თბილისში არსებულ ენერგობაზრის პირდაპირ მომხმარებლებთან ერთად, დედაქალაქისთვის დადგენილი ლიმიტი 99.6 მლნ კვტსთ ელ.ენერგია იქნება. რაც მოთხოვნილ სიმძლავრეზე 26.4%-ით ნაკლებია.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიმართ არსებული დავალიანების გამო, ელექტროენერგია ასევე შეზღუდვით მიეწოდებათ კახეთისა და აჭარის გამანაწილებელ ენერგოკომპანიებს. ენერგოსაბითუმო ბაზარში კახეთის ენერგოკომპანიის გადახდის საშუალო მაჩვენებელი 42%-ს შეადგენს. ამდენად, ამ კომპანიის მოთხოვნილი 13.95 მლნ კვტსთ-ის ნაცვლად 7.6 მლნ კვტსთ ენერგიის მიწოდება დაუდგინდა. რაც შეეხება აჭარის გამანაწილებელ ენერგოკომპანიას, იგი მოთხოვნილი 40 მლნ კვტსთ-ის ნაცვლად 29.10

## ლეიბორისტთა ოფისთან ჩხუბისთვის - სამთვიანი წინასწარი პატიმრობა

გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა ნოზაძემ პოლიტიკური გაერთიანების - "ალიანსი სამშობლოსათვის" - სამ წევრს - რამაზ მიქაიას, ანდრო ჭელიძესა და გიგლა მიქაუტაძეს აღმკვეთი ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც ცნობილია, ისინი 4 აგვისტოს ლეიბორისტული პარტიის ოფისთან მომხდარი ხელჩართული ჩხუბის შემდეგ დააკავეს. "ლეიბორისტებისა" და "ალიანსი სამშობლოსათვის" წევრების შეტაკების შედეგად 10 ადამიანი მძიმედ დაშავდა. თემურ ჟორჟოლიანის განცხადებით, პოლიციამ, იმის ნაცვლად, რომ მიქაუტაძე, მიქაია და ჭელიძე დაზარალებულად ეცნო, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით აღძრა.

სასამართლოს მხრიდან პოლიციის მოქმედების გამართლების, ანუ "ალიანსელი" სამეულისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ კი, თემურ ჟორჟოლიანი მოსამართლის გადაწყვეტილების საოლქო სასამართლოში გასაჩივრებით, მისი თანაპარტიელები კი – საოლქოსთან კვლავაც საპროტესტო აქციის გამართვით იმუქრებიან.

## თეონა ბაბრატიონის გამტაცებელი გაქცევას აპირებდა

მას შემდეგ, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან პატიმართა მასობრივ გაქცევას დეპარტამენტის იმჟამინდელი თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი შეეწირა, მის ადგილას კი ყოფილი პოლიციელი შოთა კოპაძე დაინიშნა, პატიმართა გაქცევის ფაქტი აღარ გამოვლენილა. გუშინ დილით კი თბილისის №5 საპყრობილიდან გაქცევა სცადა სამმა პატიმარმა – ალან ძიგოევმა, ზვიად თაგვიშვილმა და თამაზ ბულბულაშვილმა. როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კახა კობერიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, პატიმრებმა მეოთხე საკნის კედელზე 50 სმ დიამეტრისა და 30 სმ სიღრმის ხვრელი გააკეთეს და დერეფანში გასვლას ცდილობდნენ. ამ დროს თანამშრომელთა მორიგე ჯგუფი შემოვლაზე იმყოფებოდა და პატიმრები გაქცევის მცდელობის ფაქტზევე დააკავეს.

ალან ძიგოევი ე.წ. ცხინვალის მთავრობის უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი უფროსია, რომელსაც ბრალი ედება ბიზნესმენ მუხრან ბაგრატიონის ქალიშვილის თეონა ბაგრატიონის გატაცებაში. ზვიად თაგვიშვილი 2003 წლის 28 თებერვალს აფეთქების ბრალდებით არის დაკავებული. ხოლო თამაზ ბულბულაშვილი ქურდობისთვის უნდა წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე.

გაქცევის მცდელობის ფაქტზე პროკურატურამ მოკვლევა უკვე დაიწყო. გამოვლინდებიან თუ არა გაქცევის ხელშემწყობი თანამშრომლები, გაურკვეველია.

აღნიშნული ფაქტის გამო, გუშინვე იუსტიციის სამინისტრომ №5 დაწესებულებაში ჩხრეკა ჩაატარა. 25 იანვრის ცნობილი ჩხრეკის შემდეგ ასეთი ფართომასშტაბიანი ჩხრეკა საპყრობილეში არ ჩატარებულა. გუშინდელ ჩხრეკას, რომელსაც რამდენიმე საათის განმავლობაში საპყრობილეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 280 თანამშრომელი ატარებდა, არანაირი ექსცესი არ მოჰყოლია.

საკნებიდან ამოღებულია სხვადასხვა სახის აკრძალული ნივთები - მობილური ტელეფონები, დანები, მჩხვლეტავი საგნები, ერთჯერადი შპრიცები და ა.შ.

აკრძალულ ზონაში აკრძლული ნივთების მოხვედრასთან დაკავშირებით მოკვლევა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახურმა დაიწყო. იუსტიციის მინისტრის მოადგილის კახა კობერიძის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აკრძალული ნივთების ამოსაღებად ჩხრეკა კვლავაც გაგრძელდება.

## სააღსრულებო დეპარტამენტის გეგმები

თამარ კაპიტაძე

**"ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს სააღსრულებო დეპარტამენტის მუშაობა. თუ სასამართლო გადაწყვეტილების სრულყოფილად აღსრულება უზრუნველყოფილი არ იქნება, რაც უნდა კარგი გადაწყვეტილება იყოს, ფარატინა ქაღალდად იქცევა,"** – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის მუშაობა. enforcement.justmin.ge - დღეიდან ამ საიტზე ნებისმიერ მსურველს სააღმსრულებო დეპარტამენტის მუშაობასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შეუძლია. ვებ-გვერდში სისტემატურად გამოქვეყნდება იმ ობიექტთა სია, რომლებიც აუქციონის წესით უნდა გაიყიდოს. სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს იმედი აქვს, რომ ამ გზით გასაყიდი ობიექტების მყიდველთა რაოდენობაც გაიზრდება, რაც პირდაპირ იქნება დაკავშირებული აუქციონის წარმატებით ჩატარებაზე და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო თანხების მობილიზებაზე. ტუშურმა პრესკონფერენციაზევე დაასახელა მსხვილი ობიექტები, რომლებიც უახლოეს მომავალში აუქციონზე გაიყიდება. ესენია – სს "ვერძი 94" (მატყლის ფაბრიკა) და ღვინის ქარხანა "გურჯაანი 93". აუქციონზე გაიყიდება თურქული გემი "სელიმ პირველი", რომელიც 2003 წლის 12 მაისს საქართველოს საზღვაო აკვატორიაში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის დააკავეს. სხვათა შორის, "სელიმ პირველისთვის" პირველი აუქციონი წარუმატებელი აღმოჩნდა. მისი საწყისი ფასი სასამართლოს მიერ დაწესებული ჯარიმის ღირებულებას - 200 000 ლარს შეადგენდა. თურქული გემი ამ დღეებში მეორედ გავა აუქციონზე და, სავარაუდოდ, გასაყიდი თანხაც შეიცვლება. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ გემი მეორედაც ვერ გაიყიდება, თავმჯდომარის თქმით, გაიმართება ნულოვანი აუქციონი.

გუშინვე სააღსრულებო დეპარტამენტის თავჯდომარემ ჟურნალისტებს მიმდინარე წლის ექვსი თვის მუშაობის შედეგებიც მოახსენა. ტუშურის ინფორმაციით, ექვსი თვის განმავლობაში სააღსრულებო ბიუროში სულ 19 632 საქმე შევიდა, საიდანაც უკვე შესრულებულია 12889. მიუხედავად იმისა, რომ, საკანონმდებლო ცვლილებების გამო, სააღსრულებო დეპარტამენტს საგადასახადო დავალიანების აღსრულება აღარ ევალება, მხოლოდ ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ ამოღებულია 5 030941 ლარი. დეპარტამენტის ხელმძღვანელობის აზრით, წინა წლებთან შედარებით, დასახელებული მონაცემები წარმატებად ითვლება.

როგორც ჩანს, სააღმსრულებო დეპარტამენტისთვის კვლავ ქვაკუთხედად რჩება იმ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, რომლებიც დევნილების გამოსახლებას ეხება. ტუშურის თქმით, დღეისათვის უნდა მოხდეს ათი შენობის დევნილებისგან გათავისუფლება, მაგრამ ეს რამდენად წარმატებით ჩაივლის, ძნელი სათქმელია. რაც შეეხება მერიიდან დროშების ჩამოხსნას, ტუშურის თქმით, სააღსრულებო დეპარტამენტი უახლოეს მომავალში აღასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას. ურჩი ობიექტების - კლუბი "16 რაუნდის" და ქუთაისის სადისტრიბუციო კომპანიის საქმეები კი სააღმსრულებო დეპარტამენტმა გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

და კიდევ ერთი, ალექსანდრე ტუშურის თქმით, იმისათვის, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უფრო ეფექტური იყოს, მომზადდა კანონპროექტი "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ", რომელიც იმ საკანონმდებლო ვაკუუმის ამოვსებას ითვალისწინებს, რომელიც 1999 წელს მიღებულ კანონში არსებობს. **"ახალი პროექტი მოწონებულია უცხოელი ექსპერტების მიერ,"** - განაცხადა დეპარტამენტის თავმჯდომარემ და დასძინა, რომ ამ პროექტში გათვალისწინებულია იმ პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამკაცრება, რომლებიც არ ასრულებენ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ახალ კანონპროექტში შემოღებულია მოვალეთა რეესტრი, რომელშიც შედიან ის პირები, რომლებიც არ ასრულებენ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამ პირებს მომავალში ბანკში კრედიტის აღებისას ან პარტნიორებთან თანამშრომლობისას პრობლემები შეექმნებათ.

სააღსრულებო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას საკმაოდ ბევრი გეგმა აქვს. რამდენად შეძლებენ მათ რეალურად განხორციელებას, მომავალი გვიჩვენებს.

## ჰააგაში აფხაზეთის საქმის შესწავლას სექტემბერში შეუდგებიან

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, ჰააგის საერთაშორისო სასამართლო აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის საქმის შესწავლას სექტემბერში დაიწყებს.

ნადარეიშვილის თქმით, 16 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ (ჰააგის საერთაშორისო სასამართლოსთან მიერთების თაობაზე) "გარდაუვალი გახადა აღნიშნული სასამართლოს მიერ აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის გამოძიება".

ნადარეიშვილის ინფორმაციით, ამჟამად ჰააგის საერთაშორისო სასამართლო აღნიშნულ საქმეზე პროკურორის დანიშვნის საკითხს იხილავს, რომელიც აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის საქმეზე შეტანილი სარჩელის შესწავლას სექტემბერში შეუდგება.

მისივე თქმით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო არ გამორიცხავს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჰააგის სასამართლოს პროკურორის ჩასვლას თბილისშიც და აფხაზეთშიც.

**ინტერ-პრესი**

# ხანმოკლე სხდომა ხმამაღალი გადაძახილებით

მაკა ჯაიანი

*საკრებულოს გუშინდელი საგანგებო სხდომა დაწყებიდან ნახევარ საათში ჩაიშალა. "ლეიბორისტებმა" და "ნაციონალებმა" ერთმანეთში ურთიერთობების გარკვევა დაიწყეს. ყველაფერი გიორგი გუგავას გამოსვლით დაიწყო. ფრაქცია "ლეიბორისტის" თავმჯდომარემ საკრებულოს, დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვამდე, რამდენიმე დღის წინათ "ლეიბორისტების" ოფისის წინ მომხდარი ინციდენტის პოლიტიკური შეფასება მოსთხოვა.*

ამან არა მარტო "ნაციონალების", ქანდარაზე შემომსხდარი მიწისძვრით დაზარალებული თბილისელების აღშფოთებაც გამოიწვია. საგანგებო სხდომაზე განსახილველი პირველი ორი საკითხი სწორედ მათ ეხებოდა. **"ჯერ ჩვენი ამბავი გადაწყვიტეთ!"** – დაზარალებულების შეძახილებმა საკრებულოს წევრთა ხმა გადაფარა. **"უთხარით, ხალხო, რამე, მოგვცენ თქვენი პრობლემის გადაწყვეტის საშუალება,"** – შეაგულიანა ქანდარაზე მსხდომნი საკრებულოს თავმჯდომარემ.

ბაჩო გელაშვილის ფოტო

*საკრებულოს წევრები თითს ერთმანეთისკენ იშვერდნენ.*

**"ძალიან კარგად ვიცი, რატომ არ გინდათ ამ საქმეზე მსჯელობა,** - მიუტრიალდა "ლეიბორისტებს" მიხეილ სააკაშვილი, - **მთავრობას უჭერთ მხარს, ამ ხალხისთვის გათვალისწინებული თანხები მშენებლობებში რომ გამოიყენოს!" "თქვენ გინდათ ახალი ფონდი შექმნათ და ის დარჩენილი თანხებიც შეჭამოთ, რაც ამ ადამიანებს უნდა მოხმარებოდა!"** - საპასუხო ბრალდება გაისმა გიორგი გუგავასგან. ქანდარა აშკარად საკრებულოს თავმჯდომარეს უჭერდა მხარს.

**"ნუ გადავდებთ პატრიოტულ ინტერესებს გვერდზე, ჯერ დაზარალებულების საკითხი განვიხილოთ და მერე ვიკამათოთ სხვა თემებზე, თუ გინდათ, ვიჩხუბოთ კიდეც!"** – ვითარების განმუხტვა სცადა ყოფილმა "ლეიბორისტმა", ფრაქცია "დედაქალაქის" წევრმა რევაზ უმფრიანმა. **"ჯერ ეს საკითხი განვიხილოთ და აქედან იქამდე არ მოვიცვლი ფეხს, ვიდრე არ გავარკვევ, თქვენს დარბევაში რატომ გვადანაშაულებთ!"** – დაამატა "ნაციონალმა" ზვიად ძიძიგურმა.

**"ის გირჩევნიათ მითხრათ, თქვენი აქტივისტები რატომ იყვნენ იქ, რატომ ჰქონდათ თქვენი დროშები, რატომ ააფრიალეთ ბაზალეთის ტბაზე ლოზუნგი, ძირს შევარდნაძე და ნათელაშვილიო და რატომ შეიტანეთ სარჩელი ჩემი გამოწვევის შესახებ!"** – არ ცხრებოდა გუგავა. **"თუ გინდათ საქმე ისე წარმოაჩინოთ, თითქოს თქვენი პიროვნების გარდა საფიქრალი არა გვაქვს, არაფერი გამოგივათ,** - ხმას აუწია საკაშვილმა, - **დროშებს კი თავში ჩასარტყმელად ჩვენ არ ვიყენებთ."**

ამგვარი გადაძახილი საკრებულოში მცირედ კიდევ გაგრძელდა. საბოლოოდ, "ლეიბორისტებმა" მიიღეს საკრებულოს თავმჯდომარის წინადადება, მოამზადონ დადგენილების პროექტი მათ ოფისთან მომხდარ ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით, მიიღონ და არა მარტო გაზეთ "თბილისის", მედიის სხვა საშუალებითაც გაავრცელონ. საკრებულომ მიიღო, ასევე, მიწისძვრით დაზარალებულთათვის ახალი ფონდის შექმნის გადაწყვეტილებაც, თუმცა, შესვენების შემდეგ, მუშაობა აღარ გაუგრძელებია.

## ბრალდებულებმა და გამოძიებამ ადგილები გაცვალეს

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ახლახან ქუთაისის საოლქო სასამართლოში მეტად უცნაური რამ მოხდა. ყაჩაღობის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურის გამომძიებლებმა გამოიძიეს და საბრალდებო დასკვნაც, ცხადია, მათვე შეადგინეს, მაგრამ გამომძიებლები თავად აღმოჩნდნენ ბრალდებულის როლში, ხოლო მათ მიერ გამოვლენილი ყაჩაღები სასამართლომ დარბაზიდანვე გაათავისუფლა. პროცესზე აღიარებდნენ, რომ აღნიშნული შედეგი უხარისხოდ წარმართულმა გამოძიებამ გამოიწვია. სასამართლოზე ერთი ისეთი დეტალიც გამოაშკარავდა, არ არის გამორიცხული, გამოძიების მხრიდან ჩადენილ გაცილებით მძიმე დანაშაულთან გვქონდეს საქმე. კერძოდ, პროცესზე გაირკვა, რომ ნივთმტკიცების სახით ამოღებული 37 ათასი დოლარიდან კუპიურათა უმეტესი ნაწილი ყალბი აღმოჩნდა.

ყაჩაღური თავდასხმის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ქუთაისის საოლქო სასამართლო განიხილავდა. ეს შემთხვევა 2002 წლის 21 ოქტომბერს სენაკი-ფოთის საავტომობილო გზაზე მოხდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ყაჩაღობამდე ორი დღით ადრე ბულგარეთის საკონსულოს დაცვის თანამშრომელი გელა არველაძე თავის დეიდაშვილს ზვიად ხარებავას დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ თბილისიდან ფოთში ბულგარეთის ფირმის "სომატის" თანამშრომელს პანჩო ბიმბელოვს 100 ათას დოლარზე მეტი თანხა გადაეჭქნდა. მან დეიდაშვილს ბიმბელოვის დაყაჩაღების ორგანიზება დაავალა. შედეგად, 21 ოქტომბერს სენაკი-ფოთის საავტომობილო გზაზე ბიმბელოვის ავტომანქანას 4 შეიარაღებული პირი დაესხა თავს და გაძარცვა. ბორტმოქმედებმა დაზარალებულს პირადი ნივთები და ფული წაართვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აღნიშნული ფაქტის შემდეგ ბიმბელოვმა პოლიციაში განაცხადა, რომ მას უცნობმა პირებმა პირადი ნივთები და ფირმის კუთვნილი კონვერტი წაართვეს. მოგვიანებით ფირმა "სომატი" პოლიციას ატყობინებს, რომ ბიმბელოვს თბილისიდან ფოთში პაკეტში შეფუთული 350 ათასი ამერიკული დოლარი გადაეჭქნდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ყაჩაღობის შემდეგ ხარებავას თავისი წილი 42 ათასი დოლარი ერგო. ამ თანხიდან 20 ათასი მან დეიდაშვილს - გელა არველაძეს მისცა, დანარჩენი კი თავად დაიტოვა. არველაძისა და ხარებავას დაკავების შემდეგ პოლიციამ აღნიშნული თანხის ნაწილი ამოიღო. დანაშაულის მონაწილე სხვა პირების დაკავება კი ვერ შეძლეს.

საბოლოოდ, სასამართლოს წინაშე გელა არველაძე და ზვიად ხარებავა წარსდგნენ. არველაძის ადვოკატი ჯიტა გულუა პროცესზე აღნიშნავდა, რომ პროკურატურა სასამართლოში ნივთმტკიცების (37 ათასი დოლარის) წარმოდგენას აჭიანურებდა. **"მინდა ვთქვა, რომ პოლიციისადმი პრეტენზია არ მაქვს. ერთადერთი, ვინც ამ პროცესს აფერხებდა, ეს იყო პროკურატურა,"** - განაცხადა სასამართლო პროცესზე გულუამ.

სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც არველაძის ადვოკატმა განსასჯელების სახლებიდან ნივთმტკიცებად ამოღებული 37 ათასი დოლარის დათვალირება მოითხოვა. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის მიერ წარმოდგენილ საგულდაგულოდ შეფუთულ და დალუქულ პაკეტებში კუპიურების უმეტესობა ყალბი აღმოჩნდა - ერთი და იგივე ნომრებით. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ფაქტის გადასამოწმებლად სპეციალისტი მოიწვია. შემოწმების შედეგად 37 ათასი დოლარიდან გაუყალბებელი მხოლოდ 2500 დოლარის ოდენობის კუპიურა აღმოჩნდა. როგორც აცხადებენ, პოლიციელებმა, როდესაც ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი პირების - არველაძისა და ხარებავას სახლებიდან აღნიშნული თანხა ამოიღეს, ისინი საგულდაგულოდ აღწერეს და შესაბამის ოქმში დააფიქსირეს.

ყალბი ნივთმტკიცების აღმოჩენამ სახელმწიფო ბრალმდებელი ნუგზარ ჩინჩალაძე ფრიად გააკვირვა. განსასჯელის ადვოკატმა კი თანხის გაყალბების ეჭვი სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურაზე მიიტანა.

სახელმწიფო ბრალმდებელმა, ნივთმტკიცებასთან დაკავშირებით აღმოჩენილი დარღვევის გამო, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება მოითხოვა. განსასჯელის ადვოკატები კი დაკავებულებს უდანაშაულოდ მიიჩნევდნენ და მათ გამართლებას მოითხოვდნენ. საბოლოოდ, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ, მამუკა მამალაძის თავმჯდომარეობით, არველაძესა და ხარებავას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. აღნიშნულ განაჩენს საფუძვლად დაედო გამოძიების მხრიდან უტყუარი მტკიცებულებების არქონა. გელა არველაძე დარბაზიდან გაათავისუფლეს, ხარებავას კი ყაჩაღობის ბრალდება მოეხსნა და მეორე დანაშაულისთვის – ნარკოტიკების მოხმარებისთვის მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლო კოლეგიამ დოლარების გაყალბების თაობაზე ცალკე განჩინება გამოიტანა და გენერალურ პროკურატურას აღნიშნული ფაქტის შესწავლა დაავალა. მომხდართან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურის ხელმძღვანელობამაც მიმართა და ფაქტის გამოძიება მოითხოვა. **"გენერალურ პროკურორს განცხადებით პირადად მივმართე და საკითხის გამოძიება მოვითხოვე, დამნაშავე აუცილებლად დაისჯება,"** - აცხადებს სამხარეო პროკურორი ბორის კვარაცხელია.

## „ქართველი მესაზღვრეები ჩეჩნებისაგან ქრთამს არ იღებენ"

**დაჭრილმა ჩეჩენმა გარდაცვალებამდე საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაკვეთის ხერხების გათქმა მოასწრო**

*რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებმა კვლავ დაიწყეს ინფორმაციის გავრცელება საქართველოდან ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ბოევიკების შეჭრის თაობაზე.*

ამჯერად, ჩრდილოეთ კავკასიის კონტრტერორისტული სამმართველოს ოპერატიული შტაბის ცნობებზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყურჩალოს რაიონში ფედერალური ძალების მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად გაუვნებელყოფილ იქნა 4-კაციანი ბანდფორმირება. შტაბის ცნობით, ისინი ყურჩალოს, ვედენოსა და ნოჟაი-იურტის რაიონის სოფლებზე შეიარაღებულ თავდასხმებს ახორციელებდნენ. გარდა ამისა, მათ რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ ფედერალური ჯარების ჯარისკაცებთან. ყოველივე ამის შესახებ ფედერალებმა შეიტყეს ოთხეულის ერთ-ერთი წევრისგან, მაგრამ ზაკრიევისგან, რომელიც შეტაკებისას დაიჭრა და ჯარისკაცებს ჩაუვარდა ხელში. დანარჩენები დაიღუპნენ. საავადმყოფოს გზაზე გარდაიცვალა დაჭრილი ზაკრიევიც, თუმცა, შტაბის წარმომადგენელთა თქმით, მან მოასწრო იმის თქმა, რომ მათი ჯგუფი რამდენიმე კვირის მანძილზე ნაწილ-ნაწილ გადადიოდა ჩეჩნეთში საქართველოდან, საიდანაც საზღვრის გადაკვეთა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. კერძოდ, შტაბის წარმომადგენლის ინფორმაციით, ზაკრიევმა მათ უამბო გამცილებელი გიას შესახებ, რომელმაც ქართველ მესაზღვრეებს წინასწარ გადაუხადა ფული, რომ ჩეჩნები საზღვარზე გაეტარებინათ.

გარდაცვლილი ზაკრიევის ნამბობზე დაყრდნობით, რუსული წყაროები იუწყებიან, რომ ჯგუფი რუსლან გელაევის ხალხისკენ მიემართებოდა, მაგრამ გზაში გადაიფიქრეს და ფედერალური ჯარების ნაწილებთან ბრძოლას ყაჩაღობა ამჯობინეს.

რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ამ ინფორმაციას კომენტარს უკეთებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შტაბის უფროსი კორნელი სალია. მისი თქმით, საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის საზღვრის მახლობლად ჩეჩენი ბოევიკების გადაადგილება არ დაფიქსირებულა და არც ცალკეული ჩეჩენი ბოევიკების საზღვარზე გადასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს.

**"ბლეფია იმის მტკიცება, რომ, თითქოს, ჩეჩენი ბოევიკები ქრთამს აძლევენ ქართველ მესაზღვრეებს. ქართველ და რუს მესაზღვრეებს შორის დღეისათვის იმდენად მჭიდრო კავშირებია დამყარებული, რომ ქართული სასაზღვრო უწყება დაუყოვნებლივ იქნებოდა ინფორმირებული რუსი კოლეგებისაგან ნებისმიერი ინციდენტის თაობაზე,"** - აცხადებს სალია.

მისივე თქმით, რუსული მასმედიით გავრცელებული ცნობის არარეალურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ეუთო-ს დამკვირვებლებს, რომლებიც რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთის და დაღესტნის მონაკვეთების მონიტორინგს ახორციელებენ, არანაირი დარღვევა არ აღუნიშნავთ.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ კონტრაბანდასთან ბრძოლა გააააქტიურა

*ორიოდე დღის წინ სახელმწიფო მინისტრმა კონტრაბანდის თემაზე სასაუბროდ შეკრებილ მინისტრებს "ყური აუწია". ქვეყნის ბიუჯეტის ბედით "აღშფოთებულმა" სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა ზოგიერთი ჩინოვნიკი დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობასა და ჟურნალისტებთან "კეკლუცობაში" ამხილა. მართალია, კანცელარიაში შეკრებილთა შორის მთავარი სამიზნეები საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე, ფინანსთა და უშიშროების სამინისტროები იყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, კანცელარიის მუქარამ შინაგან საქმეთა სამინისტროც გამოაფხიზლა, რომელმაც მეორე დღესვე, საზოგადოების თუ უფროსების დასანახად, ერთმანეთის მიყოლებით გამოვლენილი რამდენიმე კონტრაბანდის ფაქტით მოიწონა თავი.*

თამარ კაპიტაძე

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ეკონომიკურ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსის, დავით კაჭკაჭიშვილის გუშინდელი განაცხადებით, პრეზიდენტის სპეციალური განკარგულების შესასრულებლად, პოლიცია თამბაქოს კონტრაბანდის წინააღმდეგ ინტენსიურად განახორციელებს ოპერატიულ ღონისძიებებს. განკარგულება მიზნად ისახავს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას თამბაქოს, ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის დისტილატების უკანონო ბრუნვის აღკვეთის გზით.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემიის თანამშრომლის კუთვნილი 7500 კოლოფი სიგარეტი ამ მიზნით ჩატარებული ოპერაციის პირველი შედეგი აღმოჩნდა. დაახლოებით, ათასი ლარის ღირებულების რუსული აქციზის მქონე სიგარეტი ამოიღეს ნატახტარში თავდაცვის სამინისტროს სანომრე ნიშნით მოძრავი BMW-ს მარკის ავტომანქანიდან. ტვირთის მფლობელი კახა სორდია დაკავებულია.

გარდა ამ ფაქტისა, დავით კაჭკაჭიშვილის თქმით, ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყების დღიდან ამოღებულია აშშ-ს ვირჯინიის შტატში სარეალიზაციოდ გამზადებული 19 000 კოლოფი სიგარეტი. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ასევე, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

სისხლის სამართლის საქმე აღიძრა იმ იმპორტიორი ფირმების მიმართაც, რომლებიც უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან. ამ ფირმების რიცხვშია "ომეგა" და "ჰელიოსი". **"მოკვლეული მასალები, სამართლებრივი რეაგირების მიზნით, გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა,"** - განაცხადა დავით კაჭკაჭიშვილმა, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, თუ რა ზარალზეა საუბარი. მისი თქმით, გამოძიების შედეგად ყველაფერი აშკარა და ცნობილი გახდება.

პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად რა რაოდენობის თანხის შეტანას აპირებს ბიუჯეტში შს სამინისტრო, დავით კაჭკაჭიშვილის თქმით, ამის პროგნოზირება ძნელია. თუმცა, როგორც მან აღნიშნა, მიმდინარე წლის ექვს თვეში პოლიციამ 92 ათასი ლარის ღირებულების სიგარეტი ამოიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, ქართულ ბაზარზე ბრუნვაში არსებული სიგარეტის 70 პროცენტი სწორედ კონტრაბანდულია.

რამდენ ხანს გასტანს პოლიციელების კონტრაბანდასთან ბრძოლის მონდომება, ან რამდენად უშველის ერთი-ორი გამოვლენილი ფაქტი ქვეყნის ბიუჯეტს, ძნელი სათქმელია.

### მოკლედ

**მოსკოველმა სამართალდამცველებმა ქართველი ფალსიფიკატორი გამოავლინეს**

მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მოსკოვის მახლობლად, ქალაქ შელკოვოში ფალსიფიცირებული მინერალური წყლებისა და გამაგრილებელი სასმელების უმსხვილესი იატაკქვეშა წარმოება გამოავლინეს, რომელიც საქართველოს მკვიდრს, ალექსანდრე თაშიშვილს ეკუთვნოდა.

ოპერატიული სამსახურები ამ წარმოების კვალს მას შემდეგ დაადგნენ, რაც შელკოვოში მოსახლეობის მასობრივი მოწამვლა დაიწყო, რისი მიზეზიც უხარისხო მინერალური წყალი იყო.

სამართალდამცველების მიერ ბაზარზე შესყიდული მინერალური წყლები - "ბორჯომი", "ესენტუკი", "ნოვოტერსკაია", ასევე, გამაგრილებელი სასმელები - "ბურატინო", "ბაიკალი" და "კოლოკოლჩიკი" მთლიანად ფალსიფიცირებული აღმოჩნდა.

ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ შელკოვოში, საბჭოთა პერიოდის შემდეგ გაჩერებული მინერალური წყლების ქარხნის ბაზაზე ალექსანდრე თაშიშვილმა იატაკქვეშა წარმოება მოაწყო, რომელიც დღე-ღამეში 3 ათას ბოთლს ასხამდა.

მოსკოვის შს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული ფალსიფიცირებული სასმელების ჩამომსხმელი იატაკქვეშა წარმოება უკანასკნელ წლებში გამოვლენილებს შორის ყველაზე მსხვილია.

***პრაიმ-ნიუსი***

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის მეტროპოლიტენის პოლიციამ დააკავა სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში მცხოვრები სოსო გელაშვილი და ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში მცხოვრები ვიტალი ლომსაძე.

გელაშვილმა და ლომსაძემ მეტროპოლიტენის სადგურ „ნაძალადევის" ვესტიბიულში თბილისელ მარინე ლებანიძეს ჩამოჰგლიჯეს ყელსაბამი და ჯვარი. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისი №5 საპყრობილეში ბრალდებული ხვიჩა რაზმაძე პირის ამოკერვით იმუქრება. პატიმარი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და საქმის ობიექტურად გამოძიებას მოითხოვს. ხვიჩა რაზმაძე ხაშურის რაიონულმა პოლიციამ ქურდობის ბრალდებით დააკავა. როგორც იგი აცხადებს, დაზარალებული გოჩა ნოზაძე მას დამნაშავედ არ ცნობს და ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსაც აცნობა, რაც რეაგირება არ მოჰყოლია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოძრაობა "კმარასა" და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროცესი საოლქო სასამართლოში მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის გამო 18 აგვისტოსთვის გადაიდო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრები საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება რუსეთის საპატრიარქოს მიერ ქართული ტაძრების დაპატრონების მცდელობამ განაპირობა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში მოსახლეობამ ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტა. აქციის მონაწილეები ელექტრომომარაგებას, კუთვნილ ხელფასებს და პენსიებს ითხოვენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითებით, დედაქალაქის სკოლებსა და ბაღებში სველი წერტილებისა და სასადილოების სანიტარული შემოწმება 25 აგვისტოდან დაიწყება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია ნავთლუღის ბაზრობის, ვარკეთილის მეტროსა და ვაკეში მდებარე სამების ეკლესიის მიმდებარე

## მოკლედ

### რუსეთის პრეზიდენტი უზბეკეთს ეწვია

ორი დღის წინ ვლადიმირ პუტინი უზბეკეთის პრეზიდენტს ისლამ ქარიმოვს სამარყანდში ეწვია. სამარყანდი ქარიმოვის მშობლიური ქალაქია. რუსეთის პრეზიდენტის საპატივცემულოდ უზბეკეთის პრეზიდენტმა სამარყანდი "დახურულ ობიექტად" გამოაცხადა.

ეს პრეზიდენტ პუტინის მეორე ვიზიტია უზბეკეთში. პირველი, ფაქტობრივად, პუტინის ინაუგურაციისთანავე, 2000 წლის მაისში შედგა.

ისლამ ქარიმოვმა პრეზიდენტ პუტინს თავდაპირველად ქალაქის ღირშესანიშნაობები დაათვალიერებინა, რის შემდეგაც ვიზიტის ოფიციალური ნაწილი დაიწყო. ვლადიმირ პუტინმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ "ძალიან ბევრი საკითხი დაგროვდა, რომელთა განხილვა აუცილებელია".

დაგეგმილი ერთი საათის ნაცვლად პრეზიდენტებმა დახურულ კარს მიღმა სამი საათის განმავლობაში ისაუბრეს. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის შემცირებული მოცულობის გამო შეშფოთება გამოთქვეს. ამჟამად, უზბეკეთის საგარეო ვაჭრობის 16 პროცენტი რუსეთზე მოდის.

რუსეთი და უზბეკეთი ენერგეტიკის სფეროში უფრო აქტიურად თანამშრომლობენ. ერთი წლის წინ რუსულმა "გაზპრომმა" უზბეკეთთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად, რუსულმა კორპორაციამ უზბეკეთის გაზის საბადოები უნდა დაამუშავოს.

ორ ქვეყანას შორის შეუთანხმებლობას კვლავ საგარეო პოლიტიკა იწვევს. რუსეთს უზბეკეთში არსებული ამერიკული ბაზა და ტაშკენტის თუნდაც ფორმალურად სუუამში მონაწილეობა ძალზე აშფოთებს. თუმცა, ვლადიმირ პუტინმა ამჯერად რაიმე მნიშვნელოვანი შეთანხმების მიღწევა უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში ვერ შეძლო.

### სომხეთმა ელექტრონული ვიზები გამოუშვა

გუშინ სომხეთის საიმიგრაციო სამსახურმა პირველი ელექტრონული ვიზა გასცა, რომელიც საზღვარგარეთ ინტერნეტით მოითხოვეს.

თავდაპირველად 1000 ელექტრონული ვიზის გაცემა არის დაგეგმილი. პირველი ამგვარი ვიზა ამერიკის მოქალაქე სოსი მაზმანიანზე გაიცა. მაზმანიანი ისტორიულ სამშობლოში პირველად ჩამოვა. მას მთავრობის დელეგაციაც დახვდება, ხოლო მოგვიანებით მას საგარეო საქმეთა მინისტრი ვართან ოსკანიანი შეხვდება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ვიზის გაცემის გაიოლებული მეთოდი ტურისტების მოზიდვას ხელს შეუწყობს. საიმიგრაციო სამსახურის მონაცემებით, შარშან სომხეთს 80 000 უცხოელი ესტუმრა.

## ორი სიტყვით

რუსეთი აგრძელებს სამხედრო აღჭურვილობის საქართველოდან სომხეთში გადატანას. მომავალ კვირას საგარეჯოს სამხედრო საწყობიდან გიურიში, (სომხეთი), მდებარე სამხედრო ბაზაზე 14 ვაგონ სამხედრო ტვირთს გადაიტანენ. რუსული იარაღის საქართველოდან სომხეთში გადატანას ტრადიციულად აპროტესტებს აზერბაიჯანი.

■ ■ ■

რუსეთი შესაძლოა, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციას შეუერთდეს – განცხადება ამის შესახებ პრეზიდენტმა პუტინმა მალაიზიაში ვიზიტისას გააკეთა. ორგანიზაცია 57 ისლამურ სახელმწიფოს აერთიანებს. პუტინის განცხადებით, რუსეთში 20 მილიონი მუსულმანი ცხოვრობს, უფრო მეტი, ვიდრე ბევრ ისლამურ სახელმწიფოში. რუსეთის მუსულმანთა სულიერი ლიდერი გაინუტდინი ამ იდეას აღფრთოვანებით შეხვდა

■ ■ ■

მადაგასკარის ყოფილ პრეზიდენტს ათი წლით ციხე მიუსაჯეს. მას ბრალად ედება ცენტრალური ბანკიდან 8 მილიონი დოლარის მოპარვა. დიდიე რაცირაკამ და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა ქვეყანა რამდენიმე თვის წინ, საპრეზიდენტო არჩევნებში რავალომანანასთან დამარცხების შემდეგ დატოვეს.

■ ■ ■

ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და ერთი დაიჭრა ბაღდადში გუშინ ატეხილი სროლის დროს. თავდასხმა ღამით განხორციელდა. ერაყელებს შორის მსხვერპლის შესახებ არაფერს იუწყებიან. 1 მაისის შემდეგ, ერაყელი თავდამსხმელების ხელით უკვე 55 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა.

■ ■ ■

შვეიცარიის ალპებში, ორი მატარებლის შეჯახების შედეგად, 30 ადამიანი დაშავდა. ერთი მათგანი საავადმყოფოშია გადაყვანილი. ავარია გუშინ დილის 8 საათზე მოხდა. რკინიგზის ეს მონაკვეთი ალპების ორ მწვერვალს შორის გადის და ტურისტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

■ ■ ■

საერთაშორისო სამშვიდობო ძალებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს ლიბერიის დედაქალაქ მონროვიამდე. მათი განთავსებისთანავე პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი აპირებს, თავისი გადადგომის შესახებ განაცხადოს. ცისფერჩაფხუტიანების დიდი ნაწილი ნიგერიიდანაა, მათ შვიდი ამერიკელი საზღვაო ქვეითიც შეუერთდათ. ბოლო დღეებში ქვეყანაში სროლა შეწყდა, მაგრამ წარმოიშვა ახალი პრობლემა – გათავდა სურსათის მარაგი. ამჟამად რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი შიმშილობს.

# უკრაინა ერაყში 1800 ჯარისკაცს აგზავნის

REUTERS

*ერაყში გამგზავრების წინ.*

უკრაინელი სამხედროების პირველი ჯგუფი გუშინ ერაყში გაემგზავრა. სულ კიევი ამ ქვეყანაში 1800 ცისფერჩაფხუტიანის გაგზავნას აპირებს. ისინი პოლონურ სექტორში იმსახურებენ.

"ერაყის აღდგენაში მონაწილეობა უკრაინის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ კავშირები ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ პოლონეთთან და გავაუმჯობესოთ ურთიერთობები ევრო-ატლანტიკურ სამხედრო სტრუქტურებთან," – განაცხადა ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ევჰენ მარჩუკმა.

უკრაინელი სამხედროები ერაყის შიიტებით დასახლებულ ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში იმსახურებენ. ეს ადგილები შედარებით უსაფრთხოდ ითვლება. მაგრამ, შესაძლო მსხვერპლის შიშით, უკრაინის მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც უარყოფითადაა განწყობილი ამ ახალი მისიის მიმართ.

უკრაინას ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, მაგრამ ამავე დროს, ყველაზე არაეფექტური არმიაც ჰყავს. მარჩუკის განცხადებით, მან ბოლო დღეებში ორი გენერალი გაათავისუფლა, რომლებმაც ჯარისკაცების მომზადებას საერაყოდ თავი ვერ მოაბეს.

ერთი წლის წინ, აშშ-უკრაინის ურთიერთობები სერიოზულად დაიძაბა იმის გამო, რომ ვაშინგტონმა პრეზიდენტი კუჩმა ერაყისათვის თანამედროვე რადარების მიყიდვაში დაადანაშაულა. თუმცა, საბოლოოდ ამერიკელებმა ბრალდების დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა ვერ შეძლეს.

უკრაინას იმედი აქვს, რომ აშშ-თან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა ქვეყანას ნატო-ში დაჩქარებულ გაწევრიანებაში დაეხმარება.

# რამდენად დემოკრატიულები არიან ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოები

**ესტონეთი**. შეესაბამება დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებს.

**ლიტვა**. შეესაბამება დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებს.

**ლატვია**. შეესაბამება დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებს.

**ბელარუსი**. პრეზიდენტმა ლუკანშენკომ ქვეყანაში ფაქტობრივი დიქტატურა დაამყარა, პოლიტიკური მკვლელობები და ოპოზიციის შევიწროვება ჩვეული ამბავია.

**მოლდოვა**. ქვეყანაში არსებობს მმართველობის საპარლამენტო სისტემა, არჩევნები საკმაოდ სამართლიანად ტარდება და მათი მეშვეობით შესაძლებელია ხელისუფლების რეალური შეცვლა.

**უკრაინა**. ძალადობა და ოპოზიციის შევიწროვება ჩვეული ამბავია. მიუხედავად ამისა, არსებობს ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის პერსპექტივა.

**საქართველო**. ბოლო არჩევნები დარღვევებით ჩატარდა, მაგრამ შედეგები სამართლიანი აღმოჩნდა. ოპოზიციის შევიწროება არ ხდება, მაგრამ ძალაუფლება პრეზიდენტ შევარდნაძის ხელშია კონცენტრირებული.

**სომხეთი**. სამხედროები უდიდეს გავლენას ახდენენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. პოლიტიკური ძალადობა ხშირია, მაგრამ რამდენიმე ოპოზიციური პარტია მაინც არსებობს.

**აზერბაიჯანი**. რეალურად წარმოადგენს ერთპარტიულ ქვეყანას, სადაც მასმედიასა და ოპოზიციურ პარტიებს გამუდმებით ავიწროებენ. ქვეყანაში იქმნება პირველი მმართველი დინასტია.

**რუსეთი**. პრეზიდენტმა პუტინმა სამართლიან არჩევნებში გაიმარჯვა და ცდილობს საარჩევნო კორუფციასთან ბრძოლას. მაგრამ, თავდასხმა თავისუფალ მედიაზე ამ ქვეყანაში დემოკრატიის მომავალს ეჭვქვეშ აყენებს.

**ყაზახეთი**. პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ფაქტობრივად ერთპარტიული სისტემა შექმნა. მას უზარმაზარი ძალაუფლება აქვს, მაგრამ შეზღუდულ ოპოზიციას არსებობის უფლებას აძლევს.

**უზბეკეთი**. დიქტატურა. არჩევნები მხოლოდ მოსაჩვენებლად ტარდება. პრეზიდენტი კარიმოვი მაქსიმალურად დევნის ოპოზიციას.

**ყირგიზეთი**. ერთპარტიული სახელმწიფო, რომელსაც პრეზიდენტი აკაევი მართავს. ოპოზიციური პარტიები არსებობს, მაგრამ მათ ავიწროებენ.

**ტაჯიკეთი**. პრეზიდენტი რახმონოვი ადგილობრივ პოლიტიკაში მთავარი ფიგურაა, მაგრამ სამოქალაქო ომის შემდეგ, მთავრობაში ოპოზიციაც არის წარმოდგენილი.

**თურქმენეთი**. პრეზიდენტ ნიაზოვს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სრული კონტროლი აქვს დაწესებული. ყველაზე არადემოკრატიული ქვეყანა ყოფილ საბჭოთა კავშირში.

***"ტაიმსი", დიდი ბრიტანეთი***

# ერაყში იორდანიის საელჩო ააფეთქეს

REUTERS

*იორდანიის საელჩო ბაღდადში.*

გუშინ ბაღდადში იორდანიის საელჩოს წინ სატვირთო მანქანა აფეთქდა. ტერორისტული აქტის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა და 65 დაშავდა.

იორდანიის საელჩოზე თავდასხმის ზუსტი მიზეზი უცნობია და არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას მომხდარზე პასუხისმგებლობა არ აუღია. თუმცა, საგულისხმოა, რომ აფეთქება ზუსტად ერთი კვირის შემდეგ მოხდა, რაც ჰუსეინის ქალიშვილებმა თავი იორდანიას შეაფარეს.

ერაყის პოლიციის კაპიტნის აჰმად სულეიმანის თქმით, სატვირთო მანქანაში ოთხი ადამიანი აფეთქდა. მათთან ერთად საელჩოს გარეთ მდგომი დაცვის ხუთი თანამშრომელი დაიღუპა.

მოგვიანებით ადგილობრივმა სამართალდამცველებმა საავადმყოფოში დააზუსტეს, რომ სულ 11 ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაიჭრა.

თვითმხილველთა თქმით, სატვირთო მანქანა ნაკუწებად იქცა. აფეთქების შედეგად საელჩოს თანამშრომლებიც დაიჭრნენ. მძაფრ სიუჟეტიანი ფილმების მსგავსად, ადამიანების კიდურები აქეთ-იქით ცვიოდა.

ერაყში მყოფი ამერიკის არმიის ინფორმაციით, აფეთქება ადგილობრივი დროით 11 საათზე მოხდა.

ტერაქტის ადგილზე ამერიკელი სამხედროები ტანკებით მივიდნენ და გამოძიება დაიწყეს. ცოტა ხანში მათ საელჩოს შენობას ალყა შემოარტყეს და გარეშე პირებს აღარ უშვებდნენ.

ამერიკის სახმელეთო ძალების ჯარების უფროსმა გენერალმა სანჩესმა განაცხადა, რომ ერაყში პროფესიონალი ტერორისტები მუშაობენ.

ამავდროულად, იორდანიამ საპროტესტო განცხადება გაავრცელა და ორგანიზატორებს პასუხისგებით დაემუქრა.

"ეს მშიშრების ნახელავია...ეს ჩვენ ერაყელი ხალხის დახმარებასა და სტაბილიზაციის პროცესში მხარდაჭერაზე ხელს არ აგვაღებინებს," - განაცხადა ინფორმაციის მინისტრმა ნაბილ ალ-შარიფმა ამანში.

# "მომღიმარ ტერორისტს" სიკვდილი მიუსაჯეს

REUTERS

*მომღიმარი ამროზი.*

გუშინ ინდონეზიის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ამროზის, შარშან კუნძულ ბალიზე მომხდარი აფეთქების ერთ-ერთ თანამონაწილეს. გასული წლის ზაფხულში ბალის ორ ღამის კლუბში მომხდარმა აფეთქებებმა 202 ადამიანის, ძირითადად უცხოელების სიცოცხლე შეიწირა.

მთელი პროცესის განმავლობაში ამროზის თავი გამომწვევად ეჭირა, გამუდმებით იღიმებოდა, დასცინოდა მოწმეებს და რელიგიურ ლოზუნგებს გაჰყვიროდა. იგი აცხადებდა, რომ სწორად მოიქცა და თეთრკანიანები, განსაკუთრებით ამერიკელები და ებრაელები, სიკვდილს იმსახურებენ. რაც შეეხება ასამდე ავსტრალიელსა და ათეულობით ადგილობრივ მოსახლეს, რომლებიც ასევე დაიღუპნენ ტერაქტების დროს, ამროზი აცხადებდა, რომ მათ მიმართ "განსაკუთრებული სიძულვილი არ ამოძრავებდა". ეს კი დიდი ვერაფერი ნუგეში იყო პროცესზე შეკრებილი გადარჩენილებისათვის და დაღუპულთა ნათესავებისათვის, რომლებიც ამროზის სიკვდილს მოითხოვდნენ.

"ის, რაც ამროზიმ გააკეთა, სცილდება ადამიანურობისა და ყოველგვარი რელიგიური მოძღვრების ჩარჩოებს," – ნათქვამია ინდონეზიის უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში.

ამროზის ახლობლები აცხადებენ, რომ განაჩენი უსამართლოა, რადგან ამროზის როლი მხოლოდ ტერორისტებისათვის ბომბის დამზადებითა და მანქანის ჩუქებით შემოიფარგლებოდა.

ტერორისტული აქტის ორგანიზებაში ალ-ქაიდასთან დაკავშირებულ ორგანიზაციას – ჯამაა ისლამას ადანაშაულებენ, რომელსაც სასულიერო პირი აბუ ბაქარ ბაშირი ხელმძღვანელობს. თავად ბაშირი ამ საქმესთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს.

განაჩენის გამოტანამდე ორი დღით ადრე ინდონეზიაში კიდევ ერთი ტერაქტი მოხდა – ააფეთქეს სასტუმრო "მარიოტი". პოლიციის განცხადებით, ხელწერა იგივე იყო, რაც ბალის შემთხვევაში, გამოყენებული იყო ზუსტად ისეთივე სახის ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც ასევე მანქანაში იყო დამონტაჟებული.

# რის გამო წირავენ თავს ჩეჩენი ქალები

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტ პუტინის მრჩეველმა ჩეჩნეთის საკითხებში სერგეი იასტრჟემბსკიმ ყოველკვირეული გამოცემის "სობესედნიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ისლამისტი ტერორისტები "შავ ქვრივებთან" თანამშრომლობენ, რათა მათგან თვითმკვლელები შექმნან.

"ჩეჩნები ფსიქოტროპიული წამლების გამოყენებით ახალგაზრდა გოგოებს ზომბებად აქცევენ," - აღნიშნა იასტრჟემბსკიმ. "მე ვიცი, რომ ჩეჩნები ქალებს აუპატიურებენ და ამას კამერით იღებენ. ამის შემდეგ, ამ გოგოებს არანაირი შანსი აღარ აქვთ, რომ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ ჩეჩნეთში. მათ მხოლოდ ერთი არჩევანი აქვთ - თვითნაკეთი ყუმბარებით თავი აიფეთქონ."

რუსი გამომძიებლების თქმით, კამიკაძე ქალების მოქმედებას კოორდინაციას უწევს "შავი ფატიმა", შუა ხნის ჩეჩენი ქალი. რუსი სამართალდამცველების მტკიცებით, ისინი ფატიმას კვალზე ზარემა მუჟიხოევას დაჭერის შემდეგ გავიდნენ, რომელიც 9 ივლისს თავის აფეთქებას ცდილობდა.

იელინხაჯიევას მამა ინვალიდია და პირველი ქორწინებიდან 21 წლის ვაჟი დანილხანი ჰყავს.

გასული წლის ნოემბერში დაინვალიდებული კაცი რუსმა ოფიცრებმა დააკავეს და 24 საათის შემდეგ გაათავისუფლეს. ამის შემდეგ, იგი თავის მეორე ცოლთან და პატარა ვაჟთან ერთად ინგუშეთში გაიქცა. ზულიხანი და მისი უმცროსი და იმანი კი ჩეჩნეთში დარჩნენ.

თებერვალში ზულიხანი გაიტაცეს. ადგილობრივები დარწმუნებულები არიან, რომ იგი დანილხანმა მოიტაცა, რომელსაც ზედმეტსახელად ავღანელს უწოდებენ. იმის მიუხედავად, რომ მასზე ეჭვი არსებობდა, ოჯახი დაშინებული იყო და პოლიციისათვის არაფერი უთქვამს.

ერთ-ერთმა მეზობელმა ანონიმურობის პირობით "ნიუ-იორკ თაიმსს" განუცხადა, რომ იელინხაჯიევა "ძალზე კულტურული, თანამედროვე გოგონა იყო". "მას ამგვარი რამის ჩადენა თავში არ მოუვიდოდა," - დასძინა მან.

# არც პრეზიდენტი, არც პრემიერი

აზერბაიჯანის ახლადდანიშნული პრემიერ-მინისტრი ილჰამ ალიევი "უხელფასო შვებულებაში" გავიდა. როგორც ჩანს, იგი შვებულებაში 15 ოქტომბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებამდე იქნება. ამასობაში უმცროსი ალიევი საარჩევნო კამპანიით იქნება დაკავებული.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობას მისი პირველი მოადგილე, არტურ რასიზადე შეასრულებს, რომელსაც 4 აგვისტომდე პრემიერის პოსტი ეკავა.

აზერბაიჯანში, ფორმალურად, ხელისუფლების ვაკუუმია შექმნილი, რადგან არც პრეზიდენტი და არც პრემიერ-მინისტრი მოვალეობას არ ასრულებენ. ფაქტობრივად კი, კონტროლის ნაკლებობა აზერბაიჯანში არაფერში იგრძნობა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, "ყოველი შემთხვევისათვის" მთავრობამ ყარაბაღიდან ჯარების ნაწილები მოხსნა და დედაქალაქის მიმართულებით გადაისროლა. სხვათა შორის, იგივე გააკეთა კოჩარიანმაც ამ გზაფხულზე გამართული საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

ვარაუდობენ, რომ არჩევნები "უპრობლემოდ" ჩაივლის. თუმცა, ექსპერტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ალიევების ოჯახში უთანხმოებაა. ამბობენ, რომ ჰეიდარის და სევილი, მისი ქმარი, მაჰმუდ მამად-გულიევი და ძმა ჯალალი ძმისშვილს კარგი თვალით არ უყურებენ.

პრეზიდენტის ჯანმრთელობის შესახებ ახალი არაფერია ცნობილი. იგი მკურნალობას აშშ-ში, ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდის საავადმყოფოში განაგრძობს.

# შვარცნეგერი რეიგანის გზას დაადგა

"ხალხს ყელში ამოუვიდა პოლიტიკოსები, – განაცხადა გუშინ არნოლდ შვარცნეგერმა,– ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი კანდიდატურა წამოვაყენო კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნებში," "ეს უკვე პოლიტიკა აღარ არის, ეს ნამდვილი ცირკია," – განაცხადეს დემოკრატებმა "დიდი არნის" საპასუხოდ.

კალიფორნიის გუბერნატორს გრეი დევისს ვადამდე გადარჩევა ემუქრება. ასეთი რამ ამერიკის არც ერთ შტატში ბოლო 80 წლის განმავლობაში არ მომხდარა. დევისმა შარშან თავად გაამარტივა გუბერნატორის გადარჩევის პროცედურა, რათა პოლიტიკოსები ხალხის წინაშე კიდევ უფრო მეტად პასუხისმგებელი გაეხადა, და ახლა თავისი "პროგრესული პოლიტიკის" შედეგებს იმკის.

მისი რეიტინგი ბოლო დროს 25 პროცენტზე დაბლა დაეცა. მიზეზი არნახული საბიუჯეტო კრიზისია. ამ წელს შტატის ბიუჯეტის დეფიციტი 38 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს უფრო მეტია, ვიდრე ამერიკის ნებისმიერი სხვა შტატის მთელი ბიუჯეტი, გარდა ნიუ იორკისა. საბიუჯეტო კრიზისმა შტატი გაკოტრების პირას მიიყვანა.

ფინანსური კრიზისი ყველა შტატს შეეხო. ორეგონის შტატში ადმინისტრაცია იძულებულია, სახლში გაუშვას ყველა ეჭვმიტანილი, რომელსაც არაძალადობრივ დანაშაულში ედება ბრალი, რადგან მათთვის ადვოკატების დასაქირავებლად ფული არ ჰყოფნის. სხვა შტატები იძულებული არიან, სახელმწიფო დაწესებულებებში შტატები შეამცირონ და სხვადასხვა პროგრამები შეკვეცონ, მაგრამ ის, რაც კალიფორნიაში ხდება, უპრეცედენტოა.

კრიზისში ხალხი ორივე პარტიის პოლიტიკოსებს ადანაშაულებს. შვარცნეგერს იმედი აქვს, რომ ამ ფონზე, "გარედან მოსული კაცი" უფრო იოლად მიაღწევს წარმატებას. "ტერმინატორი" რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი იქნება.

სოციოლოგები აცხადებენ, რომ "არნის" გამარჯვების შანსები აქვს, ოღონდ ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებს იგი პოლიტიკაში თავისი კომპეტენტურობა დაამტკიცოს.

# სადამი გარბის და იმალება

ამერიკელმა გენერალმა, რომელსაც სადამის დაჭერა ევალება, განაცხადა, რომ ყოფილი დიქტატორი ინიღბება და სამყოფელს ძალიან ხშირად იცვლის, რათა ამერიკელთა პატრულს ხელში არ ჩაუვარდეს.

"ის ყოველდღიურად სამ-ოთხი საათის განმავლობაში გზაშია", - აღნიშნა გენერალ-მაიორმა რეი ოდიერნომ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელიც სადამის მშობლიურ ქალაქ ტიკრიტში, მდინარე ტიგროსის სანაპიროზე გაშენებულ დიქტატორის ყოფილ სასახლეში გაიმართა.

გენერალი ოდიერნო ასევე ამერიკელებზე თავდამსხელთა დაჭერის ოპერაციას ხელმძღვანელობს. ორი დღის წინ მათ 39 ადამიანი დააკავეს, რომლებიც ადრე ერაყის ელიტარულ საჯარისო ნაწილებში მსახურობდნენ. ამერიკელთა აზრით, ორი მათგანი ყოფილი გენერალია და ისინი ამერიკელებზე თავდასხმებში იღებდნენ მონაწილეობას.

# თურქეთის პრეზიდენტმა ახალი კანონები დაამტკიცა

პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ ახალ კანონებს, რომლის თანახმად, სამხედროების ძალაუფლება მნიშვნელოვანწილად შემცირდება. ეს ევროკავშირში გასაწევრიანებლად ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა.

აღსანიშნავია, რომ ივნისში სეზერმა რეფორმათა ერთი ნაწილი დაბლოკა, რის გამოც მას ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ხელის შეშლაში დასდეს ბრალი.

ამჟამინდელი ცვლილებები ძალზე გავლენიანი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ძალაუფლებას კვეცავს და მას პრემიერ-მინისტრს უქვემდებარებს. დღემდე უშიშროების საბჭოს აღმასრულებელი ფუნქციები ჰქონდა და მას სამხედროები აკონტროლებდნენ.

# იტალიაში პირველი კლონირებული ცხენი შექმნეს

კლონირებული კვიცი სახელად პრომეთეა 10 კვირის წინ დაიბადა და აბსოლუტურად ჯანმრთელია. პრომეთეას შესაქმნელად მეცნიერებმა ფაშატის კანიდან უჯრედი აიღეს და გაანაყოფიერეს. შემდეგ კი განაყოფიერებული უჯრედი იმავე ფაშატის საშვილოსნოში დააბრუნეს. ფაქტობრივად, 10 კვირის წინ ამ ცხენმა თავისი ასლი დაბადა.

აღსანიშნავია, რომ პრომეთეა მხოლოდ 327-ე ცდის შემდეგ დაიბადა. ამის შესახებ ინფორმაცია ძალზე ავტორიტეტულმა ჟურნალმა "Nature"-მა გამოაქვეყნა. ახლა მსოფლიოში უკვე არსებობენ კლონირებული ცხვრები, თაგვები, თხები, კურდღლები, კატები, გოჭები და ხარები.

რეპროდუქციული ტექნოლოგიების ლაბორატორია, სადაც პრომეთეა შეიქმნა, მილანიდან 1 საათის სავალზე, კრემონაშია განლაგებული. სახელგანთქმული ცხვრის - დოლისაგან განსხვავებით, პრომეთეა ძალზე აქტიურია და კამერებს არ უფრთხის.

ამ პროექტის ხელმძღვანელის ჩეზარე გალის აზრით, პრომეთეას შექმნამ, შესაძლოა, დოღის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს. მისი თქმით, თეორიულად შესაძლებელია, რომ ყველა დროის საუკეთესო ცხენების ასლები შეიქმნას და მათი შეჯიბრება მოეწყოს.

*პირველი კლონირებული კვიცი პრომეთეა.*

ჩოგბურთი

# აშშ-ს ღია პირველობას ბოიკოტი არ ემუქრება

ჰაატა თოთაძე

*პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) "დიდი სლემის" ტურნირების ორგანიზატორებისგან 50 მილიონი დოლარი მოითხოვა. თუ მოთხოვნა არ შესრულდა, ATP-ს დაგეგმილი აქვს, ბოიკოტი გამოუცხადოს საჩოგბურთო სამყაროში ყველაზე რენტაბელურ ტურნირებს. "ვარსკვლავური რეკეტის" პირველი მსხვერპლი აგვისტოს ბოლოს დაგეგმილი პრესტიჟული US OPEN უნდა გახდეს.*

"როლან გაროსის" დასრულების შემდეგ ATP-ს აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ მაილზმა წინადადებით მიმართა "დიდი სლემის" ორგანიზატორებს, 50 მილიონი დამატებით გამოეყოთ "პროფებისთვის", მაგრამ ეს ყველამ ხუმრობად აღიქვა. არადა, უიმბლდონის პირველივე დღეებმა ცხადყო, რომ მაილზი არ ხუმრობდა. ამასთან დაკავშირებით ჩოგბურთელებთან გამართულ შეხვედრას უიმბლდონის დირექტორი, ტიმ ფილიპსიც ესწრებოდა. შეხვედრაზე მაილზმა განაცხადა, რომ რეიტინგში საუკეთესო 150 მოთამაშეს დაურიგდა ეგრეთ წოდებული ხელშეკრულება მონაწილეობის შესახებ (Participation Agreement). დოკუმენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მასზე ხელისმომწერები თანახმა არიან, მოცემულ ვადებში მხოლოდ ასოციაციის განკარგულებაში იყვნენ და უარი თქვან ამ ვადებში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) მიერ მოწყობილ ნებისმიერ ტურნირში მონაწილეობაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ვადები ზუსტად ემთხვევა ფედერაციის ეგიდით გასამართი "დიდი სლემის" ტურნირების ჩატარების ვადებს. ამ პერიოდში ATP ალტერნატიული შეჯიბრებების ჩატარებას გეგმავს.

სკანდალური დოკუმენტი ფილიპსისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. დოკუმენტის თავდაპირველი ვარიანტი ასოციაციის მიერ "დიდი სლემის" ორგანიზატორებს ადრევე გაეგზავნათ. ოთხივე ტურნირის დირექტორმა მაშინვე მკაცრი პოზიცია დაიჭირა. "ჯერ კიდევ პარიზში, როცა ATP-მ საპრიზო ფონდის 150 პროცენტით გაზრდა მოითხოვა, ჩვენ ყველამ გადავწყვიტეთ, რომ ეს შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ რაღაზე უნდა ვისაუბროთ ATP-სთან?", - განაცხადა ფილიპსმა. როგორც ჩანს, ფედერაციის და ასოციაციის წარმომადგენლებს საუბარი მაინც მოუწევთ. საქმე ისაა, რომ ასოციაციის წარმომადგენლების თქმით, პირველი ოცეულის 15 წევრთან უკვე მიღწეულია წინასწარი შეთანხმება "დიდი სლემის" ტურნირების ბოიკოტირების თაობაზე. ალბათ, ასეულის დანარჩენი წევრებიც ასე მოიქცევიან. თუკი მართლაც ასე მოხდა, დიდ ჩოგბურთს უდიდესი მასშტაბის ბოიკოტი ელის.

რით ხსნის ATP თავის მოთხოვნებს? მაილზის თქმით, ასოციაციას ფული კეთილშობილური საქმეებისთვის სჭირდება. მასში იგულისხმება დამატებითი წახალისებები წლის განმავლობაში განსაკუთრებულად წარჩინებულთათვის, დღევანდელი "პროფების" საპენსიო ფონდის შევსება და, რა თქმა უნდა, ქველმოქმედება. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გასაკვირია, რა შუაშია ამ შემთხვევაში ITF, რომლის ეგიდითაც ტარდება "დიდი სლემის" ტურნირები. ექსპერტების აზრით, ATP-მ ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ ჩაიფიქრა, რომ ფედერაციას ტურნირებიდან შესული თანხების ნაწილი დასცინცლოს და თავის საკეთილდღეოდ გამოიყენოს. ხელშეკრულების შემდგენებს, ჩანს, გამორჩათ ერთი დეტალი – ის, რომ 1999 წელს, ასოციაციასა და ფედერაციას შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებით, "დიდი სლემის" ტურნირებზე მოთამაშეთა განთესვა ATP-ს რეიტინგით მოხდებოდა. ამის სანაცვლოდ, ATP დათანხმდა, ტურნირებზე საპრიზო ფონდის დაწესების ექსკლუზიური უფლება "დიდი სლემისთვის" მიეცა. "დიდი სლემის" ტურნირები არაკომერციული ორგანიზაციაა, - აცხადებს ტიმ ფილიპსი, – ჩვენ უკვე ჩავდეთ ჩოგბურთის განვითარების საქმეში 22 მილიონი დოლარი. საპრიზო ფონდი კი უიმბლდონზე ყოველწლიურად იზრდება. წელს ამ მატებამ 9% შეადგინა. ასევე იმატებს ამერიკის ღია პირველობის საპრიზო ფონდიც. განა ეს ცოტაა?"

რას შეიძლება მიაღწიოს ATP-მ ბოიკოტით? "პროფესიულ ჩოგბურთში ყველა დროში არსებობდა კონფლიქტები და აზრთა სხვადასხვაობა. ყველას სურს, იშოვოს დიდი ფული, თანაც - ადვილად. ATP-ს, მოთხოვნების წამოყენების ნაცვლად, უჯობს, თავისი ბიუროკრატიული აპარატი შეამციროს. მაილზის მაგვარ ტოპ-ფუნქციონერებს წლიური გასამრჯელო (გაფორმებული კონტრაქტებიდან მისაღები პროცენტების გაუთვალისწინებლად) 2 მილიონი დოლარი აქვთ. ამ ბოიკოტით ასოციაცია იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის", - აცხადებს წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი.

ბორის ბეკერის თქმით (რომელსაც უიმბლდონიდან BBC-სთვის რეპორტაჟები მიჰყავდა): "ATP და ITF უნდა მიხვდნენ, რომ ისინი ერთმანეთისთვის საჭირონი არიან. კონფლიქტი მათ დაღუპავთ. უბრალოდ, საჭიროა, ყველამ დაიცვას დაწესებული კანონები და ყველაფერი კარგად იქნება. უიმბლდონის შემოსავლების ნაწილი ინგლისში და დაბალგანვითარებულ ქვეყნებში ჩოგბურთის განვითარებას ხმარდება. ეს ფული რომ ATP-მ წაიღოს, რა გამოვა? ასეთი რამ არ უნდა მოხდეს და ნურავინ იფიქრებს, რომ "დიდი სლემის" ალტერნატიული ტურნირების დაწესებით რაიმეს მოიგებს".

ყველაფერი ახლო მომავალში გაირკვევა. ამერიკის ღია პირველობის დაწყებამდე ხომ არც ისე დიდი დროა დარჩენილი. თუმცა, დღეს შექმნილი ვითარება იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ US OPEN-ს ბოიკოტი არ ემუქრება. ორგანიზატორების თქმით, ისინი არავის მისცემენ შეჯიბრის ჩაშლის ნებას.

TV-სპორტი

**პარასკევი. 8 აგვისტო**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. საფრანგეთის ჩემპიონატი. "ოლიმპიკი" – "პსჟ"
15:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "სან პაულუ"
16:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. "ვალენსია" – "ლაციო"
18:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "პერუჯა" – "ინტერი"
21:05 ვარდარი – ცსკა. წვრილმანები
21:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. "ჩელსი" – "ბარსელონა"
23:05 "გაიტანე!" ჯოვანი ელბერთან ერთად
23:20 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩარლტონი" – "ნიუკასლი"
01:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მონრეალში
13:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
13:45 "ჰოკეის საღამო"
15:00 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
15:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში
17:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური
17:55 მძლეოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ტაილანდური კრივი
21:30 ტყვიით სროლა. ევროპის ჩემპიონატი
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 საკალათბურთო მიმოხილვა
23:00 როდეო. "Bull Riders"
23:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მონრეალში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში

**EUROSPORT**
11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
12:00 "ოლიმპიური თამაშები"
12:30 თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
13:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
15:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
19:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
21:00 მძლეოსნობა. IAAF სუპერ გრან-პრი შვედეთში
23:00 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
23:30 მძლეოსნობა. IAAF სუპერ გრან-პრი დიდ ბრიტანეთში
02:15 ახალი ამბები
02:30 "ფორმულა 1"
02:45 სპორტი და მოტორი
03:15 სპორტი და მოტორი
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
04:00 ექსტრემალური სპორტი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# ფეხბურთით მთელი კავკასია ერთად „ხალისობს"

"სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" მწვრთნელთა სემინარი თბილისში

აკა ტონია

გიგიშვილის პირადი არქივიდან

*საქართველო ანდერს ლევინსენის მორიგი გაჩერებაა.*

ყველაფერი ექვსი წლის წინათ დაიწყო, როდესაც დანიური "კოპენჰაგენის" ყოფილი ფეხბურთელი ანდერს ლევინსენი, გაერო-ს მისიით, ბოსნიაში იმყოფებოდა. სწორედ იქ დაებადა ლევინსონს "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" შექმნის იდეა. ეს პროექტი პოსტკონფლიქტურ ზონებში ბავშვების ფეხბურთით "გართობას" ისახავდა მიზნად.

ფეხბურთით "გართობის" ტრადიციები დანიასა და ნორვეგიაში ათეულობით წლის წინ დაინერგა. ანდერს ლევინსონის მსგავსი ენთუზიასტები ბავშვებს ფეხბურთის სიყვარულს უნერგავდნენ. თავისი იდეა ლევინსონმა გაანდო გაერო-ს, დანიისა და ნორვეგიის მთავრობებს, ამ ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს და ა.შ. სახალისო ფეხბურთის პირველი ღია სკოლები ბოსნიაში შეიქმნა. 2001 წელს კი ანდერს ლევინსენმა თავისი პროგრამა ევროსაბჭოში წარადგინა და დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. სწორედ მაშინ შედგა ევროსაბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტის წევრის, თამაზ თევზაძისა და ლევინსენის შეხვედრა. თევზაძემ ლევინსენს "სახალისო საფეხბურთო სკოლების" პროექტის განხორციელება საქართველოშიც შესთავაზა. როგორც თავად ანდერს ლევინსენი აცხადებს, - "დაინტერესებას კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვა". გასული წლის დეკემბერში ლევინსენი საქართველოს ესტუმრა.

გუშინ "ნორჩი დინამოელის" სკოლა "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" მწვრთნელთა უკვე მეორე ქართულ სემინარს მასპინძლობდა. განსხვავებით პირველი სემინარისაგან, რომელიც ერთი კვირის წინათ ჩატარდა, ამჯერად თავად ლევინსენიც თბილისშია. ის გუშინწინ ჩამოფრინდა და სემინარებში პირადად იღებს მონაწილეობას.

როგორც აღვნიშნეთ, "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" იდეის მთავარი მიზანი კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები ბავშვების გართობაა, თანაც ისე, რომ, პარალელურად, ფეხბურთიც შეისწავლონ. "სახალისო ფეხბურთს" თავისი წესები აქვს. სტანდარტული საფეხბურთო მოედანი 12 ნაწილად იყოფა. 12-ვე "კვადრატს" თავისი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც 16 ბავშვს ავარჯიშებს. "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლაში" ერთდროულად 192 ბავშვი ვარჯიშობს, რომლებიც ერთი "კვადრატიდან" მეორეზე ინაცვლებენ. ყოველი "კვადრატი" მათ ახალ გასართობს და ახალ ცოდნას სთავაზობს. "სახალისო ფეხბურთის" ძირითადი ჩანაფიქრი, ცხადია, ფეხბურთის შესწავლაა, თუმცა ამ სკოლებს იმიტომაც ჰქვიათ "სახალისო", რომ წმინდა საფეხბურთო მეცადინეობებთან ერთად ბავშვები "სხვა საქმეებითაც" ერთობიან. ზოგიერთ კვადრატზე ისინი თოკის გადაქაჩვაშიც კი ეჯიბრებიან ერთმანეთს. "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლა" თითოეულ ქვეყანას მხოლოდ ერთხელ სტუმრობს და მეცადინეობა სულ 30 საათს გრძელდება. ყველა ის ატრიბუტი, რომელიც ანდერს ლევინსენს სხვადასხვა ქვეყანაში ჩააქვს (ბურთები, სათამაშო ფორმები და ა.შ.), ადგილზევე რჩება. "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლის" 12-ვე მწვრთნელი თავიანთ კლუბებში ბრუნდება და საკუთარ სკოლებს ქმნიან. თითოეულ ამ სკოლაში 200-200 ბავშვი ივარჯიშებს. "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლა" მათ ყველა საჭირო ნივთს საჩუქრად უტოვებს და სხვა ქვეყნისკენ იღებს გეზს.

"სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები" ამჯერად საქართველოს სტუმრობს. სემინარი, რომელიც გუშინ დაიწყო, კიდევ ორ დღეს გაგრძელდება. ეს არის "სახალისო ფეხბურთის" მწვრთნელთა სემინარები. გუშინ "ნორჩი დინამოელის" სათამაშო მოედანზე "სახალისო ფეხბურთის" ინსტრუქტორები (ბოსნიიდან, სერბიიდან და ხორვატიიდან ჩამოსული სპეციალისტები) "სახალისო ფეხბურთის" მწვრთნელებს ავარჯიშებდნენ. ქართველ მწვრთნელებთან ერთად სემინარებს გადის ორი სომეხი, ერთი აზერბაიჯანელი და ოთხი მწვრთნელი აფხაზეთიდან *(თანაც მანდილოსნები!)*

ინსტრუქტორები მწვრთნელებს გუშინ ისე ავარჯიშებდნენ, როგორც შემდეგ თავად ამ მწვრთნელებმა უნდა ავარჯიშონ თავიანთი მოსწავლეები. უნდა გენახათ, რა მხიარულება იყო გუშინ "ნორჩი დინამოელის" მოედანზე. ქართველები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები ერთად ხალისობდნენ ფეხბურთით...

მწვრთნელების სემინარის დასრულების შემდეგ, დაახლოებით, ერთ კვირაში სტარტს აიღებს "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" ერთკვირიანი სემინარი ბავშვებისათვის. შემდეგ კი სემინარში მონაწილე ყველა მწვრთნელი თავის რეგიონს დაუბრუნდება და თავ-თავის საფეხბურთო სკოლებს გახსნის.

კალათბურთი

# პრაგმატული სკანდალი

გიგა გურასაშვილი

REUTERS

*კობი ბრაიანტს სასამართლოში ჭკუას არიგებენ.*

ამერიკაში განსაკუთრებული "მოთხოვნილებაა" კინოსა თუ სპორტის ვარსკვლავებთან დაკავშირებულ სკანდალებზე. თავად სკანდალებიც რამდენიმე კატეგორიად იყოფა - უმაღლესი რეიტინგით სექსუალური თავგადასავლები სარგებლობს. ბოლო დროს ამ მხრივ ყველაზე პოპულარულია "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავი კობი ბრაიანტი – კალათბურთელი, რომელსაც, გაუპატიურების ბრალდების გამო, შესაძლოა, სამუდამო პატიმრობა ელოდეს.

უცნაურია, მაგრამ ბრაიანტის საქმისგან ამერიკელები ისევ სარგებელს ეძებენ - კერძოდ, "დალას მავერიკსის" მეპატრონეს მარკ კიუბენს მიაჩნია, რომ "ბრაიანტის საქმე" გულშემატკივართა შორის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისადმი ინტერესს გაზრდის. "ყოველივე ძალზე უხეშად ჟღერს, მაგრამ აღნიშნული შემთხვევა NBA-ს თამაშებისადმი ინტერესს გააღვივებს, - აცხადებს დალასელთა მეპატრონე, – ხალხი გიჟდება პიკანტურ ისტორიებზე, თუმცა ამის აღიარება უჭირთ".

მოვლენები კი ასე ვითარდებოდა: ნიუპორტის სამაშველო სამსახურის – 911 წარმომადგენლის განცხადებით, 3 ივლისს 00 საათსა და 25 წუთზე მათი ტელეფონი აწკრიალდა, მაგრამ მალევე გაითიშა. მიუხედავად ამისა, ოპერატორმა ზარის დაფიქსირება მოასწრო. ზარი ბრაიანტის ოჯახიდან მოდიოდა. იმავე ოპერატორმა გადაწყვიტა, თავადვე გადაერეკა აღნიშნულ ნომერზე. 911-ის მუშაკსა და კალათბურთელს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ბრაიანტი ოპერატორისგან უცნობი ქალისთვის დახმარებას ითხოვდა. საუბრის შემდეგ ბრაიანტების ოჯახისკენ ექიმები გაემართნენ და სახლში მისულთ დახვდათ ქალი, რომელმაც ჰოსპიტალიზაციასა და სამედიცინო დახმარებაზე უარი განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ, ექიმების განცხადებით, იგი ავად გამოიყურებოდა.

ამ მეტად ჩახლართულ საქმეს მოგვიანებით გამოუჩნდა მოწმეც, რომელიც ირწმუნება, რომ ის ქალი ბრაიანტმა კოლორადოს შტატის პატარა ქალაქ ვეილის ოთხვარსკვლავიან სასტუმრო "კორდილიერებში" გააუპატიურა. მსხვერპლი ამავე სასტუმროს თანამშრომელი ყოფილა. მოწმის სახელი და გვარია ლიუკ ბრეი. შემდეგ ისიც გარკვა, რომ ბრეი დაზარალებულის მეგობარი ყოფილა. გაუპატიურებული გოგონას ადვოკატმა, კიმ ანდრიმ მოწმეს სთხოვა, სასამართლომდე ფაქტების გამხელისგან თავი შეეკავოს. სასამართლო კი გუშინ იგლის საგრაფოში (კოლორადო) უნდა შემდგარიყო; და თუ ბრაიანტს მესამე კატეგორიის გაუპატიურების ბრალეულობა დაუმტკიცდებოდა, გამორიცხული არ იყო, "ლეიკერსის" ვარსკვლავს ამ სახის დანაშაულისთვის გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელი - სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ. სასჯელის მინიმალური ვადა კი ოთხი წელია.

მიაჩნიათ, რომ ბრაიანტს დაცვით მტკიცებულებად არ გამოადგება ის, რომ ბრეი დაზარალებულის მეგობარი იყო. ბრაიანტის ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ბრეი ბრალდებულის ინტერესებს ემსახურება და ამ ბრალდებით მას ფულის გამოძალვა სურს. ბრეის ადვოკატი კი ამტკიცებს, რომ ბრეი ნამდვილად ცდილობდა დაზარალებულის დახმარებას და ამ ბრალდებით მას ფულის გამოძალვა არ სურს.

ოლიმპიზმი

# ბორდელები ოლიმპიელთათვის

"ქარიშხალი ჭიქაში" - ასე უწოდეს ათენის მერიაში ჭორებს იმის თაობაზე, თითქოს, უახლოეს მომავალში საბერძნეთის დედაქალაქის ადმინისტრაცია ქალაქში არსებული პროსტიტუციის საკანონმდებლო ბაზის დარეგულირების დაწყებას აპირებდეს, იმ მიზნით, რომ 2004 წლის ოლიმპიური თამაშების დროს შესაბამის დონეზე უზრუნველყოს ამგვარ მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნილება. თუმცა, საბერძნეთის ორთოდოქსული ეკლესიის წარმომადგენლები წინააღმდეგობას აგრძელებენ და აცხადებენ, რომ მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იგეგმება ახალი ლიცენზიების გაცემა დამატებითი საროსკიპოებისთვის.

"ეს გაუგებრობაა, - ამბობს ხელისუფლების წარმომადგენელი დორა ბაკოიანისი, - საბერძნეთში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ამბობს, რომ მოღვაწეობის ნებისმიერი სფერო, მათ შორის - ასეთიც, ლიცენზირებას ექვემდებარება. ათენი კი, როგორც საბერძნეთის ნაწილი, ამ კანონს ემორჩილება".

"გვეჩვენება, რომ ამ პრობლემას იმ კუთხით კი არ უნდა მივუდგეთ, როგორც პროსტიტუციის ზრდას, არამედ ვიხელმძღვანელოთ იმ მოსაზრებით, რომ ამ ბიზნესის ლეგალიზაცია მიმართულია სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ და სექს-ინდუსტრიაში ქალთა ძალით ჩათრევას გამორიცხავს. ეს ყველაფერი ოლიმპიურ თამაშებთან არავითარ კავშირში არ არის", - აცხადებენ საბერძნეთის ხელისუფალნი.

"მე, როგორც ქალი-პოლიტიკოსი, უკვე წლების განმავლობაში ვიბრძვი ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ და მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელი გავიდა, დღემდე გულისტკივილით აღვიქვამ ამ პრობლემას. ქალთა და მოზარდთა საროსკიპოებში გაყიდვა რეალურად ხდება და ეს კანონმდებლობით არანაირად არ რეგულირდება და რაკიღა ჩვენ ამ მოვლენის წინაშე უძლურნი ვართ, იმდენი მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ მისი კონტროლისთვის ნორმალური ბაზა შევქმნათ, რითიც იმ ადამიანების მინიმალურ დაცვას მაინც უზრუნველვყოფთ, რომლებიც ამ სიტუაციის მონები არიან. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ მთელი რიგი კანონები, რომლებიც ამ სფეროს დაარეგულირებს. მაგალითად, უკვე მივაღწიეთ იმას, რომ მეძავები, რომლებიც ლეგალურ ბორდელებში მუშაობენ, რეგულარულად გადიან სამედიცინო შემოწმებას და "პენსიაზე გასვლისას" სოციალური პაკეტი აქვთ. ვფიქრობ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და ასეთი სახის ზომები დაგვეხმარება, ვებრძოლოთ უკანონო პროსტიტუციას, ადამიანებით ვაჭრობასა და საბავშვო პორნოგრაფიას," - აცხადებს დორა ბაკოიანისი.

ბაკოიანისი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ იმ ქალაქებში, სადაც ოლიმპიური თამაშები იმართებოდა, ყველგან პროსტიტუციის ბუმი შეინიშნებოდა. "წითელი ფანარების" რაიონები კი თამაშების მსვლელობისას ყველაზე ხალხმრავალი იყო. ბაკოიანისმა აღნიშნა, რომ ათენი სხვა ქალაქებისგან არაფრით განსხვავდება. მთავარია, ეს ყველაფერი თვითდინებით არ წარიმართოს.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ხავიერ ძანეტი, მინიმუმ, 2007 წლამდე "ინტერში" დარჩება. მან თავისი კონტრაქტი სამი წლით გააგრძელა. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ სხვა კლუბებთან არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია. ჭორების მიხედვით კი ძანეტი, თითქოს, ტურინში გადადიოდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" ახალწვეულებს ნომრები დაურიგეს. მომავალ სეზონში კამერუნელი ჯერემი მე-14 ნომრით ითამაშებს; დამიენ დაფს 11-ნომრიანი მაისური ერგო; გლენ ჯონსონმა მეორე ნომერი ალბერტ ფერერს "წაართვა"; უეინ ბრიჯი მინდორზე მე-18 ნომრით გამოვა; მარკო ამბროზინიო კი – 31-თი. რაც შეეხება ხუან სებასტიან ვერონს, რომელიც "არისტოკრატთა" შემადგენლობაში ამ დღეებში ჩაირიცხა, მას ნომერი ჯერ არ შეურჩევია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომან აბრამოვიჩმა ახალი მიზანი დაისახა. "ჩელსიმ," კრისტიან ვიერის სანაცვლოდ, მილანის "ინტერს" 22 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა (დაახლოებით, 35 მილიონი დოლარი). თუმცა, "ინტერი" ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებს. მილანური კლუბის პრეს-ატაშეს განცხადებით, "ინტერი" ვიერის ტრანსფერთან დაკავშირებით არც ერთ კლუბთან არ აწარმოებს მოლაპარაკებას. "ვიერი "ინტერის" ლიდერია და მისი მაისურით ითამაშებს მომავალ სეზონშიც; შეგიძლიათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ," – განაცხადა მილანური კლუბის წარმომადგენელმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომის "ლაციომ" კონტრაქტი გაუფორმა პორტუგალიელ სერჟიო კონსეისაოს, რომელმაც წინა თვეში "ინტერი" დატოვა. კონსეისაო "ლაციოს შემადგენლობაში 1998-2000 წლების სეზონში თამაშობდა. უახლოეს მომავალში რომაელები აპირებენ, კონტრაქტი გაუფორმონ პაოლო დი კანიოსაც.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ვისენტე დელ ბოსკე "რეალს" აკრიტიკებს. მისი თქმით, კლუბის მედია, როცა "რეალის" უკანასკნელი წლების მიღწევებზე საუბრობს, არ ახსენებს სამწვრთნელო შტაბს, რომელიც ამ წლების განმავლობაში გუნდს უძღვებოდა. მედია არ მოიხსენიებს ფერნანდო იეროსაც. "მაგალითად, "რეალის" ოფიციალური საიტიდან გაქრა ნაწყვეტი რობერტო კარლოსის ინტერვიუდან, რომელშიც ფეხბურთელი გუნდის ყოფილ კაპიტანზე, ფერნანდო იეროზე საუბრობს," – განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ, რომელმაც თავისი ცხოვრების 35 წელი სამეფო კლუბს მიუძღვნა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამსტერდამის "აიაქსის" ნორვეგიელი მცველი ანდრე ბერგდოლმო დორტმუნდის "ბორუსიაში" გადადის. კლუბები ფეხბურთელის სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდნენ. "ბერგდოლმოსთვის სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობდა და მისთვის სხვა კლუბში გადასვლა შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი იყო," – განაცხადა "აიაქსის" დირექტორმა არიე ვან ეიდენმა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ბოლონიის "ვირტუსს" სერია A-ში თამაში აუკრძალეს. კლუბმა სლოვენიელი ლეგიონერის, სანი ბეჩიროვიჩის მიმართ საკონტრაქტო ვალდებულება არ შეასრულა. თავიდან იტალიის კალათბურთის ფედერაციამ მოითხოვა ბეჩიროვიჩისთვის 1,05 მილიონი ევროს გადახდა 10 მაისამდე, შემდეგ გადახდის ბოლო ვადა 29 ივლისამდე გადაიტანა და, რაკიღა ბეჩიროვიჩმა თანხა ვერც ამ დროისთვის მიიღო, იტალიის კალათბურთის ფედერაციამ "ვირტუსი ქვეყნის ჩემპიონატიდან მოხსნა. ბეჩიროვიჩმა "ვირტუსთან" კონტრაქტი 2001 წელს გააფორმა, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო, მოედანზე 2001 წლის დეკემბრის შემდეგ აღარ გამოჩენილა. ამიერიდან "ვირტუსის" ყველა კალათბურთელის კონტრაქტი უკანონოდ გამოცხადდა. მის ადგილს სერია A-ში მეორე დივიზიონის კლუბი დაიკავებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** რალფ შუმახერი დამნაშავედ ცნეს გერმანიის გრანპრიზე მომხდარ ავარიაში, რისთვისაც უნგრეთის გრან-პრის გათამაშებაში რბოლას 10 პოზიციით უკან დაიწყებს - უკეთეს შემთხვევაში რალფი მე-11 პოზიციაზე იქნება. შარშან ანალოგიური სასჯელი "ზაუბერის" პილოტმა, ფელიპე მასამ მიიღო. მაშინ გუნდმა გადაწყვიტა იმ ერთ რბოლაში მასა ფრენცენით შეეცვალა. არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური ცვლილება "უილიამსმაც" განახორციელოს და, რალფის ნაცვლად, ტესტ-პილოტი მარკ უენე გამოუშვას. ბოლოს ჟენე "მინარდის" შემადგენლობაში 2000 წელს გამოვიდა.

■ ■ ■

**კრივი.** სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ბრიტანელმა ოდლი ჰარისონმა იმედგაცრუება გამოთქვა, რომ ავსტრალიის ჩემპიონ კოლინ უოლსონთან დანიშნული შეხვედრა ჩაიშალა. ვირუსული ინფექციის გამო, რომელიც ავსტრალიელს შეეყარა, ბრძოლა ოთხი კვირით გადაიდო.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** დორტმუნდის მე-19 კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირზე წარმატებით ასპარეზობს მოლდოველი დიდოსტატი, ვიორელ ბოლოგანი. მან უახლოეს მდევართან, ვლადიმირ კრამნიკთან ქულათა მარაგი 1,5 ქულამდე გაზარდა. მეექვსე ტურში ბოლოგანმა გერმანელი არკადი ნაიდიჩი დაამარცხა, ხოლო კრამნიკმა ქულა გაიყო აზერბაიჯანელ ტეიმურ რაჯაბოვთან. ექვსი ტურის შემდეგ ბოლოგანს 5 ქულა აქვს, კრამნიკს - 3,5, ანანდს - 3, რაჯაბოვს - 2,5, ხოლო ლეკოსა და ნაიდიჩს - 2-2.

ამბები

## ებრაელები მელ გიბსონს ემხრობიან



ცნობილი ამერიკელი კინოკრიტიკოსი, ორთოდოქსი ებრაელი მაიკლ მედვედი აცხადებს, რომ მელ გიბსონის ფილმი ქრისტეს სიკვდილის შესახებ, ბიბლიის საუკეთესო ადაპტაციაა ჰოლივუდის ისტორიაში. კრიტიკოსი თავის სატელევიზიო გამოსვლაში გულწრფელად აქებდა ფილმს "ვნება", რომლის ბიუჯეტიც 24 მილიონი ამერიკული დოლარია. მედვედის მოსაზრება აბსოლუტურად გაიზიარა მწერალმა დევიდ ჰოროვიცმაც. არადა, ცოტა ადრე, ჟურნალისტებმა და კრიტიკოსებმა, მათ ვინც ფილმის დახურულ ჩვენებას დაესწრნენ, გიბსონი ამ ნამუშევრის მიხედვით ანტისემიტიზმში დაადანაშაულეს. მართალია, თავად რეჟისორი უარყოფდა ბრალდებებს და ამტკიცებდა, რომ არანაირი მსგავსი განზრახვა არ ამოძრავებდა, მაგრამ ამაოდ...

"ვნება" გიბსონის რეჟისურაში დაბრუნების პირველი მცდელობაა მას შემდეგ, რაც 1995 წელს მან "ოსკარი" აიღო ფილმისთვის "მამაცი გული".

რაც შეეხება ბოლო ფილმის შინაარსს, ის მოგვითხრობს იესო ქრისტეს ცხოვრების უკანასკნელი 12 საათის შესახებ. როგორც თავად რეჟისორი ამბობს, მისთვის ძალიან საყურადღებოა იესო ქრისტეს ცხოვრების სწორედ ეს პერიოდი, "ესაა ღმერთის, მაგრამ, ამავე დროს, მიწიერი სისუსტეებით შემოსილი ადამიანის მთელი დრამა", - ამბობს მელ გიბსონი.

## "ბილბორდი" სპეციალურ ნომერს მიუძღვნის Kiss-ს

ავტორიტეტული მუსიკალური გამოცემა "ბილბორდი" აპირებს სპეციალური ნომერი მიუძღვნას ჯგუფს Kiss-ს და ამით გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება გლემ-როკის ვეტერანებისადმი. ნომერი 9 აგვისტოს, ჯგუფის 30 წლის იუბილეს აღნიშვნას დაემთხვევა და ის 26 გვერდიანი იქნება.

იმ ჯგუფის შესახებ, რომელიც მფლობელია "ოქროს" სტატუსის ძალიან ბევრი ალბომებისა, მოგვითხრობენ: "აეროსმიტის" გიტარისტი ჯო პერი, თავად Kiss-ის ბას-გიტარისტი ჯინ სიმონსი და გიტარისტი პოლ სტენლი, ასევე ჯგუფების – "პანტერასა" და Superjoint Ritual-ის წევრები.

## მადონა საბავშვო წიგნს უშვებს

15 სექტემბერს გამოდის პოპვარსკვლავის მადონას საბავშვო წიგნი "ინგლისური ვარდები". წიგნი გამოსვლისთანავე მსოფლიოს 30 ქვეყნის 100 ენაზე ითარგმნება. როგორც გამომცემლები ამბობენ წიგნი მოგვითხრობს ადამიანთა შორის დამოკიდებულებებზე, მარტოობაზე, ბოროტებაზე და ასევე იმაზე, თუ როგორ უნდა შევიძინოთ ნამდვილი მეგობრები.

მადონასა და გამომცემლებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მომღერალმა სულ ხუთი წიგნი უნდა დაწეროს. მათი საფუძველი კი ძველი ებრაული ტექსტები იქნება. სხვათა შორის, ამჟამად პოპულარული მომღერალი სწორედ მათი შესწავლითაა დაკავებული. ყოველი წიგნი ილუსტრირებული იქნება ცნობილი მხატვრის მიერ. პირველი წიგნის პრეზენტაციას მადონა პარიზში გამომცემლობა Gallimard-ში აღნიშნავს.

# "მოდელობა არც ისე იოლი სამუშაოა. უბრალოდ, მთავარია, მოგწონდეს ეს საქმე"

## ამბობს ნატალია ხუთკუბია, New York Model-ის ქართული სახე

პირველი გვერდიდან

მიპასუხა. წერილი მოკლე, ინფორმაციულად დატვირთული, შესაშურად ლაკონური და მხიარული იყო. ზუსტად ასეთი აღმოჩნდა მასთან პირველი გასაუბრებაც. არა, საუბარი კიდევ უფრო ხალისიანი და სასიამოვნო იყო ნამდვილად.

### შემთხვევით, ქუჩაში...

"ყველა მეკითხება, როგორ დაიწყე მოდელობა? ჩემი მოდელობა მაშინ დაიწყო, როდესაც ალექსა და ნინო გავიცანი. თუმცა, "ამსაში" რომ არ ვყოფილიყავი და ელემენტარული არ მესწავლა, უცხოურ სააგენტოებში ნამდვილად ვერ მოვხვდებოდი", - ასე იხსენებს ოთხი წლის წინანდელ, ქუჩაში დაწყებულ ისტორიას ნატალია ხუთკუბია.

ყველაფერი შემთხვევით მოხდა: გორგოლაჭებით მოსეირნე 14 წლის ლამაზი გოგონა ფოტომოყვარულმა ალექსი მიქაძემ შეამჩნია და გაეცნო; სთხოვა დათანხმებოდა ფოტოგადაღებებზე. "მაშინ მოდელობაზე არც მიფიქრია, ყოველთვის მინდოდა მომღერალი გამოვსულიყავი", - მიმხელს დამწყები ქართველი მოდელი. თბილისელმა ფოტომოყვარულმა ქუჩაში "აღმოჩენილი მოდელი" ნინო ჩუბინიშვილის კოლექციისთვის გადაიღო. ეს კოლექცია მაშინ "რუსკი სილუეტზე" მიწვეულმა ქართველმა დიზაინერმა მოსკოვში წაიღო. სწორედ იგივე ფოტოების დამსახურებით, ნატალია ხუთკუბიამ პარიზის მოდის სააგენტო "ნექსტიდან" მიიღო მიწვევა.

### სოხუმიდან ნიუ-იორკში

ნატალია ხუთკუბიას მოდელობასთან დაკავშირებული ისტორია, ბევრს ალბათ თანამედროვე ზღაპარს მოაგონებს. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით მანამდე გავლილ პერიოდზე. ნატალია სოხუმში დაიბადა. ევროპაში წასვლამდე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა თბილისში, გარკვეული პერიოდი გაატარა რუსეთში, მერე ისევ თბილისში დაბრუნდა. ალბათ ამიტომაც, 19 წლის მოდელისთვის სამშობლოს განცდა ცოტა სხვაგვარია: "ნოსტალგიას არასდროს შევუწუხებივარ", - ამბობს იგი. ამ შემთხვევაში იგი არ გულისხმობს მშობლიურ ქალაქს, რისი დაკარგვითაც დაიწყო მისი ნაძალადევი მოგზაურობა. ნატალიასთვის ახლა სხვადასხვა ადგილებში ცხოვრება, შეხვედრა უცხო ადამიანებთან, ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო და საინტერესო მხარეა. "ერთადერთი რაც მომწონს მოდელის ცხოვრებაში, ესაა მოგზაურობა. უცხო ადგილების ნახვის დროს და უცნობი ადამიანებთან ურთიერთობისას, ძალიან ბევრს ვსწავლობ".

დამოუკიდებელი ცხოვრება ნატალიამ ძალიან ადრე, თანაც ოჯახიდან საკმაოდ შორს, თხუთმეტი წლიდან დაიწყო. ჯერ საფრანგეთში იყო. პარიზულ პერიოდს ნატალია შედარებით ცივად იხსენებს. სამაგიეროდ, ნამდვილად გაუმართლა, როდესაც ამერიკაში აღმოჩნდა. "როდესაც ნიუ-იორკში ჩავედი, მივხვდი, რომ ყოველთვის იქაური ცხოვრებით ვცხოვრობდი. რადგანაც მანამდე რამდენიმე ქალაქში მომიწია ცხოვრება, დამოუკიდებლად ყოფნა საერთოდ არ გამჭირვებია. ამერიკაში ისეთი თავისუფლება და ადამიანების სიყვარული ვიგრძენი...", - ამერიკაში მიღებული შთაბეჭდილებები მას შემდეგ არ განელებია ახალგაზრდა მოდელს.

### დედა-სააგენტოში

მეშვიდე თვეა ნატალია ხუთკუბია New York Model-ის ერთ-ერთი და ერთადერთი ქართული სახეა. მოდელების ენაზე, New York Model ნატალიასთვის "დედა სააგენტოა". აქ ჰყავს მას პირადი მენეჯერი, რომლის ჩარევის გარეშეც წარმოუდგენელია ქართველი მოდელის საქმიანი ურთიერთობები. ასეთი კავშირები კი ნატალია ხუთკუბიას აკავშირებს ლონდონის, პარიზის, მილანისა თუ თბილისის ("ამსა", სადაც ნატალიამ "პირველი ნაბიჯები" გაიარა) სააგენტოებთან თუ ჟურნალებთან.

შვიდი თვის განმავლობაში ახალგაზრდა მოდელი გადაიღეს რამდენიმე რეკლამისთვის (მათ შორის "სონის" ყურთსაცმელების), ასევე ჟურნალებისთვის. ამ ეტაპზე ნატალია საკუთარი ე.წ. "ბუკის" სამზადისშია. "დამწყები მოდელი ვერაფერს სერიოზულს ვერ მიაღწევს, თუ არ ექნა კარგი "ბუქი", რადგანაც იქ აღინიშნება სრულად მოდელის მუშაობა. რომ ჩავალ ამერიკაში, იმ დროისათვის ალბათ ყველა ჟურნალი, სადაც გადამიღეს, გამოსული იქნება და მალე "ბუქსაც" მოვამზადებ".

ამის შემდეგ კი ალბათ ნატალიას მენეჯერი (ე.წ. "ბუქერი") ქართველ მოდელს სხვა სერიოზული ფირმებისთვის დაგეგმილ შესარჩევ ტურებთან ერთად, "კელვინ კლაინის" "კასტინგზეც" გაუშვებს. "ჩემს მენეჯერს გეგმაში აქვს "კელვინ კლაინის" კასტინგზე გამიშვას, რადგან მიაჩნია, რომ მე ამ ფირმის სახე აუცილებლად გავხდები". ამას გარდა, ნატალია იმედოვნებს, რომ აუცილებლად მოხვდება "დოლჩე გაბანასთვის" მოდელების მორიგ შესარჩევ ტურში, სადაც ერთხელ იმის გამო, რომ ვიზის გაკეთება დააგვიანდა (გადაღებები პარიზში მიმდინარეობდა), ვერ მოხვდა.



ალექსი გიგაური ფოტო

ბესო გელაშვილის ფოტო

*ქართველი მოდელი არდადეგებს თბილისში ატარებს.*

### გატაცება - პანკ-როკი

იმის მიუხედავად, რომ ნატალია ხუთკუბია ბედს ნამდვილად არ უჩივის: მუშაობს ერთერთ პრესტიჟულ სამოდელო სააგენტოში, ურთიერთობს საერთაშორისო დონის პროფესიონალებთან, კმაყოფილია საკუთარი მენეჯერით და მოსწონს სამოდელო საქმიანობა, მოდელად დარჩენას მაინც არ აპირებს. "მოდელობა არც თუ ისე იოლი სამუშაოა. უბრალოდ, მთავარია მოგწონდეს ეს საქმე", - ამბობს იგი და გულწრფელად მაინც მომღერლის კარიერაზე ფიქრობს.

ნიუ იორკში ოთხ მეგობარ მოდელთან ერთად ჰყავს ჯგუფი, რომელსაც ჯერჯერობით სახელწოდება არ აქვს. თავისუფალ დროს, ანუ უიკენდებზე, ისინი ხმისჩამწერ სტუდიაში იკრიბებიან, ქმნიან და იწერენ სიმღერებს. ჯერჯერობით დასრულებულია სამი კომპოზიცია, უამრავი კი დასამუშავებელია. "ერთ-ერთ ბარ-რესტორანში შაბათ-კვირას დაკვრაც კი შემოგვთავაზეს, მაგრამ უარი ვუთხარით. გვინდა, ცოტა დრო გავიდეს, ვიმუშაოთ, რომ უფრო მეტად ვიყოთ საკუთარ თავში დარწმუნებულები; გარკვეულ პროფესიონალურ დონეს მივაღწიოთ და შემდეგ... სპონსორების მეტი რა არის ნიუ იორკში", - დამწყებ მოდელს ეჭვი არ ეპარება, რომ გარკვეულ წარმატებებს მუსიკაშიც მიაღწევს.

მოდელების ჯგუფი ენერგიულ მუსიკას უკრავს. "ყველა მუსიკალურ ჟანრს ვიყენებთ, იქნება ჯაზი, ბლუზი, როკი თუ პანკი. კლასიკური განათლება მაქვს მიღებული, ხალხურ სიმღერებს ოთხი წელიწადი ვმღეროდი. ყველანაირი მუსიკა მიყვარს ტექნოსა და ტრანსის გარდა. თუმცა, ბავშვობაში ისიც მიყვარდა", - ნიუ იორკში დაბრუნებისთანავე ნატალია აპირებს მეგობრებთან ერთად სერიოზულად გააგრძელოს სტუდიაში მუშაობა.

მანამდე კი, ვიდრე ქართველი მოდელი ძირითადი საქმიანობის გასაგრძელებლად ამერიკაში წავა, თბილისში დაისვენებს. თუმცა, ცოტ-ცოტა მუშაობას აქაც ახერხებს. რამდენიმე დღის წინათ ცნობილმა ფოტოგრაფმა გურამ წიბახაშვილმა მას თბილისელი დიზაინერის გიორგი ამირეჯიბის კოლექციისთვის ფოტოები გადაუღო. ახალგაზრდა დიზაინერი ამ ფოტოებს ამსტერდამში ("24 საათი" წერდა იმის შესახებ, რომ გიორგი ამირეჯიბი მიწვეულია სტაჟირებაზე დანიაში) წარადგენს. დანიელები პერსპექტიული, ნიჭიერი (გიორგი ამირეჯიბი, ნატალია ხუთკუბია) და პროფესიონალი (გურამ წიბახაშვილი) ქართველების თანამშრომლობის შედეგს პირველები იხილავენ.

# იტალიაზე შეყვარებული ჰოლივუდი



*ისინი იტალიაში ისვენებენ: ჯორჯ კლუნი, კეტრინ ზეტა-ჯონსი, მაიკლ დუგლასი*

არც ჰავაის კუნძულები და აღარც სეიშელის ედემის ბაღი. კაშკაშა მზე, თვალუწვდენელი ოკეანე და განუმეორებელი ადგილობრივი კოლორიტი ამერიკაში უკვე აღარ არის მოდაში. ჰოლივუდის ვარსკვლავებს ეს ყოველივე დიდი ხანია მობეზრდათ. აღარ სურთ მხოლოდ შიშველი ეგზოტიკა და ველური ბუნების მშვენიერებით ტკბობა, რატომღაც არდადეგების "კულტურულად" გატარება მოინადინეს. თითქოს პირი შეუკრავთო, ამ ზაფხულს ერთბაშად რამდენიმე ჰოლივუდელმა დასდო პატივი იტალიას, კულტურისა და შემეცნების კლასიკურ ქვეყანას. ჯორჯ კლუნიმ, მაგალითად, წყნარი ოკეანის თეთრ ქვიშაზე განცხრომას კომის ტბის პირას სეირნობა ამჯობინა და მეტად კმაყოფილიც ბრძანდება ასეთი გადაწყვეტილებით. სერიალების გმირს ფეხდაფეხ დასდევენ აღტაცებული იტალიელი ფანები და წამდაუწუმ ავტოგრაფს სთხოვენ, მაგრამ მისტერ კლუნის ეს სულაც არ უშლის ნერვებს. "ძალიან მიყვარს კომოს ტბა, ხალხიც მომწონს... აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ, ჩემს გარშემო მუდამ უამრავი მეგობარია"-, თავისი შეუდარებელი ღიმილით განუცხადა კლუნიმ იტალიური ჟურნალის, "პანორამას" კორესპონდენტ ანა ბოიარდის, რომელიც გულგრილი ვერ დარჩა ამერიკელი ვარსკვლავის პიროვნების მიმართ და მორცხვად სთხოვა ავტოგრაფი ლურჯ მაისურში გამოწყობილ კლუნის. ამერიკელმაც, რა თქმა უნდა, გული არ დასწყვიტა სინიორა ბოიარდის...

კომოს ტბის სიახლოვეს მუდამ ცისფერ და ლურჯ ფერებში შემოსილმა კლუნიმ არაერთი იტალიელის გული მოინადირა. როგორც მოგეხსენებათ, ცისფერი იტალიის ეროვნული ნაკრების ფერია. ფეხბურთი იქნება თუ კალათბურთი, თხილამურები თუ ხელბურთი, იტალიელი სპორტსმენები მუდამ ცისფერ ფორმას ატარებენ. ჰოდა, მისტერ კლუნიც პატივს სცემს "სკუადრა აძურას" რეგალიებს. ჯორჯ კლუნი თურმე ისე თავმდაბლად და უბრალოდ იქცევა, რომ იტალიელები ზოგჯერ ვერც კი გრძნობენ, ჰოლივუდის ბრწყინვალე ვარსკვლავთან თუ აქვთ საქმე. "ღმერთო ჩემო, თითქმის ნორმალური ადამიანივითაა!!!", - საიდუმლოდ ეჩურჩულება "პანორამას" ჟურნალისტს ერთი შამფურზე შებრაწული გოჭივით გაწითლებული პატარა გოგონა და ბედნიერებისგან ცრემლები ადგება თვალებზე, რადგან მილიონობით ადამიანის კერპი იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა, რომ უარი არ თქვა მასთან ერთად სამახსოვრო ფოტოს გადაღებაზე. მოდი და ნუ ატირდები! ყველას ხომ არ ეღირსება ასეთი ბედნიერება... რაკი კლუნი ასეთი მომთმენი და კეთილშობილია, კომოს ტბის დამსვენებლებს ყოველგვარი კომპლექსი მოეხსნათ და იმდენი ავტოგრაფი შეაგროვეს, რომ მოისურვონ, გაყიდვაც კი შეძლებენ. თუ "პანორამას" მზვერავს დავუჯერებთ, კლუნი თურმე ძირითადად ბებიებში ყოფილა პოპულარული, რომლებიც შვილიშვილებსაც უნერგავენ ამერიკელის სიყვარულს... შეიძლება ითქვას, რომ ძალიან გაუმართლათ იმათ, ვინც აგვისტოს დასაწყისში კომოს ტბაზე გადაწყვიტა დასასვენებლად წასვლა...

მოკლედ, ჯორჯი თავადაც ერთობა და სხვებსაც ართობს, მაგრამ თურმე მხოლოდ დასასვენებლად როდი ჩამობრძანებულა იტალიაში "სასწრაფოს" შეუდარებელი ქირურგი. ანა ბოიარდიმ კლუნის ერთ-ერთ პირად მცველს დასტყუა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას აკეთებს მისი პატრონი სასტუმროში, როცა ტბაზე საშინელი სიცხეა და ბანაობა არ შეიძლება. "მისტერ კლუნი შვებულების დროსაც მუშაობს. ზოგჯერ საათობით ჩაიკეტება ხოლმე ოთახში და არავის იღებს. ამ დროს ყველამ ვიცით, რომ ხელი არ უნდა შევუშალოთ." ოთახში დარჩება, აბა რას იზამს, როცა გარეთ 40 გრადუსია სიცხე და მთელი ჩრდილოეთ იტალია იწვის მცხუნვარე მზისგან. კლუნის აპარტამენტები მართლაც რომ თვალისმომჭრელია. თავად განსაჯეთ, ამერიკელი ლალიოშია გაჩერებული, მეთვრამეტე საუკუნის ულამაზეს ვილა "ოლეანდრაში", რომელიც ჰაინცის ოჯახის საკუთრებაა. ცნობისათვის, ჰაინცები ცნობილი საქმოსნები არიან, მათ "კეტჩუპის დინასტიას" უწოდებენ. როცა ჯორჯს თავისუფალი დრო აქვს, ხალისით მასპინძლობს მეგობრებს, მათ ცოლებს, შვილებს და ვილა "ოლეანდრაც" უცებ ივსება უამრავი ბავშვით, რომლებიც დარბიან, ყვირიან, ყველაფერს თავდაყირა აყენებენ. მისტერ კლუნი კი ამ ყველაფერს ფილოსოფიური სიმშვიდით ითმენს....

კლუნის გარდა იტალიაში სხვა ჰოლივუდელებმაც გაისეირნეს. ბრიუს სპრიგსტინი და მისი მეუღლე ვილა დ'ესტეში ისვენებდნენ ივნისში; ივლისში ედრიენ ბროდიმ გაიარა იტალიაში, შემდეგ კი ვერსაჩეებმა უმასპინძლეს ისეთ საპატიო სტუმრებს, როგორებიც არიან მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა-ჯონსი, ჰოლივუდის ყველაზე იდუმალი წყვილი. ეს სახელგანთქმული ცოლ-ქმარი ვერსაჩეებს ორივე შვილით ეწვია და დიდხანს დარჩა დონატელა ვერსაჩეს მდიდრულ ვილა ფონტანელეში. მოკლედ, იტალიელებს გასართობი არ აკლდათ, მაგრამ ჯორჯ კლუნის მაინც ვერავინ აჯობა. მისტერ კლუნი ყველასათვის მეტად საინტერესოა – როგორც ფანებისთვის, ასევე სენსაციებზე მონადირე პაპარაცოებისთვისაც, რომელთაც ერთი სული აქვთ, როდის დააფიქსირებენ ამერიკელის პიკანტურ პოზას, მითუმეტეს, რომ კლუნის თან ახალი სატრფოც ახლავს... ფოტოგრაფები ყველგან უსაფრდებიან ჯორჯს: კაფეში, სანაპიროზე, ვილასთან. თან ისეთ სახეს იღებენ, ვითომ ამერიკელი სულაც არ აინტერესებდეთ. "ჯორჯი ვინ არის? ჩვენ აქ ერთი ჭიქა კიანტის დასალევად შემოვედით." მაგრამ ასეთი პასუხით, რა თქმა უნდა, ვერავის ატყუებენ. კლუნიც ფრთხილობს, რომ რაიმე სკანდალში არ გაყოს თავი. იტალიელებმა ძალიან კი შეიყვარეს, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ალბათ სულაც არ იტყვიან უარს კლუნის ფოტოებით ზედმეტი ფული იშოვონ...

## TV პროგრამა
### 8 აგვისტო

**რუსთავი - 2**

**08.00** კლასიკა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **08.50** სერიალი "ტომ სოიერის თავგადასავალი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი "შავი ზეცა" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 03.10** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ.ფილმი "მამაცი გული". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, სოფი მარსო. **03.30** მხ.ფილმი "ვისაუბროთ სექსზე". მთ. რ-ში: ლარა ფრინ ბოილი, ჯეიმს სპეიდერი.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "დანაშაულის გენეალოგია" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.15** მხ. ფილმი "სუნამო" **17.00** კონცერტი (ნ. გაბუნია, ვოკ. სტუდიის აღსაზრდელები) **17.20** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** პალიტრა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** მაგთიტრონი **21.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **22.05** მრავალსახეობა **22.35** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი "ცხოველური ბუნება".

**პირველი სტერეო**

**08.00** მუსიკა **09.00** ტროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "შეყვარებული შექსპირი" მთ. რ-ში გვინეტ პელტროუ, ჯოზეფ ფაინსი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" "შორს სამოთხედან" მთ. რ-ში ჯულიანა მური, დენის ქუიდი. **02.15** "ღამურა" "მკვლელები შეცვლაზე". მთ. რ-ში ჩოუ იუნ-ფატი, მირა სორვინო. **03.45** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** მხ. ფილმი "ამფეთქებელი" **21.00** საქართველო არის ესე **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი "გადამჭრელი".

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო" **13.30** მხ.ფილმი "რეალობა იკბინება" **15.00** მხ.ფილმი "ვირთხების რბოლა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ამერიკული დრაკონი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "სახიფათო ჩაძირვა" **22.30** მხ. ფილმი "პაროლი ხმალთევზა"

**იბერია**

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "მთელი მომხიბვლელობით" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი **17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **17.30** დოკ. სერიალი **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მიუზიკჰოლი **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი "ადამიანი ობობა" **02.10** ღამის ფილმი.

**მეცხრე არხი**

**09.30** სერიალი "შაკა-ზულუ" **10.20, 15.20, 16.20, 18.50** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** მხ. სერიალი "პოლიციელი ქალი" **12.00** "ცხელი ცხრიანი" **12.40** რუს. მხ. ფილმი "იდიოტის ოცნებები" **14.15** "ტელემეტრი" - მზის დაკვირ-ტება **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ქართული ფეხბურთი" **15.30** სერიალი "ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" **17.50** სერიალი "შაკა-ზულუ" **18.40** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **21.15** სერიალი "ციებ-ცხელება" **22.00** "ღამის მატარებელი" **00.20** მხ. ფილმი "ტაიფუნი ნაგასაკიში".

**იმედი**

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** სპ. პროგრამა "ასი" **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "გონების საიდუმლოება" **17.30** "მუღამები" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **22.55** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **23.55** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **00.50** არტ-ფილმი "გოია ბორდოში".

**აჭარა**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" მე-5 ს. **10.00, 13.40, 15.55** ვიდეოარტი **10.05, 22.45, 01.00, 03.20** მუსიკა **10.30** საბავშვო ფილმი "მზიანი არდადეგები" **12.10** მხ. ფილმი "მე-20 საუკუნის მეკობრეები" **13.45** მელოდრამა "ჰოლივუდის პრინცესა" **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი "მაგიური მარგალიტი" **17.30** მხ. ფილმი "ბატონი შეცდომა" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40, 22.40** Пресс-папье **19.45** დოკ. ფილმი **20.30** მხ. ფილმი "ზვიგენები" **23.00** "ალტერნატივა" **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.10** მხ. ფილმი "სამოქალაქო სარჩელი" **03.50** დრამა "ბასრი სამართებელი".

**VII არხი**

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** კომპიუტერული ტექნიკა **10.10** მელოდია . **10.30** მობილურები **11.15** დისნეი და მისი მეგობრები **11.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **12.20** "მელოდია" **12.35** კომპიუტერული თამაშები **12.40** "მელოდია" **12.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.20** მოკლედ... სპორტი **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.15** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.40** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **21.00** კომპიუტერული თამაშები **21.05** დოკ.ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" **21.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.15** "კინოკლუბი" - "ზნედაცემული". მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი: გრეგორი ჰობლეტი. როლებში- ოლივიე გრიუნერი, ვორვიკ დევისი. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" - მე-10 სერია **01.10** მობილურები.

**ОРТ**

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15 Сериал "Земля любви, земля надежды" 11.05 Боевик "Александр Великий" 12.10** "Сами с усами" **12.40** Сериал "Твинисы" **13.15 Худ.фильм "Не бойся, я с тобой!" 16.20 Худ.фильм "Гладиаторы льда" 18.30** Док. детектив "Карты. Деньги. Автомобили" **19.20** "Человек и закон" **19.50 Худ.фильм "Сокровища мертвых", 4 с. 20.55** "Поле чудес" **22.00** "Время" **22.30** "Золотой Граммофон" **23.30 Комедия "Полицейская академия". "Задание - Майами Бич" 01.15 Худ.фильм "Хороший, плохой, злой".**

**РТР**

**06.45** "Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал "Каменская" 10.50 Сериал "Возвращение Будулая" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** "В поисках приключений" **13.20 Детектив "Марш Турецкого 2" 14.15, 17.45** "Экспертиза" **14.30, 04.05** Дорожный патруль **14.45** Вести - Москва **15.20** "Моя семья" **16.15** "Комната смеха" **17.15 Сериал "Простые истины" 18.20** "Сам себе режиссер" **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50** "Аншлаг" **20.50** Вести. Дежурная часть **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55** Концерт А. Зацепина **00.20 Детектив "Алмазы шаха" 02.40 Худ.фильм "Мутанты 2" 04.20 Сериал "От Земли до Луны" 05.15 Мелодрама "Перекрестки".**

**НТВ**

**07.00** "Утро на НТВ" **10.05** "Новейшая история: Диссиденты. Пятая колонна" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Путешествия натуралиста" **12.00** "Квартирный вопрос: шкаф-невидимка" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна советов" **14.35 Сериал "Крот" 15.45** "Криминал" **16.35 Сериал "Семнадцать мгновений весны", 12с. 18.25 Сериал "Скорая помощь 3" 19.25** Команда.ru **20.35 Сериал "Улицы разбитых фонарей". "Снежный барс" 21.35 Комедия "Супершпион" 23.45** Супербокс: Рамон Ледон против Роберто Гарсия **00.20 Худ.фильм "Принц Города" 03.20 Сериал "Воры".**

# სამი ტენორი აბანოების გახსნაზე

*დომინგო, კარერასი და პავაროტი ბატში იმღერებენ*

ხოზე კარერასის, პლასიდო დომინგოსა და ლუჩანო პავაროტის სახელგანთქმულმა საოპერო ტრიომ სომერსეტის საგრაფოს ქალაქ ბატში გამართული რომაული აბანოების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე იმღერა. სამი ტენორი შვიდი ათასიანი აუდიტორიის წინაშე პრესკონფერენციის შემდეგ წარსდგა. კომპლექსის გარშემო რამდენიმე პარკში შეკრებილი აუდიტორია კი კონცერტს გიგანტური ეკრანებიდან ადევნებდა თვალს. შესაძლოა, ეს იყო ტენორების უკანასკნელი გამოსვლა ბრიტანეთის ტერიტორიაზე - 2005 წელს ხომ ლუჩანო პავაროტი მუსიკალურ სცენას ტოვებს.

ბატის ცნობილი რომაული აბანოები 1978 წლიდან დაკეტილი იყო. რესტავრაციას 13 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი მოხმარდა. ამჟამად გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე ერთადერთი კომპლექსი, რომელიც მინერალური წყლების ახლოსაა გაშენებული, მოიცავს ისტორიული აბანოს შენობებსა და რომაული აბანოების მუზეუმს.

საქველმოქმედო კონცერტზე ცნობილი ტენორების გამოსვლა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კომპლექსი ამიერიდან დამსვენებლებს მიიღებს. კომპლექსის ზღურბლს დამსვენებლები მხოლოდ ოქტომბრიდან გადალახავენ.

## პირველი კადრები "ჰარი პოტერიდან"

კინოკომპანია Warner-მა აჩვენა ფრაგმენტები "ჰარი პოტერის" მესამე ნაწილიდან. ფილმში მთავარი გმირის, სირიუს ბლეკის ნათლიის როლს 45 წლის მსახიობი ჰარი ოლდმენი თამაშობს. ამ ნაწილში ჩნდება კიდევ ერთი ახალი მსახიობი – 62 წლის მაიკლ გამბონი. რიჩარდ ჰარისის გარდაცვალების შემდეგ მას წილად ხვდა სკოლის ჯადოქარი დირექტორის დამბლდორის როლი.

რეჟისორის ალფონსო კაურონის თქმით, მესამე ფილმის მსოფლიო პრემიერა მომავალი წლის ივნისში გაიმართება.

## ფილმი ერაყის ომზე

კანადელი მსახიობი ლაურა რეგანი მთავარ როლს შეასრულებს სატელევიზიო ფილმში "ჯესიკა ლინჩის გადარჩენა". ფილმის გადაღებებს ტელეკომპანია NBC შეუდგება. სცენარი ჯონ ფასანოს ეკუთვნის. ძირითადი მოტივი კი ამერიკული ჯარისკაცების ტყვედ ჩავარდნისა და მათი გათავისუფლების ისტორიაა, რომელიც ერაყის ომის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

ამ ფაქტის შესახებ ახალი დეტალების გახსნის გამო, სცენარის ავტორს ტექსტის შეცვლა მოუხდა. მართალია, ფაქტები ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადასტურებული, თუმცა ამის მიუხედავად, ტელეკომპანიამ პროექტი უკვე გაამზადა. ფილმის პრემიერა ნოემბერში გაიმართება.

"რუსთავი 2 პრინტი" წარმოგიდგენთ ქართველი კლასიკოსის ოთარ ჭილაძის ახალ რომანს "ქორფრინტ", თანამედროვე ქართული მწერლობის კრებულს "ფლეშ", და ლიბერალური დემოკრატიის ნამდვილ სახელმძღვანელოს, ნიკოლოზ რურუას "თანამოქალაქის ალბომს". წიგნების შეძენა შეგიძლიათ ყველგან საქართველოში, სადაც კი წიგნი იყიდება.

დაწვრილებითი ინფორმაცია და კოფიციენტების სია იხილეთ გაზეთ "24 საათში"

იყიდება ავტომგასამართი სადგური 3000 კვ.მ. მიწის ფართობით აღმაშენებლის მე-14 კილომეტრზე
ტელეფონი: 8-99-55-43-17
8-99-71-55-30



The Eurasia Foundation

IREX

## ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი და IREX ის მედია ინოვაციების პროგრამა აცხადებენ ერთობლივ კონკურსს:

რეგიონულ გაზეთებში არჩევნებთან დაკავშირებული ახალი ამბების გაშუქების გაუმჯობესებისათვის გრანტის მოსაპოვებლად

8 აგვისტო, 2003 წელი

ქართული მედიის მიერ ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სრულყოფილი და ზუსტი გაშუქების უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) და ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი ერთობლივად გამოყოფენ 6 გრანტს, რომელთაგან თითოეულის ოდენობა 4,000 ამერიკული დოლარია.

გრანტზე განაცხადის შემოტანა შეუძლიათ კერძო, დამოუკიდებელ, რეგიონებში გამომავალ გაზეთებს,რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონის მიხედვით საქართველოში არიან რეგისტრირებულნი.

გრანტი წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში რეგიონული ახალი ამბების გაშუქების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. გრანტის მიმღებს მოეთხოვება გამოაქვეყნოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია სტატიათა ციკლის სახით. პროექტის განხორციელების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს.

განაცხადის ჩაბარების ბოლო ვადაა 2003 წლის 22 აგვისტო, 12:00 საათი. განაცხადის სრული პაკეტის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ კატო ბახტაძეს, ევრაზიის ფონდში, შემდეგ მისამართზე: საქართველო,თბილისი 0179,კავსაძის ქუჩა №3. ტელეფონი/ფაქსი: 25 39 42/43.

ვებგვერდი: **www.eurasia.org.ge**

The Eurasia Foundation

IREX

OSGF

## ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი, IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამა და ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" მასმედიის ეროვნული პროგრამა აცხადებენ ერთობლივ კონკურსს გრანტის მოსაპოვებლად:

საქართველოს დამოუკიდებელ რადიოკომპანიათა მიერ არჩევნების გასაშუქებლად და დებატებისათვის პირდაპირ ეთერში

კონკურსის მიზანია საქართველოში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად გაშუქების უზრუნველყოფა წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი განხილვების ხელშეწყობის, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე საზოგადოების მხრიდან კონტროლის გაზრდისა და საზოგადოების მონაწილეობის გააქტიურების მეშვეობით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში არსებულ, მოქმედი ლიცენზიის მქონე რადიოკომპანიებს.

ჯამში 8 გრანტი გაიცემა. ყოველი გრანტის საშუალო რაოდენობა იქნება 5,000 ამერიკული დოლარი. გასაკუთრებული ტექნიკური საჭიროებების შემთხვევაში გრანტის მიმღებს შეუძლია დამატებით მოითხოვოს 8,000-მდე ამერიკული დოლარი.

გრანტის მიმღებს მოეთხოვება: (ა) წინასაარჩევნო და საარჩევნო პროცესების შესახებ მოუკერძოებელი, დროული და რეგულარული ინფორმაციის მიწოდება; (ბ) პირდაპირ ეთერში რეგულარულ პროგრამათა ციკლის გადაცემა საზოგადოებრივი აქტუალური პრობლემების ირგვლივ ღია დისკუსიებისათვის, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი სამთავრობო ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო მეწარმეები, ექსპერტები და ჩვეულებრივი მოქალაქეები.

განაცხადები უნდა ჩააბაროთ IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამას. კონკურსზე განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 22 აგვისტო, 12.00 სთ. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ IREX-ს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 62, ტელეფონი/ფაქსი: 291905, ელ-ფოსტა: **gkhelashvili@irexonline.ge**